# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

5 ივნისი **სამშაბათი** 2012 №131 (13 737) ფასი 80 თეთრი


## 4 დღე ევრომდე



5-7,16

ოლიჩი ევროპის ჩემპიონატს გამოტოვებს... და სხვა ამბები

# კობიაშვილის ანტირეკორდი

## 31 დეკემბრამდე არც ოფიციალური და არც ამხანაგური

## გერმანიაში ასე არავინ დასჯილა


2

## სფფ-ის ახალი მისია: ეთიკის კომისია!


2

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

## ნალჩიკი: მშვიდობით პრემიერლიგა
## სირაძე: მშვიდობით ნალჩიკო

### სად გააგრძელებს კარიერას ქართველი თავდამსხმელი?


3



# რონალდინიო

## წავიდა და დარჩა

### ისევ ბრაზილია, მაგრამ ახალი კლუბი

ბრაზილიურმა "ატლეტიკო მინეირომ" თავის ოფიციალურ ვებგვერდზე დაწერა, რომ ამ გუნდის შემადგენლობა შეავსო 32 წლის **რონალდინიომ**, რომელმაც გასულ კვირას სკანდალით დატოვა "ფლამენგო". ტრანსფერის დეტალების შესახებ ჯერ არაფერს იტყობინებიან. მსოფლიოს ყოფილი საუკეთესო ფეხბურთელი უკვე ვარჯიშობს ახალი კლუბის შემადგენლობაში.

შეგახსენებთ, რომ გასულ კვირას რონალდინიომ "ფლამენგოს" სასამართლოში უჩივლა. ფეხბურთელის მტკიცებით, კლუბს მისთვის ოთხი თვის ხელფასი არ გადაუხდია. სასამართლომ რონის მხარე დაიჭირა და ფორვარდმა "ფლამენგოს" თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვების უფლება მიიღო.



## პირველს ჩემპიონი მიჰყვა

### ქალებს ახალი ჩემპიონი ეყოლებათ

## რაფა დატინვაზე გადავიდა

### ესპანელმა 4 თამაშში 19 გეიმი წააგო


15

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

● ლევან კობიაშვილის საქმე



ლევან კობიაშვილი ჰერტას 2013 წლამდე ველარ დაეხმარება

# სარეკორდო სასჯელი კობიაშვილს: შვიდნახევარი თვე!

## კობიმ დანაშაული აღიარა და ფეხბურთს 31 დეკემბრამდე ველარ ითამაშებს

გერმანიის საფეხბურთო კავშირის სპორტულმა სასამართლომ **ლევან კობიაშვილს** განაჩენი გამოუტანა: ბერლინის „ჰერტას" ქართველი ფეხბურთელი დისკვალიფიკაციას ვერ გადაურჩა, მაგრამ კარგი ის არის, რომ ერთწლიანის ნაცვლად (როგორც გერმანიის საფეხბურთო კავშირი ითხოვდა), კობის შვიდთვენახევრიანი დისკვალიფიკაცია აკმარეს. ამრიგად, ლევანს ოფიციალურ და ამხანაგურ მატჩებში მონაწილეობა 31 დეკემბრამდე აეკრძალა.

საინტერესო ის არის, რომ კობიაშვილმა დანაშაული აღიარა და სასჯელის შემსუბუქება სწორედ ამის დამსახურებაა. კობის თავის ჩვენებაში უთქვამს, „ფორტუნასა" და „ჰერტას" მატჩის საფინალო სასტვენის შემდეგ მსაჯ **ვოლფგანგ შტარკს** მართლაც ჩავარტყიო.

„განაჩენის გამოტანისას მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმ ფაქტმა, რომ ლევან კობიაშვილმა აღიარებითი ჩვენება მოგვცა. გარდა სპორტული დანაკარგისა, ამ სასჯელით კობიაშვილს შემოსავლის უდიდესი ნაწილი დააკლდება," - განაცხადა სპორტული სასამართლოს თავმჯდომარე **ჰანს ლორენცმა.**

მიუხედავად სასჯელის შემსუბუქებისა, ლევანი მაინც გახდა უსიამოვნო რეკორდის ავტორი: ბუნდესლიგის ისტორიას ასეთი ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია არ ახსოვს. აქამდე ეს რეკორდი ცოტა ხნის წინ გარდაცვლილ **ტიმო კონიტცკას** ეკუთვნოდა, რომელმაც 1966/67 წლების სეზონში 6-თვიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა.

კობის თანაგუნდელები გაცილებით იოლად გამოძვრნენ, თუმცა მათ ბრალდებაც მსუბუქი (მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფა) ჰქონდათ: მეკარე **თომას კრაფტი** ოთხ მატჩს გამოტოვებს, მცველი **ანდრე მიატოვიჩი** კი – სამს. **კრისტიან ლელის** საქმის განხილვა კი ჯერ კიდევ გრძელდება, რადგან ამ უკანასკნელს მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფის გარდა, ბრალად „ფორტუნას" ფეხბურთელის, **ასანი ლუკიმია-მულონგოტის** შეფურთხებაც ედება.

**გოტფრიდ ლენცი**

● სფფ-ის აღმასკომის სხდომა

# ბრალდებები ეთიკის კომისიას გადააბარეს

გუშინ გამართულ აღმასკომის სხდომაზე, რამდენიმე საკითხი განიხილეს: უპირველესად, სფფ-ში საფეხბურთო კლუბების გაწევრიანებაზე ილაპარაკეს. დღეს კი ფეხბურთის ფედერაციის საანგარიშო ყრილობა გაიმართება, სადაც განიხილავენ, მიიღონ თუ არა ორგანიზაციის სუბიექტებად გორის "დილა", მარტვილის "მერანი" და "გაგრა". დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, სფფ-ს ყრილობაზე ხმის უფლების მქონე სუბიექტების რაოდენობა 32-დან 35-მდე გაიზრდება.

ცნობილი გახდა 2012-2013 წლების სეზონისათვის ლიცენზირების წინასწარი შედეგები, რომელიც სავალალოა: უმაღლესი ლიგის 12 კლუბიდან ეროვნული ჩემპიონატის მინიმალური მოთხოვნები მხოლოდ 8 კლუბმა დააკმაყოფილა.

სფფ-ს ექსპერტებისგან უეფასა და ეროვნული ლიცენზიები ხუთმა კლუბმა მიიღო: „ზესტაფონმა", „მეტალურგმა", "ტორპედომ", თბილისის „დინამომ" და „დილამ". „მერანს", "ჩიხურასა" და "სიონს" მხოლოდ ეროვნული ლიცენზია მიენიჭათ.

დანარჩენებს ეროვნულ ლიცენზიებზეც უარი ეთქვათ - "ვიტ ჯორჯიას", ფოთის "კოლხეთს", ბათუმის "დინამოსა" და "ბაიას", რაც მათ არ გაუპროტესტებიათ. სალიცენზიო ციკლის შედეგები უეფას ეცნობა.

აღმასკომის გადაწყვეტილებით, ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტი არალიცენზირებულ კლუბებს მალე აცნობებს, რა საჯარიმო სანქციები იქნება. და თუ ამას ყურადღებას არ მიაქცევენ, შესაძლოა, უმაღლესი ლიგიდან მოკვეთონ ან ჩემპიონატის დაწყებამდე ქულები დააკლონ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამბავი: ფეხბურთის ფედერაციას პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ** პროფესიული ფეხბურთის ლიგის აღდგენის სურვილი გამოთქვა. ოფიციალურად, პროფლიგა არც გაუქმებულა და მისი პრეზიდენტი დღემდე ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **გია ფირცხალავა** გახლავთ. სწორედ მას დაევალა 1 ივლისამდე კლუბებთან შეხვედრა და მათი მოსაზრებების გაცნობა, თუ როგორ, რა ფორმით და შინაარსით აჯობებს ორგანიზაციის არსებობა.

აღმასკომზევე ფუტსალში არსებული მდგომარეობაც განიხილეს. ამ სახეობაში მალე საარჩევნო ყრილობა გაიმართება და ასოციაციას ახალი პრეზიდენტი ეყოლება. ფუტსალის კურატორობა კი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილეს, **დავით ნამგალაურს** გადააბარეს.

ერთ-ერთი უმთავრესი თემა „ზესტაფონის" პრეზიდენტის **ილია კოკაიას** ბრალდებები იყო. მან სფფ-ში შეტანილ წერილში ეჭვი გამოთქვა, რომ „მერანი"-"მეტალურგის" მატჩი გარიგებული იყო. ამან მარტვილელები და რუსთაველები აღაშფოთა და ფედერაციაში გაგზავნილ წერილში მოითხოვეს, რომ კოკაიას ბრალდება დაესაბუთებინა, ან ბოდიში მოეხადა. ფაქტობრივად, ფედერაციაც იგივეს ითხოვდა.

აღმასკომზე სიტყვა მოითხოვა "მეტალურგის" ყოფილმა მმართველმა დირექტორმა **ბუბა ტყავაძემაც** და საბოლოოდ, ამის საშუალება მიეცა. ტყავაძემ აღმასკომის წევრებს კიდევ ერთხელ მიმართა, თუ კოკაია ბრალდებებს ვერ დაასაბუთებს, ფედერაციამ მის სიტყვებზე რეაგირება მოახდინოს და მსგავსი ცილისწამებისგან დაგვიცვასო.

საბოლოოდ, ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ აღმასკომმა გადაწყვიტა: ფედერაციაში 1 ივლისამდე შეიქმნება ეთიკის კომისია, რომელიც განიხილავს ბრალმდებელი "ზესტაფონისა" და მისით შეურაცხყოფილი "მეტალურგისა" და "მერანის" წერილებს, საეჭვო შეხვედრების ვიდეოჩანაწერებსა და საერთოდ, ყველა მსგავს საკითხს. არადა, მანამდე იყო მუქარა, თუ კოკაია ბრალდებას ვერ დაამტკიცებდა, "ზესტაფონს" დააჯარიმებდნენ. მაგრამ საკითხის ბოლომდე შესწავლამდე სანქციები მიზანშეუწონლად ჩათვალეს.

ბოლოს კი განიხილეს ჩემპიონატის საპრიზო ფონდის განაწილების საკითხი, რაშიც, სიჭინავას თქმით, გაითვალისწინეს კლუბების მოსაზრება.

**მერაბ მამულაშვილი**



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

● U16

# კასპიის თასი ქართველებისაა

## აკობიას დევდარიანი შეცვლის

გუშინ ბაქოში "კასპიის თასის" გათამაშება დასრულდა, რომლის ფინალშიც ერთმანეთს მასპინძელი აზერბაიჯანისა და საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებები დაუპირისპირდნენ. ჩვენმა გუნდმა ტურნირი თურქეთთან მარცხით დაიწყო, მაგრამ მაინც ჩემპიონი გახდა – საქართველოს ნაკრებმა ფინალი 1:0 მოიგო, გამარჯვების გოლი კი 71-ე წუთზე **რევაზ ბარამიძემ** გაიტანა.

საქართველოს ნაკრებმა ამ შემადგენლობით ითამაშა: **გოშაძე, ველიაშვილი, მალანია, მარგველაშვილი, ტაბიძე, ზარანდია, ბერიძე, მესხი (47. ლაშხია), კერძევაძე, ხორხელი (64. ბარამიძე), შულაია.**

ტურნირზე მესამე ადგილი უზბეკეთმა დაიკავა, დანარჩენი პოზიციები კი ასე განაწილდა: 4. ყაზახეთი, 5. ლიტვა, 6. თურქეთი, 7. იაპონია, 8. ყირგიზეთი.

აღსანიშნავია, რომ "კასპიის თასის" საუკეთესო ფეხბურთელად საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი **ლუკა ზარანდია** დაასახელეს.



გიორგი დევდარიანი

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებს კი უკვე თავისუფლად შეგვიძლია ვუწუდოთ 17-წლამდელთა ნაკრები. შეგახსენებთ, ეს **ვასილ მაისურაძის** გუნდის შემდეგი თაობაა, რომელიც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში შემოდგომიდან ჩაერთვება. საქართველოს ნაკრები ჯგუფის მასპინძელი იქნება და თბილისში უკრაინას, შოტლანდიასა და უკრაინას დაუპირისპირდება. ელიტრაუნდში ჯგუფიდან ორი გუნდი გადის.

ჩვენს ხელთ არსებული სარწმუნო ინფორმაციით, უახლოეს დღეებში საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებს მთავარი მწვრთნელი შეეცვლება და **ნოდარ აკობიას** ადგილს **გიორგი დევდარიანი** დაიკავებს. ზედმეტია იმის შეხსენება, რომ მას ამ ასაკობრივ ნაკრებთან მუშაობის საკმაო გამოცდილება აქვს, დევდარიანის ბოლო სამუშაო ადგილი კი თბილისის "დინამო" იყო.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● U21. საკვალიფიკაციო ეტაპი

დღეს, ტალინში, 18:30

ესტონეთი-საქართველო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 6 | 6 | 0 | 0 | 21-2 | 18 |
| 2. შვეიცარია | 6 | 4 | 1 | 1 | 12-4 | 13 |
| 3. ხორვატია | 6 | 2 | 0 | 4 | 6-9 | 6 |
| 4. საქართველო | 5 | 1 | 0 | 4 | 3-15 | 3 |
| 5. ესტონეთი | 5 | 0 | 1 | 4 | 0-12 | 1 |

დინამო

# დიდი ცვლილებების მოლოდინი

**გასული სეზონის დასრულებამდე "დინამოს" პრეზიდენტი რომან ფიფია გუნდის მნიშვნელოვან განახლებაზე ალაპარაკდა - მოთამაშეთა მნიშვნელოვანი ჯგუფი დაგვტოვებსო. პირველი სიგნალი გულვერდ თომაშვილის გორის "დილაში" გადასვლა აღმოჩნდა, რომელიც, ერთი შეხედვით, თბილისელთა შეუცვლელი მოთამაშე იყო და ცხადი გახდა – ყველაზე ტიტულოვან ქართულ კლუბში ცვლილებები დაიწყო. თბილისის "დინამოში" მოსალოდნელ სიახლეებზე გუნდის გენერალური დირექტორი სანდრო შახოვი გველაპარაკა:**


სანდრო შახოვი

- ცვლილებები ნამდვილად იგეგმება და ეს არავის გაუკვირდება, თუ დასრულებულ ჩემპიონატში გუნდის მიერ ნაჩვენებ შედეგს გავითვალისწინებთ. ცხადია, მე-4 ადგილი "დინამოსთვის" დიდი წარუმატებლობა იყო.

**- როგორც ჩანს, ამას საქმისადმი ფეხბურთელების დამოკიდებულებას მიაწერთ.**

- გარკვეულწილად, ასეც არის. მაგრამ წარუმატებლობა რამდენიმე ფაქტორით აიხსნება და მხოლოდ ერთის გამოყოფა რთულია. ჩვენ შესაბამისი დასკვნები გამოვიტანეთ და ალბათ, გუნდის დატოვება ფეხბურთელების გარკვეულ ნაწილსაც მოუწევს. ბუნებრივია, მოვლენ ახლებიც და გუნდი განახლდება. თუმცა, არ მინდა მოვლენებს დავასწრო, ცვლილებებს უახლოეს პერიოდში პრეზენტაციიდან შეიტყობთ.

**- შეეფერება თუ არა სიმართლეს ცნობა, თითქოს "დინამოდან" გოგიტა გოგუა მიდის?**

- ამ ინფორმაციას, ჯერჯერობით, ვერ დაგიდასტურებთ. ჩვენ ბევრი ფეხბურთელის კონტრაქტებსა და ტრანსფერებზე ვმუშაობთ.

**- და ვის დაიმატებთ?**

- მრავალი ვარიანტი განიხილება. მაგრამ ვის დავიმატებთ, უპირველესად, ახალ მთავარ მწვრთნელზე და ცხადია, ჩვენთვის საინტერესო მოთამაშის სურვილზეა დამოკიდებული. ყველაფერი შეკრების დროს გადაწყდება. სამწუხაროდ, ევროთასებზე ვერ გავედით და ახლა მოსამზადებლად ძალიან დიდი დრო გვაქვს. ამიტომ, ამ კუთხით არ ვჩქარობთ და ყველას საკითხს დეტალურად შევისწავლით.

**- გიორგი ლორიამ "დინამო" უკვე დატოვა?**

- ვმუშაობთ, ფეხბურთელის ინტერესიც რომ დაკმაყოფილდეს და კლუბისაც. მოლაპარაკება ნამდვილად მიმდინარეობს და როგორც კი დასრულდება, ცხადია, მაშინვე განვაცხადებთ.

**- ანუ გინდათ თქვათ, რომ ამჟამად არც არავინ მოსულა და არც არავინ წასულა?! მაგალითად, გორის "დილაში" დაგვიდასტურეს, რომ თომაშვილი ამ კლუბის ფეხბურთელი გახდა.**

- ჯერ ვერაფერს დაგიდასტურებთ.

**მერაბ მამულაშვილი**

ზესტაფონი

# დაჯილდოება 11 ივნისის შემდეგ



სეზონი დასრულდა, მაგრამ "ზესტაფონისთვის" ჩემპიონობისათვის განკუთვნილი თასი და მედლები ჯერ არ გადაუციათ. 20 მაისს უმაღლესი ლიგის ბოლო ტური იყო, მაგრამ, როგორც გახსოვთ, ჩემპიონი მეორე დღეს, ალმასკომზე "გამოვლინდა". იყო ვარაუდი, რომ "ზესტაფონს" 26 მაისს, საქართველოს თასის ფინალის წინ დააჯილდოებდნენ, მაგრამ არც ეს მოხდა; 29 მაისს "ზესტაფონმა" "გაგრას" დამარცხებით საქართველოს სუპერთასი მოიპოვა, მაგრამ საჩემპიონო თასი არც მაშინ მიუღია, რადგან სუპერთასზე ფეროელებმა ექსპერიმენტული შემადგენლობით ითამაშეს, არაერთი წამყვანი ფეხბურთელი კი იმ დროისთვის უკვე შვებულებაში იყო.

"ზესტაფონი" ახალი სეზონისთვის მზადებას საკუთარ ბაზაზე 11 ივნისს დაიწყებს და თასის გადაცემაც და საჩემპიონო ზეიმიც სწორედ ამის შემდგომ დღეებში გაიმართება. დაჯილდოება, რა თქმა უნდა, ზესტაფონში გაიმართება. საზეიმო ღონისძიებებს კი ორგანიზებას ერთობლივად გაუწევენ "ზესტაფონი", იმერეთის სამხარეო ადმინისტრაცია და ზესტაფონის მუნიციპალიტეტი.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# შოთა გრიგალაშვილის მომავალი მალე გაირკვევა

„ზესტაფონის" ერთ-ერთ ლიდერს, 25 წლის **შოთა გრიგალაშვილს** იმერულ კლუბთან კონტრაქტი ამა წლის პირველ ივლისს ეწურება. უკვე გადაწყვეტილია, რომ საქართველოს ნაკრებისა და "ზესტაფონის" ნახევარმცველი კონტრაქტს აღარ გააგრძელებს, თუმცა გრიგალაშვილი ვარჯიშს კვლავაც ან უკვე თავის ყოფილ კლუბთან განაახლებს. „ზესტაფონი" 11 ივნისს, საკუთარ საწვრთნელ ბაზაზე შეიკრიბება და ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპისათვის მზადებას დაიწყებს.

საინტერესოა, სად გააგრძელებს კარიერას გრიგალაშვილი. როგორც შევიტყვეთ, გრიგალაშვილით უკრაინული და რუსული გუნდები არიან დაინტერესებული და ბოლო წლებში საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელის არჩევანიც ამ ქვეყნებიდან რომელიმეზე შეჩერდება.

„ლელოსთან" საუბარში ფეხბურთელმა კონკრეტული კლუბის დასახელებისგან თავი შეიკავა, თუმცა გვითხრა, რომ ორ კვირაში ყველაფერი გაირკვევა და მომავალი გუნდის ვინაობაც ცნობილი გახდება.

**მაგდა კლდიაშვილი**

# ბუბა ტყავაძე: დინამო? მალე გადაწყდება


ბუბა ტყავაძე

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

მცირე ხნის წინ ვწერდით, რომ რუსთავის "მეტალურგის" მმართველი დირექტორი **ბუბა ტყავაძე** თბილისის "დინამოში" ბრუნდებოდა. ჩვენი ცნობით, თბილისური კლუბის პრეზიდენტმა **რომან ფიფიამ** მას სპორტული დირქტორის პოსტი შესთავაზეს.

*"კლუბიდან შემოთავაზება ნამდვილად მივიღე და ამას არც ვმალავ. ჯერ არ დავბრუნებულვარ, მაგრამ საკითხი რამდენიმე დღეში გადაწყდება"*, – გვითხრა ტყავაძემ.

ამ ინფორმაციის პარალელურად გავრცელდა ხმები, თითქოს, **ბადრი პატარკაციშვილის** ოჯახმა "მეტალურგის" გაყიდვა გადაწყვიტა: *"ჩემთვის მსგავსი არაფერია ცნობილი. იმედია, გუნდი ისევ ისე დაფინანსდება და კვლავ ჩემპიონობისთვის იბრძოლებს".*

ამავე დროს შევიტყვეთ, რომ რუსთავული კლუბის ერთ-ერთი ლიდერი და საქართველოს ნაკრების კანდიდატი, **ირაკლი მაისურაძეც**, შესაძლოა, "დინამოში" გადავიდეს. თუმცა, ტყავაძეს ამ საკითხზე კომენტარი არ გაუკეთებია.

**მერაბ მამულაშვილი**

ევროტურნირების წინ



# უეფამ სტადიონები დაგვიწუნა

## დილა და მეტალურგი თბილისში ითამაშებენ

როგორც ჩანს, უეფამ ლიცენზირების პირობები მართლაც გაამკაცრა. თუ შარშან ქართულ კლუბებს ევროთასების საწყის ეტაპზე საკუთარ სტადიონებზე მასპინძლობის უფლება დართო, ახლა ეს ფუფუნება ბევრს მოაკლდება.

მაგალითად, გორის "დილას" სტადიონი ჯერ კიდევ განახლების პროცესშია. კლუბის დირექტორის, **ზურაბ დალაქიშვილის** თქმით, ევროთასებამდე დასავლეთ ტრიბუნის აშენებაც დასრულდება და წესით, სტადიონმა უეფას მინიმალური მოთხოვნა უნდა დააკმაყოფილოს.

მაგრამ უეფას მხოლოდ დაპირება არ აკმაყოფილებს: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, **ზვიად სიჭინავას** თქმით, ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა "დილას" მოსთხოვეს, რომ ევროპის ლიგის მატჩების მასპინძლობისთვის დასრულებული სტადიონის კანდიდატურა წარედგინათ. არადა, გვახსოვს, რუსთავის "მეტალურგს" საკუთარ სტადიონზე თამაშის უფლება ისე დართეს, რომ "ფოლადზე" ჯერ კიდევ მშენებლობა მიმდინარეობდა.

სხვა რა გზაა, გორელები ევროპის ლიგის საშინაო მატჩ(ებ)ს მშობლიური ქალაქის ნაცვლად, თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ჩაატარებენ.

დაუსრულებელს ვინ ჩივის, რუსთავის "მეტალურგს" კოხტა და მოწესრიგებული სტადიონი დაუწუნეს: ადრე იქ ევროპის ლიგის საწყისი ორი ეტაპის მატჩებს მაინც მასპინძლობდნენ. ახლა კი გუნდს პირველი ეტაპის მასპინძლობის უფლებაც არ დართეს და სავარაუდოდ, "მეტალურგიც" თბილისში ითამაშებს.

სამაგიეროდ, პრობლემა არ შეექმნება "ტორპედოს" და ევროპის ლიგის სამივე საკვალიფიკაციო ეტაპის საშინაო მატჩებს ქუთაისში ჩაატარებს.

"ზესტაფონს" კი "დავით აბაშიძეზე" საწყისი ორი ეტაპის ჩატარების უფლება აქვს. რადგან გუნდი ჩემპიონთა ლიგაზე მეორე საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაებმება, გამოდის, რომ ზესტაფონელები საყვარელი გუნდის მხოლოდ ერთ საშინაო შეხვედრას იხილავენ. "ზესტაფონი" თუ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გაალწევს, აქ უკვე საქმე ძალზედ რთულად იქნება.

*"ჯერ კიდევ არ გაურკვეველია, უეფა ჯგუფური ეტაპის მატჩების მასპინძლობის უფლებას ქართულ სტადიონებს მისცემს თუ არა. იყო კიდეც ლაპარაკი, რომ წარმატებული ასპარეზობის შემთხვევაში, შესაძლოა, "ზესტაფონმა" თურქეთში ითამაშოს"*, – ამბობს 'ზესტაფონის" პრესატაშე **სერგო ფუტკარაძე**.

**მერაბ მამულაშვილი**

# სირაძემ ნალჩიკი დატოვა

**დავით სირაძის** ნალჩიკის "სპარტაკი" რუსეთის პრემიერლიგიდან გავარდა. სად გააგრძელებს კარიერას 30 წლის თავდამსხმელი? "სპარტაკს" პირველ ლიგაში დაეხმარება თუ ახალ კლუბში გადავა?

ამის თაობაზე ზუსტი პასუხი ფეხბურთელს ჯერ არ აქვს. ამასობაში, შევიტყვეთ, რომ საქართველოს ნაკრების ყოფილი თავდამსხმელით საქართველოს ჩემპიონატის ორი ლიდერი დაინტერესდა – თბილისის "დინამო" და ქუთაისის "ტორპედო". ინფორმაციის დასაზუსტებლად კლუბების ხელმძღვანელებს მივმართეთ.

**სანდრო შახოვი** ("დინამოს" გენერალური დირექტორი): *"დავით სირაძის ჩამოყვანაზე რა უნდა გითხრათ? მრავალი ვარიანტი განიხილება, მაგრამ ჯერ კონკრეტულად არაფრის თქმა შემიძლია".*

**გიორგი პაპიაშვილი** ("ტორპედოს" აღმასრულებელი დირექტორი): *"სირაძეზე სერიოზული ლაპარაკი არ ყოფილა. ამ ეტაპზე მეტს ვერაფერს გეტყვით".*



ცხადია, სირაძეს რუსეთის პირველ ლიგაში თამაში არ სურდა, მაგრამ საქმეს ის ართულებდა, რომ ნალჩიკელებთან კონტრაქტი 2013 წელს უმთავრდებოდა და კლუბს თავისუფლად ვერ დატოვებდა. სირაძე ნალჩიკში, "სპარტაკთან" ურთიერთობის გასარკვევად იმყოფებოდა. გუშინ კი "სპარტაკის" პრესსამსახურმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე კლუბმა და სირაძემ კონტრაქტი გაწყვიტეს.

ასეა თუ ისე, მალე გვეცოდინება, გამოცდილი თავდამსხმელი საქართველოში დაგვიბრუნდება თუ კარიერას სხვაგან გააგრძელებს.

**მერაბ მამულაშვილი**

ქართული ფეხბურთი

U21

# ნიკა საბანაძე: ნაკრებში კარგი განწყობილებაა

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები დღეს, ტალინში ესტონელ თანატოლებს დაუპირისპირდება. 31 მაისს ესტონელები ტალინის "ლილეკიულას" არენაზე ლიდერ ესპანეთთან 0:1 დამარცხდნენ და 1 ქულით ჯგუფის აუტსაიდერები არიან; თუმცა, ბალტიელებს იმედი აქვთ, რომ 3-ქულიან საქართველოს მოუგებენ და ბოლო ადგილზე გადაანაცვლებენ.



საბედნიეროდ, ჩვენ გუნდშიც ანალოგიური განწყობილებაა: საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა სულ ახლახანს მინსკში ბელარუსის 20-წლამდელთა ნაკრებს 1:0 სძლია და ტალინშიც მოსაგებად ჩავიდა. ოპტიმისტურად არის განწყობილი ქუთაისის "ტორპედოს" თავდამსხმელი **ნიკა საბანაძეც,** რომელმაც მინსკში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მაისურა მეორედ მოირგო.

*"მიმაჩნია, რომ ბელარუსთან კარგად ვითამაშეთ. მეტოქეს აშკარად ვჯობდით და მრავალი საგოლე მომენტი შევქმენით, მათ კი მთელი 90 წუთის განმავლობაში მხოლოდ ერთი რეალური შანსი ჰქონდათ, ისიც, პირველ ტაიმში. ასე რომ, მინსკში დამსახურებულად გავიმარჯვეთ.*

ალექსანდრე ჩივაძემ თავდასხმის ცენტრში მარტო დამაყენა. საგოლე მომენტი მეც მქონდა, საჯარიმოში კუთხიდან შევედი და გატანა შემეძლო, მაგრამ მეკარემ ამილო. ტალინში 2 ივნისს ჩამოვფრინდით და ძალიან კარგ პირობებში ვემზადებოდით. გუნდში კარგი განწყობილებაა და ვფიქრობ, ესტონელებთან მოგება შეგვიძლია", – ამბობს საბანაძე.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# ემპოლის ნაბიჯი სერია B-სკენ

ევროპული ლიგების აბსოლუტურ უმრავლესობაში სეზონი უკვე დასრულდა, თუმცა არის რამდენიმე გამონაკლისი და მათ შორისაა იტალიის სერია B-ც, სადაც პლეი ოფისა და პლეი აუტის მატჩები მიმდინარეობს.

ეს ამბავი ჩვენთვის საინტერესო იმითაა, რომ სერია B-ში დასარჩენ პლეი აუტში მონაწილეობს "ემპოლი", რომლის ღირსებასაც **ლევან მჭედლიძე** და **ირაკლი შეყილაძე** იცავენ. "ემპოლიმ" პლეი აუტის პირველი მატჩი სტუმრად "ვიჩენცასთან" ჩაატარა და ფრედ, 0:0 ითამაშა. შეყილაძე განაცხადში არ ყოფილა, მჭედლიძე კი მოედანზე 84-ე წუთზე შევიდა.

ამ შედეგით ქართველთა გუნდმა ლიგაში დარჩენის კარგი შანსი გაიჩინა. საპასუხო შეხვედრა "ემპოლის" მოედანზე 8 ივნისს გაიმართება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

რეგიონი

# პირველად მსოფლიოში... შიბაქლიგა ლანჩხუთში!

ლანჩხუთში, იმედო დუნდუას სახელობის ხელოვნურსაფრიან მოედანზე წარსულში ცნობილი ფეხბურთელის, **ლევან ჟორდანიას** სახელობის ტურნირის მთავარი მატჩები გაიმართა. ფინალი პირველი და სუფსის სკოლების მონაწილეობით, დრამატული აღმოჩნდა. ძირითადი დრო და პენალტების ძირითადი სერია ფრედ დასრულდა. გადამწყვეტი იყო **თეკლა დვალიშვილის** (გუნდები დაავალდებულეს, მინიმუმ ერთი გოგონა ჰყოლოდათ შემადგენლობაში) მიერ გატანილი პენალტი, რომელმაც გამარჯვება პირველ სკოლას მოუტანა. ჯილდოს გარეშე თითქმის არავინ დაუტოვებიათ. პრიზების დიდი ნაწილი ლევან ჟორდანიას ვაჟმა, **მერაბ ჟორდანიამ** ჰოლანდიიდან გამოგზავნა. 1-ელ ივნისს ასევე გაიმართა შიბაქლიგის პირველი გათამაშება (მსოფლიოში ანალოგიურია პამპერსლიგის გათამაშება), რომლის ჩატარების იდეა ლანჩხუთის საფეხბურთო სკოლის დირექტორსა და აღნიშნული ტურნირების სულის ჩამდგმელს, **დურმიშხან ჩხაიძეს** ეკუთვნის. 16 ბალის ალსაზრდელებმა „სახალისო ფეხბურთის" წარმომადგენელ **ვალერი ჩოლარიას** მიერ საჩუქრად გამოგზავნილ გასაბერ მოედანზე ითამაშეს, გამარჯვებულ მაჩხვარეთის ბალს გადაეცა **გოგი ორაგველიძის** მიერ შექმნილი სიმბოლური ნამუშევარი - გიგანტური შიბაქი.

**მათე გურული**
ლანჩხუთიდან



გამარჯვებული ბავშვები დურმიშხან ჩხაიძემ დააჯილდოვა



# ფრაგმენტები შოთა არველაძის ავტობიოგრაფიული წიგნიდან

შოთა არველაძე

ბიბლიოთეკა

# იმ საქართველოს გაუმარჯოს...

გაგრძელება. დასაწყისი:
**ლელო № 110(13716)**

ფეხბურთელებში კი ეიფორია გამძაფრდა. ვარჯიშების შესრულების დონითაც ვატყობდით, რა პოტენციალი გვქონდა ნაკრებს, მაგრამ ეს, თურმე, ბევრს არაფერს ნიშნავდა.

თბილისში გერმანელები რომ ჩამოვიდნენ, ეს უდიდეს მოვლენად შეირაცხა. სტადიონზე ასი ათასი კაცი მოვიდა, ხალხი კიბეზეც იჯდა. ზოგს ეშინოდა, სტადიონი არ დაინგრესო.

თამაშის წინადღეს, ტრადიციისამებრ, „დინამოს" დილმის ბაზაზე ჩვენს დასალოცად მამაო მობრძანდა. დაგვლოცა და გამარჯვება გვისურვა. გვითხრა, — არავისზე ნაკლები არა ხართ და გერმანელებს ნუ შეუშინდებითო. მათ თუ **გოეთე და ბეკენბაუერი** ჰყავდათ, ჩვენ **მურთაზ ხურცილავა, საშა ჩივაძე და რუსთაველი** გვყავსო. **გოჩა გოგრიჭიანმა** კი უადგილოდ წამოიძახა, — გერმანელებს თუ **ჰიტლერი** ჰყავდათ, ჩვენ **სტალინი** გვყავდაო. სიტუაცია **ჩივაძემ** განმუხტა და მამაოს მის მაგივრად შენდობა სთხოვა, მერე კი გოგრიჭიანს მიუბრუნდა და პირჯვარი გადაწერა...

**იურგენ კლინსმანი, ანდრეას მიოლერი, მარიო ბასლერი, შტეფან რიტერი, თომას ჰესლერი, ანდრეას კეპკე, თომას ჰელმერი**... გერმანიას დიდებული გუნდი ჰყავდა და 1996 წელს ევროპის ჩემპიონიც გახდა. როცა ჰიმნი დაუკრეს, **გოჩა ჯამარაულმა** ჩურჩულით მითხრა, ისეთი გუნდია, 0:2-ს თუ წავაგებთ, თანახმა ვიქნებიო. ეს ხუმრობა იყო, მაგრამ ყველაფერი ზუსტად ასე მოხდა.

ბასლერის კუთხური და კლინსმანის თავური გოლი, — ასე დაწინაურდნენ გერმანელები. ჩვენ ერთი პერიოდი თამაში დავიჭირეთ და ერთი-ორი სახიფათო მომენტიც გამოგვივიდა. ერთ-ერთი ასეთი აფეთქებისას, **გიოს** პასით, ანდრეას კეპკესთან პირისპირ დავრჩი, მეკარეც კი მოვატყუე და ბურთი უნდა შემეგდო, მაგრამ მახვილი კუთხიდან ბურთის მოტრიალება ველარ შევძელი და ჩემი დარტყმული გარედან მოხვდა ბადეს. წარმომიდგენია, რა მოხდებოდა, სტადიონზე ეს გოლი რომ გასულიყო... ალბათ ძალა მოგვემატებოდა და, ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა თამაში...

მეორე ტაიმში ისევ კლინსმანმა გაგვიტანა და ანგარიში ორამდე გაზარდა. ჩვენ კი ისევ გიოს პასით შეგვეძლო გოლის შეგდება. გოჩა გოგრიჭიანი კეპკესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ გერმანელ მეკარეს ვერ აჯობა.

ეს დამარცხება ლოგიკური იყო, გერმანელებს სერიოზული გუნდი ჰყავდათ, მათი დამარცხება დიდ ნაკრებებსაც ყოველთვის უჭირთ.

უელსს კი, გიოს გატანილი გოლით, კარდიფშიც მოვუგეთ. საჯარიმოსთან მიახლოებულმა, **ნევილ საუთჰოლს** ბურთი თავზე გადაუგდო. ამ თამაშიდან ათი წლის შემდეგ, „რეინჯერსში" თამაშისას, **ანდრეი კანჩელსკისმა** მითხრა: როდესაც მე და **მარკ ჰიუზი** „მანჩესტერში" ერთად ვთამაშობდით, გაცოფებული ჰყვებოდა საქართველოსთან თამაშის შესახებო... ამ პატარა ბავშვებმა ბურთი თავზე დაგვახიესო!.. თავი ბრაზილიაში მეგონაო, ბრიტანელებსაც ვუთხარი, — ადრე საქართველოს საბჭოთა ბრაზილიას ეძახდნენ-მეთქი.

ნიურნბერგში, გერმანიასთან მატჩი საინტერესოდ დაიწყო... **ქეცბაიას** გოლით დავწინაურდით, რამაც გერმანელები ცოტა არ იყოს, დააბნია, მაგრამ ტაიმის ბოლოს სწრაფი მიოლერი კარგად გასცდა **მურთაზ შელიას** და ჩვენს მეკარე **აკაკი დევაძეს**, ახლო კუთხეში გაუტანა გოლი. ამ გოლმა გერმანელები გამოაფხიზლა, ჩვენ კი - გაგვტეხა. მეორე ტაიმში ბუნდესნაკრებმა გვაჯობა და კიდევ სამი უპასუხო გოლი გაგვიტანა.

შესარჩევი ციკლის ბოლო ტურის წინ უკვე გადაწყვეტილი იყო, რომ გერმანია და ბულგარეთი გადიოდნენ ჯგუფიდან.

ასეთ დროს გვეწვია თბილისში ბულგარეთის ნაკრები. ეს გუნდი, ერთი წლის წინ, მუნდიალზე, მეოთხე ადგილზე გავიდა. ბულგარელებს მაშინ ვარსკვლავური პლეადა ჰყავდა: — **ხრისტო სტოიჩკოვი, ნასკო სირაკოვი, ემილ კოსტადინოვი, ლუბოსლავ პენევი, კრასიმირ ბალაკოვი, იორდან ლეჩკოვი, ტრიფონ ივანოვი**...

ისინი საუკეთესო შემადგენლობით ჩამოვიდნენ და თბილისშიც ცხვირაწეულები დადიოდნენ. ეს ჩივაძეს აღიზიანებდა, - მაგათ არ იციან, სად ჩამოვიდნენ, მაგ ბრექებს ჭკუა უნდა ვასწავლოთო. თამაშის წინა გარჩევაზე, „ჩივამ" ბულგარეთის დადებით მხარეებზე ილაპარაკა, რამდენჯერმე აღნიშნა მათი „კოზირები", ერთი მომენტი კიდევ ჩაიხვია, მათი კოზირია ეს და მათი კოზირია ის. მოკლედ, ბევრჯერ რომ ახსენა სიტყვა „კოზირი", არც ჩვენ ჩამოვრჩით და გოჩა ჯამარაულმა უთხრა: — ნუ ნერვიულობ, გავრილოვიჩ, ჩვენ „ბესკოზირას" ვითამაშებთ და ნაღდად მოვუგებთო. გასახდელში ყველა გახალისდა და მატჩის წინა ნერვიულობა თითქოს სადღაც გაქრა. მოკლედ, განწყობა ისეთი იყო, რომ ამ თამაშს ნამდვილად მოვიგებდით.

საშა ჩივაძემ თავდასხმაში მე და **აჩი** დაგვაყენა. გოჩა ჯამარაული არ იყო საუკეთესო კონდიციაში, რადგან ტრავმა ახალი მოშუშებული ჰქონდა, მაგრამ თამაშის მეორე წუთზე სასწაული პასი მომცა და **ბორისლავ მიხაილოვთან** პირისპირ დამტოვა.

მოვატყუე მეკარე და ანგარიში 1:0 გახდა. სტადიონი აგუგუნდა, ხალხი ასეთ დაწყებას არ ელოდა.

კარგად გახსნილი თამაში წავიდა და ბულგარელებს პირწმინდად ვაჯობეთ!.. მეორე ტაიმში, მარცხენა ფლანგზე, **კახა გოგიჩაიშვილმა** რამდენიმე მცველი ჩამოიტოვა და მისი გაჩერება ბულგარელებმა მხოლოდ უხეშობით შეძლეს, რასაც პენალტი მოჰყვა... გიომ თერთმეტმეტრიანი დაარტყა და... 2:0! გოლის გატანა კიდევ შეეძლო, — თავის ჩვეულ სტილში ორი მეტოქე მოატყუა, მიხაილოვს ბურთს თავზე უგდებდა, მაგრამ სიზუსტემ ოდნავ უმტყუნა. მატჩის ბოლოს კი ხრისტო სტოიჩკოვმა ერთი ბურთი გაქვითა. ამ გამარჯვებას შეიძლება ბევრი არც ელოდა, მათ შორის, არც მსოფლიოსთვის უკვე კარგად ცნობილი ბულგარელები... ამ დამარცხებამ რომ გადარია, თამაშის შემდეგ მათ საქციელზეც აისახა. უმეტესობამ მინდორი ისე დატოვა, ხელიც კი არ ჩამოგვართვეს... სტოიჩკოვს მაისურის გაცვლა შევთავაზე, მაგრამ უხეშად მითხრა უარი. მესმის, ჩვენთან დამარცხებას არ ელოდა და გაგიჟებული იყო. გული ისე მომივიდა, რომ მას შემდეგ აღარავისთვის შემითავაზებია მაისურის გაცვლა. სტოიჩკოვმა კი გასახდელში ხელი მხოლოდ **გიო ქინქლაძეს** ჩამოართვა და თავისი მაისურიც მას აჩუქა.



1995 წელი. საქართველო-გერმანია

ეს დიდი გამარჯვება იყო! ჩვენ ევროპის ერთ-ერთი გრანდი დავამარცხეთ და ყველას ვაჩვენეთ, რომ ჩვენთან ცხვირაწეული თამაში არავის წაადგებოდა!..

თხუთმეტი ქულით ჯგუფში მესამე ადგილი დავიკავეთ. ასეთი მაღალი შედეგი საქართველოს ნაკრებს მას შემდეგ აღარ ჰქონია!.. მე ყველა სანაკრებო მატჩი ვითამაშე და ოთხი გოლი გავიტანე.

მომდევნო შესარჩევში ჩვენი მეტოქეები: იტალია, ინგლისი, პოლონეთი და მოლდოვა იყვნენ. საშა ჩივაძემ პრესას განუცხადა, — ჩვენი მიზანი ჯგუფში მეორე ადგილზე გასვლა და „საფრანგეთი 98"-ზე მოხვედრა იქნებაო. ეს გულშემატკივრების მოთხოვნაც იყო, ყველა ხედავდა, რომ საქართველოს კარგი ფეხბურთელები ჰყავდა, ამიტომ ფინალურ ეტაპზე მოხვედრა სავსებით რეალური იყო...

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2012 პორტუგალიის ნაკრები

# ნანი, კოენტრაო და მოუტინიო დაშავდნენ

## ამბობენ, სერიოზული არაფერიაო...



ნანის ტრავმა სერიოზული არ არის

ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე 4 დღით ადრე პორტუგალიის ნაკრებს საკადრო პრობლემები შეექმნა: ნახევარმცველებს, **ჟოაო მოუტინიოს** და **ნანის**, ასევე მცველ **ფაბიო კოენტრაოს** მცირე ტრავმები აწუხებთ - გუშინდელმა ვარჯიშმა ამ სამეულის გარეშე ჩაიარა.

ჩვენი პორტუგალიელი კოლეგების ცნობით, მოუტინიო, ნანი და კოენტრაო თურქეთის ნაკრებთან ტესტ-მატჩში (1:3) დაშავდნენ. თუმცა პორტუგალიური პრესა იმასაც წერს, რომ ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის პირველ ტურში მათი თამაში კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგას და გუშინ მხოლოდ იმიტომ არ ივარჯიშეს, რომ მთავარმა მწვრთნელმა **პაულუ ბენტუმ** რისკზე წასვლა არ ისურვა.

დღეს პორტუგალიის ნაკრები პოლონურ ოპალენიცაში დაბინავდება. შეგახსენებთ, რომ შაბათს პორტუგალია გერმანიის ნაკრებს ხვდება. **კრიშტიანო რონალდოსა** და კომპანიას გერმანელებთან ერთად, დანიასა და ჰოლანდიასთან ბრძოლები მოუწევთ.

**გოტფრიდ ლენცი**

ევრო 2012 ირლანდიის ნაკრები

# ჯოვანი ტრაპატონი მეოთხედფინალზე ოცნებობს

ირლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი, უბერებელი **ჯოვანი ტრაპატონი** ევროპის ჩემპიონატისთვის ოპტიმისტურადაა განწყობილი – ტრაპს სჯერა თავისი გუნდის პოტენციალის და საფეხბურთო ირლანდიას გარანტიას აძლევს, ეს გუნდი არ შეგარცხვენთო.

ორიოდ დღის წინ ტრაპატონის ასისტენტმა **მარკო ტარდელიმ** განაცხადა, რატომღაც მგონია, რომ პირველ ტურში ხორვატიასთან ფრეს ვითამაშებთ, მერე კი იტალიასაც მოვუგებთ და ესპანეთსაცო. გუშინ 73 წლის იტალიელ სპეციალისტს ტარდელის ამ ნათქვამზე კომენტარი სთხოვეს და აი, რა თქვა ჯოვანიმ: *„მარკო უდიდესი ენთუზიასტია იმ ადამიანებს შორის, ვინც ოდესმე შემხვედრია. ტარდელი ყოველთვის მეოცნებე იყო და დღესაც ოცნებობს. ხომ იცით, ხანდახან ოცნებები მართლაც ახდება ხოლმე...“*

ევროპის ჩემპიონატის ყველა დროის ყველაზე ასაკოვანი სპეციალისტი ირლანდიასა (მალეჰიდში) და იტალიაში (მონტეჩატინი) გავლილი მოსამზადებელი შეკრებებით კმაყოფილია.

*„თამამად შემიძლია ვთქვა, რომ გუნდი უკვე ძალიან კარგადაა შეთამაშებული – ბიჭები ერთმანეთს თვალდახუჭულები უგებენ, რაც ჩემთვის ფაქტობრივად იმის გარანტიაა, რომ ევროპის ჩემპიონატზე თავს არ შევირცხვენთ“*, - უთხრა ტრაპატონიმ ჩვენს ირლანდიელ კოლეგებს და იქვე დასძინა, რომ მეოთხედფინალში გასვლაზე ოცნება რეალურია.

**გოტფრიდ ლენცი**



ჯოვანი ტრაპატონი ირლანდიის ნაკრებს 2008 წლიდან ავარჯიშებს

**ევროპის ჩემპიონატის ყველაზე ასაკოვანი მწვრთნელები**

| მწვრთნელი | ნაკრები | ტურნირი | ასაკი წელი/დღე |
|---|---|---|---|
| ჯოვანი ტრაპატონი | ირლანდია | ევრო 2012 | 73 წ./86 დ |
| ოტო ბარიჩი | ხორვატია | ევრო 2004 | 71/2 |
| ლუის არაგონესი | ესპანეთი | ევრო 2008 | 69/337 |
| ოტო რეჰაგელი | საბერძნეთი | ევრო 2004 | 69/215 |
| ვუიადინ ბოშკოვი | იუგოსლავია | ევრო 2000 | 69/40 |
| კარელ ბრიუკნერი | ჩეხეთი | ევრო 2008 | 68/215 |

**ევროპის ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელები**

| მწვრთნელი | ნაკრები | ტურნირი | ასაკი წელი/დღე |
|---|---|---|---|
| სრეჩკო კატანეცი | სლოვენია | ევრო 2000 | 36/333 |
| მიშელ პლატინი | საფრანგეთი | ევრო 1992 | 36/355 |
| ფრანკ რიიკაარდი | ჰოლანდია | ევრო 2000 | 37/255 |
| მირჩა ლუჩესკუ | რუმინეთი | ევრო 1984 | 38/321 |
| სლავენ ბილიჩი | ხორვატია | ევრო 2008 | 39/271 |

ლა ლიგა

# გალისიელთა დაბრუნება: დეპორტივო და სელტა ელიტაში

სეგუნდა დივიზიონის გათამაშება დასრულდა - ბოლო ტურმა გამოავლინა ის მეორე გუნდი, რომელიც მომავალ სეზონში ლა კორუნიის „დეპორტივოსთან“ ერთად ელიტაში იასპარეზებს. აგრეთვე გაირკვა ლა ლიგის ბოლო, მე-3 საგზურის მოცილე 4 გუნდიც, რომლებიც პლეი ოფში ჩაერთვებიან.

ელიტასთან ხუთწლიანი განშორების შემდეგ ვიგოს „სელტა“ ბრუნდება. გამოდის, რომ სეგუნდაში პირველი-მეორე ადგილი გალისიურმა კლუბებმა დაიკავეს. ბოლო ტურში „სელტა“ 0:0 დაუზავდა „კორდობას“, „დეპორტივოს“ პირველი ადგილი განაღდებული ჰქონდა. „ბალაიდოსზე“ უცნაური სიტუაცია იყო - „კორდობას“ ფრეც ჰყოფნიდა მე-6 ადგილის (ანუ პლეი ოფის საგზურის) მოსაპოვებლად, ხოლო „სელტას“ ქულა ჰყოფნიდა ელიტაში დასაბრუნებლად. ამიტომაც გუნდებმა თავი ალარ მოიკლეს.

პლეი ოფში ითამაშებენ: „ვალიადოლიდი“, „ალკორკონი“, „ერკულესი“ და „კორდობა“.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ევრო 2012 უკრაინის ნაკრები



ანდრეი შევჩენკო

# შევჩენკო: მსოფლიოს გავაოცებთ

მიუხედავად იმისა, რომ უკრაინის ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ურთულეს ჯგუფში იასპარეზებს, **ოლეგ ბლოხინის** შეგირდები ძალიან ოპტიმისტურად არიან განწყობილნი და სჯერათ, რომ მათი გუნდი მთელ მსოფლიოს გააოცებს. ამავე აზრზეა უკრაინის უმთავრესი გუნდის ყველაზე ცნობილი ფეხბურთელი და ლიდერი, **ანდრეი შევჩენკო**. მოვუსმინოთ მას:

*“შეიძლება არ დამიჯეროთ და ბოლო ხუთი წელია, თუ რამეზე ვფიქრობ, პირველ რიგში ეს ევროპის მოახლოებული ჩემპიონატია. უკვე განვაცხადე, რომ კონტინენტის პირველობის შემდეგ, სანაკრებო კარიერას დავასრულებ – ანუ, ეს ჩემი ბოლო შანსია და ყველაფერს გავაკეთებ, რომ წარმატებას მივაღწიოთ. მჯერა, ჩვენს გუნდს ფინალში გასვლა შეუძლია და იმედი მაქვს, ამაში მეც შევიტან წვლილს. თუმცა, აქვე აღვნიშნავ, რომ პირველ პლანზე გუნდურ ინტერესებს ვაყენებ – თუ ვიგრძნობ, რომ ოპტიმალურ ფორმაში არ ვარ, თადარიგში დავრჩები და ადგილს სხვას დავუთმობ. მთავარია, უკრაინის ნაკრებმა შესანიშნავი თამაშით მსოფლიო გააოცოს და ეს ასეც იქნება”.*

**ლაშა ნიკლაური**

ევრო 2012 ხორვატიის ნაკრები

# ოლიჩი ევროპას გამოტოვებს

რამდენიმე დღის წინ, **ჯანლუიჯი ბუფონმა** ბრიფინგი გამართა და გარდა გარიგებულ მატჩებთან დაკავშირებული სკანდალისა, მოახლოებულ ევროპის ჩემპიონატზე ისაუბრა... ჯიჯის თქმით, ჯგუფურ ეტაპზე ყველაზე მეტად არა ესპანეთის ნაკრების რომელიმე ფორვარდს, არამედ ხორვატ **ივიცა ოლიჩს** უფრთხის... თუ არ გახსოვთ, შეგახსენებთ, რომ “სკუადრა აძურას” ჯგუფში ესპანეთთან, ირლანდიასა და ხორვატიასთან მოუწევს დაპირისპირება. მოკლედ, ბუფონმა ოლიჩი მრისხანე ფორვარდად მოიხსენია, მაგრამ მისდა ბედად, ივიცა დაშავდა და გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კონტინენტის პირველობის გამოტოვება მოუწევს.

32 წლის ფორვარდი ხორვატია-ნორვეგიის ამხანაგურ შეხვედრაში დაშავდა და მას შემდეგ, სლავთა მთავარი მწვრთნელი, **სლავენ ბილიჩი** ექიმთა საბოლოო ვერდიქტის მოლოდინში გახლდათ... ვერდიქტი მძიმე გამოდგა, ოლიჩს მყესი აქვს დაზიანებული და მისი ევროფორუმზე ასპარეზობა გამორიცხულია. ბილიჩმა მყისვე მიიღო გადაწყვეტილება და ივიცას შემცვლელად გუნდში **ნიკოლა კალინიჩს** უხმო.

კალინიჩი 24 წლის ფორვარდია და ამჟამად დნეპროპეტროვსკის “დნიპროში” ასპარეზობს – უკრაინულ გუნდში 19 შეხვედრა აქვს ჩატარებული და 10 გოლი გატანილი; იქამდე, სამი წლის განმავლობაში ინგლისურ “ბლექბერნში” ასპარეზობდა, 44 მატჩი ჩაატარა და მხოლოდ 7 გოლი მიითვალა აქტივში. ხორვატიის ეროვნულ გუნდში მის ანგარიშზე 13 თამაში და 5 გატანილი გოლია.



ივიცა ოლიჩს არ გაუმართლა

**ლაშა ნიკლაური**

ტორინო

# ძველი მწვრთნელი და ახალი ფეხბურთელები

## ამაური გრანატაში?

მომდევნო სეზონში, სერია A-ს ერთ-ერთი ყველაზე ტრადიციული და ტიტულოვანი გუნდი, “ტორინო” უბრუნდება; მართალია, ტურინელებმა წარმატებას ძირითადად დაცვითი ფეხბურთით მიაღწიეს და ნეიტრალურ გულშემატკივართ სიმპატიის მხრივ, მკვეთრად ჩამორჩნენ “პესკარას”, მაგრამ ამ გუნდის მიმართ ინტერესი მაინც ძალიან დიდია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, “ტორინოსთან” ერთად, სერია A-ში ტურინული დერბიც ბრუნდება, ერთ-ერთი ყველაზე ცხელი დაპირისპირება იტალიაში. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქალაქ ტურინში “გრანატას” მეტი გულშემატკივარი ჰყავს, ვიდრე გაცილებით უფრო ტიტულოვან “იუვენტუსს”.

“ტორინო” სერია A-ში გამოცდილმა სპეციალისტმა **ჯამპიერო ვენტურამ** დააბრუნა და ამისთვის, ახალი, ორწლიანი ხელშეკრულება დაიმსახურა. ტურინელები ამით არ შემოიფარგლებიან და ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში, დიდი გეგმები აქვთ... მოვუსმინოთ კლუბის პრეზიდენტ **ურბანო კაიროს**:

*“ვენტურამ გასულ სეზონში ძალიან კარგად იმუშავა და მას ახალი ხელშეკრულება შევთავაზეთ. დარწმუნებული ვარ, რომ მასთან ერთად კიდევ ბევრ წარმატებას მივაღწევთ. მომდევნო სეზონში, ჩვენი მიზანი ათეულში მოხვედრა იქნება, შემდეგ კი კიდევ უფრო განვითარება და ტიტულებისთვის ბრძოლა. ამისთვის, კარგი საფუძვლის ჩაყრაა საჭირო და ზაფხულში, ამას ვაპირებთ კიდეც. ვენტურასთან შეთანხმებით, მინიმუმ 7-8 ახალ ფეხბურთელს დავიმატებთ, რომლებსაც კვალიფიკაცია ნამდვილად არ დაეწუნებათ. უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკებები, თუმცა კონკრეტიკისგან თავს შევიკავებ. ერთი ნამდვილად შემიძლია გითხრათ, გუნდს გვარიანად გავაძლიერებთ”.*

იტალიელ ჟურნალისტთა მტკიცებით, ტურინელთა ერთ-ერთი სამიზნე **კარვალიო ამაური** გახლავთ, რომელმაც გასული სეზონის მეორე ნახევარი “ფიორენტინაში” გაატარა. ბრაზილიური წარმოშობის იტალიელს ჩინეთის ერთ-ერთი გუნდი ეპატიჟება, თუმცა აზიაში წასვლას არ ჩქარობს და წინადადებებს სერია A-ს გუნდებიდან ელოდება; ითქვა იმის შესახებაც, რომ ამაურის გადაბირებით “ლაციოა” დაინტერესებული, თუმცა ჯერჯერობით, რომაელებს ეს ინფორმაცია არ დაუდასტურებიათ. ვნახოთ, რას იტყვიან “ტირინოს” მესვეურები...

**ლაშა ნიკლაური**

ინტერი

# მორატიმ გადაწყვიტა: ახალი სტადიონი!

წლებია საუბრობენ იმის შესახებ, რომ “ინტერმა” ახალი სტადიონი უნდა აიშენოს, მაგრამ ლაპარაკს საქმე არ მოჰყოლია... და აი, როგორც “ნერაძურის” პრეზიდენტმა, **მასიმო მორატიმ** განაცხადა, დადგა დრო, პროცესი დაიძრას და შესაბამისად, ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას.

საქმე ის არის, რომ ჯუზეპე მეაცას სახელობის სტადიონი დეტალურად შეამოწმეს და დადგინდა, რომ არენა საფუძვლიან რეკონსტრუქციას საჭიროებს და თანაც, არა უგვიანეს, ერთი წლის ვადაში. ამ სტადიონს “მილანი” და “ინტერი” იყოფენ, შესაბამისად, რეკონსტრუქციის ხარჯები მათ უნდა გასწიონ. ყველა ლოგიკით, რეკონსტრუქცია მომდევნო ზაფხულს უნდა დაიწყოს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მილანურ გრანდებს ჯიბეზე ხელის გაკვრა მოუწევთ. ეს ამბავი მორატის ძალიან არ მოეწონა და ახალი სტადიონის აშენება მყარად გადაწყვიტა – მოვუსმინოთ “ინტერის” პრეზიდენტს:

*“ჯუზეპე მეაცას სახელობის არენაზე “ინტერის’ ისტორია დაიწერა, მაგრამ დადგა დრო, რომ ახალი სახლი ავიშენოთ. არენის იჯარაში ისედაც დიდ თანხებს ვიხდით და ამას რეკონსტრუქციის ხარჯი დაემატა – საკუთარი სტადიონის აშენებით ასეთი ტიპის ხარჯებს ავცდებით და განვითარების ახალ ეტაპზე ავალთ. ჩემი გადაწყვეტილება საბოლოოა და გადახედვას არ ექვემდებარება – ზუსტად ვერ გეტყვით, თუ როდის დაიწყება მშენებლობა, მაგრამ ერთი დანამდვილებით ვიცი – ახალ არენას 2016 წელს გავხსნით”.*

“გაძეტა დელო სპორტის” ინფორმაციით, მასიმო მორატიმ უკვე დაიწყო თანამშრომლობა ერთ-ერთ სამშენებლო კომპანიასთან და პროექტის მაკეტზე მუშაობაც დაწყებულია. მორატის არ უნდა გაუჭირდეს დათქმულ ვადებში ჩატევა, რადგან მთავარი პრობლემა მას უკვე მოგვარებული აქვს – ასეთ დროს, ყველაზე მეტად მიწის გაფორმება ჭირს და ამ მხრივ, მორატის საქმე მოთავებული აქვს... მას სხვადასხვა ბიზნესებიდან მილანის გარეუბნებში მიწის ხუთი ისეთი ნაკვეთი აქვს, სადაც თავისუფლად შეიძლება სტადიონის აშენება. მორატი დეტალებზე საუბრისგან თავს იკავებს, მაგრამ კულუარული ინფორმაციით, “ნერაძურის” ახალი სტადიონი 65 000 გულშემატკივარს დაიტევს.

**ლაშა ნიკლაური**

უცხოური ფეხბურთი

ევრო 2012. საფრანგეთის ნაკრები

# ევრას შეცოდება

## მ'ვილას ტრავმა და ბლანის ოპტიმიზმი

საფრანგეთის ნაკრების ყოფილი კაპიტანი **პატის ევრა** გრანდიოზულ სკანდალში გაეხვია მას შემდეგ, რაც სერბეთთან შეხვედრის მიმდინარეობისას სათადარიგოთა შორის დამჯდარმა, ეროვნული გუნდის მაისურა როგორც პირსახოცი ისე გამოიყენა და ოფლი მეტისმეტად პიკანტურ ადგილებში მოიწმინდა. ეპიზოდი მავანმა გულშემატკივარმა ვიდეოკამერით გადაიღო და თამაშის მეორე დღეს, „იუთუბზე" ატვირთა, რის შემდეგაც ის სოციალური ქსელების საშუალებით უსწრაფესად გავრცელდა. ფრანგულმა გამოცემა Le10Sposrt.com-მა დაწერა: *"ეს გულისამრევი იყო. ეს ჟესტი ნამდვილად იმის დადასტურება იყო, რომ ფეხბურთელს ოდნავი პატივისცემაც არ აქვს ფრანგული ფერებისა და იმ ადამიანების მიმართ, ვინც მას მხარს უჭერს. ძალიან გვინდა ვიცოდეთ, იკადრებს თუ არა ევრა იმავეს "მანჩესტერ იუნაიტედის" მაისურით. მისი პოპულარობა ბოლო თვეების განმავლობაში ისედაც კლებულობს და ეს სამარცხვინო საქციელი ამ სიტუაციას უკეთესობისკენ ნამდვილად ვერ შეცვლის"*. ჟურნალისტებმა ფეხბურთელთან დაკავშირებაც სცადეს, მაგრამ პატრისმა თემაზე ლაპარაკი სასტიკად იუარა.

მოგეხსენებათ, საფრანგეთის ნაკრების შუახაზელმა **იან მ'ვილამ** იმავე სერბეთთან შეხვედრის დებიუტში ფეხი იტკინა, მაგრამ **ლორან ბლანმა** მის ნაცვლად შეკრებაზე სხვა ფეხბურთელის გამოძახებაზე უარი თქვა და მ'ვილას დრო მისცა ტრავმის მოსაშუშებლად. ექიმების განცხადებით, ფეხბურთელს "კუნთი საშუალოდ აქვს დაჭიმული და რაც მთავარია + დამატებითი გართულებების გარეშე". შესაბამისად, "რენის" 21 წლის ვარსკვლავი ევროპის ჩემპიონატზე თამაშს ჯგუფური ეტაპის მეორე ტურშივე შეძლებს. აი, 11 ივნისს ინგლისთან მისი დაპირისპირება კი საეჭვოა, რისი დიდი იმედიც ჰქონდა ეროვნული გუნდის თავკაცს.

"სქაი სპორტსმა" **ლორან ბლანს** ინტერვიუ სთხოვა, სადაც "სამფეროვანთა" დამრიგებელმა თავისი შეგირდების პოტენციალზე ილაპარაკა. აი, რას ამბობს ის: *"ჩემპიონატის დაწყებამდე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. სერბეთთან შეხვედრამ გვიჩვენა, რომ ფიზიკური ფორმის პიკში ჯერ არ ვართ. პირველი 60 წუთის განმავლობაში გუნდმა ძალიან მრავალფეროვნად ითამაშა, განსაკუთრებით შეტევაში, მერე მოუკლო, ბოლო 15 წუთი კი ძალიან გვიჭირდა. ინგლისთან თამაშზე უკვე ვფიქრობ. ეჭვი არ მეპარება, რომ ძალიან რთული თამაში გვექნება. ვიცი, რომ ჰოჯსონის გუნდს დიდი პრობლემები აქვს, განსაკუთრებით ტრავმირებულთა მხრივ, მაგრამ ასეთები ჩვენც გვყავს"*.



პატრის ევრას ნაკრების ფორმისადმი უპატივცემულობას აბრალებენ

მუნდიალი 2014. საკვალიფიკაციო ეტაპი. სამხრეთი ამერიკა

**ურუგვაი-ვენესუელა** 1:1

**გოლები:** 1:0 ფორლანი (38), 1:1 რონდონი (85)

**ბოლივია-ჩილე** 0:2

**გოლები:** 0:1 არანგისი (45), 0:2 ვიდალი (83)

**არგენტინა-ეკვადორი** 4:0

**გოლები:** 1:0 აგუერო (20), 2:0 იგუაინი (30), 3:0 მესი (32), 4:0 დი მარია (76)

**პერუ-კოლუმბია** 0:1

**გოლი:** 0:1 როდრიგესი (52)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არგენტინა | 5 | 3 | 1 | 1 | 11-4 | 10 |
| 2. ჩილე | 5 | 3 | 0 | 2 | 9-10 | 9 |
| 3. ურუგვაი | 4 | 2 | 2 | 0 | 10-4 | 8 |
| 4. ვენესუელა | 5 | 2 | 2 | 1 | 4-4 | 8 |
| 5. კოლუმბია | 4 | 2 | 1 | 1 | 5-4 | 7 |
| 6. ეკვადორი | 4 | 2 | 0 | 2 | 5-6 | 6 |
| 7. პარაგვაი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-6 | 4 |
| 8. პერუ | 4 | 1 | 0 | 3 | 4-7 | 3 |
| 9. ბოლივია | 5 | 0 | 1 | 4 | 4-10 | 1 |

ვარსკვლავი. დირკ კუიტი


ეროვნული ბიბლიოთეკა

დირკ კუიტი ამიერიდან ფენერბაჰჩეს ღირსებას დაიცავს

# კუიტის ახალი თავგადასავალი

"ლივერპულის" ან უკვე ყოფილმა თავდამსხმელმა, 31 წლის **დირკ კუიტმა** თურქულ "ფენერბაჰჩესთან" 3-წლიანი კონტრაქტის დეტალები შეათანხმა. ხელმოწერის პომპეზური ცერემონია არ ჩატარდება, რადგან ფეხბურთელს ამისთვის არ სცალია. ის ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება. კუიტი "ლივერპულის" ოფიციალურ ვებგვერდთან ინტერვიუში გამოტყდა, რომ გადაწყვეტილების მიზეზი ახალი თავგადასავლებისა და განცდების ძიების წყურვილი იყო. "ფენერბაჰჩეს" ვებგვერდის ინფორმაციით, ჰოლანდიელთან 3-წლიანი კონტრაქტი დაიდება. *"საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ძალიან გამიჭირდა, რადგან ინგლისში 6 მშვენიერი წელიწადი გავატარე. აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ჩემი წასვლა არ უკავშირდება ახალი მწვრთნელის დანიშვნას. ჩემთვის დიდი პატივი იყო ამ დიდი გუნდის ღირსების დაცვა, ბრწყინვალე ფეხბურთელებთან გვერდიგვერდ თამაში და თანაც - ფანტასტიკური გულშემატკივრების თვალწინ. "ფენერბაჰჩეში" იმიტომ მივდივარ, რომ ახალ თავგადასავლებს ვეძებ. არ ვიცი, როდის, მაგრამ როცა საშუალება მომეცემა, ლივერპულში აუცილებლად დავბრუნდები ჩემი მეგობრების მხარდასაჭერად. ეს კლუბი ყოველთვის დარჩება ჩემი ცხოვრების ნაწილად. მოხარული ვარ, რომ "ლივერპულმა" ბოლოს და ბოლოს იპოვა ახალი, კვალიფიციური მენეჯერი. ის, რაც მიხელ ვორმისგან ბრენდან როჯერსზე მოვისმინე, საკმარისია დასკვნისთვის, რომ ის დიდებული სპეციალისტია. მიხელის თქმით, როჯერსი იოლად მოერგება "ლივერპულს" და მასთან ერთად დიდ წარმატებებს მიაღწევს, რასაც როჯერსსაც და ყველა ფეხბურთელს სულითა და გულით ვუსურვებ"*, – განაცხადა კუიტმა.

ამბები

### ფერდინანდი გაოცდა

გუშინდელ ნომერში ვწერდით, რომ ყბის მოტეხილობის გამო ევროპის ჩემპიონატზე ინგლისის ნაკრების 27 წლის მცველის **გარი კეჰილის** ასპარეზობა გამოირიცხა. **როი ჰოჯსონმა** შეკრებაზე მის ნაცვლად 22 წლის ლივერპულელ **მარტინ კელის** უხმო, რამაც **რიო ფერდინანდი** ძალიან განაცვიფრა. "ევროპაზე კეჰილს კელი შეცვლის? და მიზეზი?" – დაახლოებით ასე შეიძლება ითარგმნოს მისი ჩანაწერი ტვიტერზე.

### ინგლისი ლეგიონერების გარეშე

ვებგვერდმა Thebesteleven.com-მა ევროპის ჩემპიონატის განაცხადების გამოქვეყნების შემდეგ ყურადღება იმას მიაქცია, რომელ ნაკრებს რამდენი ლეგიონერი ჰყავდა და აღმოაჩინა, რომ ყველაზე "სუფთა" ამ მხრივ ინგლისია, ერთადერთია ირლანდია, ვისაც ერთი ფეხბურთელიც კი არ ჰყავს შიდა ჩემპიონატიდან. მაშ ასე:

23 - ინგლისი (100%)
21 - რუსეთი (91%)
21 - უკრაინა (91%)
20 — იტალია (87%)
19 - ესპანეთი (83%)
19 — გერმანია (83%)
16 — საბერძნეთი (70%)
12 — საფრანგეთი (52%)
10 - პორტუგალია (44%)
8 - ჩეხეთი (35%)
7 — დანია (30%)
7 - ჰოლანდია (30%)
6 - პოლონეთი (26%)
4 - ხორვატია (17%)
3 - შვედეთი (13%)
0 - ირლანდია (0%)

### პოლონეთმა საზღვრები აღადგინა

მოგეხსენებათ, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის უვიზო მიმოსვლის რეჟიმი მოქმედებს. თუმცა მანამდე, ვიდრე ევროპის ჩემპიონატი დასრულდება, პოლონეთის უმაღლესმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ დროებით აღადგინოს სასაზღვრო კონტროლის განსაკუთრებული რეჟიმი გერმანიის, ჩეხეთის, სლოვაკეთისა და ლიტვის საზღვრებთან, ასევე აეროპორტებსა და საზღვაო პორტებში. სულ 254 დროებითი სასაზღვრო-გამშვები პუნქტი ამოქმედდება. ეს წესები 4 ივნისიდან 1-ელ ივლისამდე იქნება ძალაში. ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის განცხადებით: *"კონტროლის აღდგენა საზღვარზე მოქალაქეებისთვის არ გადაიქცევა ზედმეტ ტვირთად, რადგან ეს დროებითი მოვლენაა. ღონისძიება არ ისახავს მიზნად შეზღუდვის დაწესებას არც მოგზაურებისთვის. გულშემატკივრებისთვის კი ეს არ იქნება დამატებითი წინაღობა. მესაზღვრეები შემოწმებას შემთხვევითი შერჩევის წესით ჩაატარებენ, რაც მანქანების საცობების წარმოქმნას თითქმის გამორიცხავს"*.

### იაგიელკას რჩევა

ცენტრალურმა მცველმა **ფილ იაგიელკამ** ინგლისის ნაკრების თავკაც **როი ჰოჯსონს** ურჩია, რომ ნაკრების დაცვის ცენტრი მასა და "ევერტონში" მის ყოფილ თანაგუნდელ **ჯოლეონ ლესკოტს** ანდოს, რომელთაც "გუდისონ პარკზე" გვერდიგვერდ რამდენიმე წელიწადი აქვთ გატარებული. ეს იდეა ლივერპულელს მას მერე გაუჩნდა, რაც ტრავმის გამო ჩელსელების **ჯონ ტერისა** და **გარი კეჰილის** დუეტი უკანასკნელის ტრავმის გამო დაიშალა. ეჭვი არ გვეპარება, რომ ჰოჯსონი შეგირდის რჩევას "ერთ ყურში შეუშვებს და მეორიდან გამოუშვებს", რადგან ჯონ ტერის გარეშე "სამი ლომის" უკანა ხაზის წარმოდგენა პრაქტიკულად წარმოუდგენელია.

### ბელამი ოლიმპიადაზე მიდის

"ლივერპულისა" და უელსის ნაკრების 32 წლის თავდამსხმელმა **კრეიგ ბელამიმ** თავად დაადასტურა, რომ ბრიტანეთის ოლიმპიური ნაკრების თავკაცმა **სტიუარტ პირსმა** მას ლონდონის ოლიმპიადისთვის მოსამზადებლად უხმო. აი, რას ამბობს ფეხბურთელი: *"ოლიმპიურ ნაკრებში ვითამაშებ. არადა, მათ იმედი ჰქონდათ, რომ ამ ამბავს კონკრეტულ დრომდე არ გავახმაურებდი. მართალია, "ლივერპულში" დამღლელი სეზონი ჩავატარე, მაგრამ ოლიმპიადა განსაკუთრებული გამოწვევაა და ის უნიკალური ტურნირია"*.

პირსს განაცხადში სულ 3 ფეხბურთელის შეყვანის უფლება აქვს, რომელთა ასაკი 23 წელს აღემატება. ბელამიმ ერთი ადგილი უკვე გაინაღდა. პრესა ვარაუდობს, რომ დანარჩენ ორს 37 წლის **დევიდ ბექჰემი** და 38 წლის **რაიან გიგზი** დაიკავებენ. მათ გარდა ოლიმპიადაზე წასვლის კანდიდატებად განიხილებიან "ლივერპულის" ნახევარმცველი **ჯო კოული**, "ვულვერჰემპტონის" შოტლანდიელი თავდამსხმელი **სტივენ ფლეტჩერი** და ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებისა და "ვესტ ბრომვიჩის" წევრი **კრის ბრანტი**.

### გურკუფი რჩება, ლორისს შეუძლია წავიდეს

"ლიონის" პრეზიდენტის **ჟან მიშელ ოლას** განცხადებით, მიუხედავად კლუბის ფინანსური კრიზისისა და ევროპული გრანდების სერიოზული დაინტერესებისა, წამყვანი ნახევარმცველი **იოან გურკუფი** არ იყიდება, რაც შეეხება "ლიონის" მეორე ვარსკვლავ **უგო ლორისს**, მას შეუძლია კარიერის გასაგრძელებლად სხვა კლუბი აირჩიოს. *"სანამ სანაკრებო შეკრებაზე გაემგზავრებოდა, ლორისმა გულწახდილად მითხრა, რომ თუკი ევროპის ჩემპიონატის შემდეგ რომელიმე გრანდი მიიწვევდა, შეიძლებოდა გასჩენოდა წასვლის სურვილი. სიმართლე გითხრათ, არ მგონია, რომ ეს მოხდეს, რადგან პირველი კლასის გუნდებს ძალიან კარგი მეკარეები ჰყავთ, მაგრამ მაინც... თუკი ასეთი ვარიანტი გამოჩნდა, წინადადებას განვიხილავთ,"* – აცხადებს ოლა. აქვე გეტყვით, რომ ფრანგული Le ProgrRs-ის ინფორმაციით, "ლიონს" უახლოეს დღეებში დაუკავშირდება "ბარსელონა", რომელიც **ვიქტორ ვალდესზე** მაღალი დონის მეკარეს ეძებს.

### ბარტონის პირველი მარცხი... ჩხუბში

"ქუინზ პარკის" 29 წლის ყოფილმა კაპიტანმა **ჯოი ბარტონმა** ცხოვრებაში პირველი მარცხი იწვნია ჩხუბში. დიახ, აქამდე მას მუშტი ბევრჯერ მოუქნევია და ყოველთვის "წარმატებით", თუმცა მუდმივი არაფერია, და აი, მისი წაუგებელი სერიაც შეწყდა. პოლიციის მიერ შედგენილი ოქმიდან ირკვევა, რომ: *"ლივერპულის ცენტრში დილის 5:30 წუთზე ღამის კლუბთან ჩხუბის გამო დაკავებულია ორი 21 წლის ახალგაზრდა. ოფიცრებმა ადგილზე მისვლის შემდეგ აღმოაჩინეს 29 წლის დაზარალებული, რომელსაც სახეზე სერიოზული დაზიანებები აღენიშნება. ორივე დაკავებული გადაყვანილია წინასწარი დაკავების საკანში"*.

### გრინი: ვესტ ბრომვიჩი თუ ქუინზ პარკი

"ვესტ ჰემისა" და ინგლისის ნაკრების კარის დარაჯმა, 32 წლის **რობერტ გრინმა** კლუბთან ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარი თქვა და თავისუფალი აგენტის სტატუსი მოიპოვა. მას პრემიერლიგის ორი კლუბი იწვევს – "ვესტ ბრომვიჩი" და "ქუინზ პარკი". გადაწყვეტილებას საკლუბო კარიერასთან დაკავშირებით ფეხბურთელი მხოლოდ ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ მიიღებს.

გვერდი მოამზადა **ლევან ბიბილაშვილმა**

ევრო 2012 ესპანეთის ნაკრები

# ჩინეთთან 1:0 ცოტაა, თუმცა...

**ესპანეთი–ჩინეთი 1:0**

**ესპანეთი (4-1-4-1):** კასილიასი (46. ვალდესი) – არბელოა, რაულ ალბიოლი, სერხიო რამოსი (55. პიკე), ალბა – ბუსკეტსი (46. ინიესტა) – სილვა, ჩაბი ალონსო, ჩავი (46. ხესუს ნავასი), კასორლა (71. მატა) – ნეგრედო (46. ტორესი).

**გოლი:** 1:0 სილვა (84)

**მაყურებელი:** 45 000

ევროპის ჩემპიონატის ნომერ პირველ ფავორიტად აღიარებულმა ესპანეთის ნაკრებმა სევილიაში ჩინეთის ეროვნულ გუნდს უმასპინძლა და ბევრისთვის მოულოდნელად, მხოლოდ ერთი გოლი გაუტანა – „ფურია როხამ“ ჩინეთს მინიმალური ანგარიშით, 1:0 მოუგო. ესპანელებმა ეს ერთადერთი გოლიც მატჩის მიწურულს გაიტანეს – **ვისენტე დელ ბოსკეს** გუნდს **დავიდ სილვამ** (84-ე წუთზე) მოაგებინა და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ მას საგოლე პასი **ანდრეს ინიესტამ** მისცა.

დელ ბოსკემ ძირითად შემადგენლობაში ხუთი ბარსელონელი არ გაამწესა: მსუბუქად, მაგრამ სარისკოდ დაშავებულ **სესკ ფაბრეგასთან** ერთად, სასტარტოში ვერ ვნახეთ როგორც **ვიქტორ ვალდესი** (რაც ლოგიკური იყო), ასევე ინიესტა, **პედრო** და **ჟერარდ პიკეც**. საინტერესოა ისიც, რომ ესპანელთა თავკაცმა დაცვის ცენტრში **რაულ ალბიოლისა** და **სერხიო რამოსის** დუეტი გამოცადა. დელ ბოსკემ **ფერნანდო ტორესიც** სკამზე დატოვა და 4-1-4-1 ტაქტიკურ სქემაში, ცენტრალური თავდამსხმელის პოზიციაზე **ალვარო ნეგრედო** გაამწესა. სასტარტო შემადგენლობაში თამაშის საშუალება და შესაძლებლობების დამტკიცების შანსი მიეცა **სანტი კასორლასაც**.

## ნავასი სილვამ გატეხა

ჩინელები ევროპის ჩემპიონატის ფავორიტს საკმაოდ აგრესიულად ეთამაშებოდნენ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დელ ბოსკეს გუნდს მათი დაცვის ხაზის გარღვევა უჭირდა, თუმცა ვერც იმას დავიჩემებთ, რომ „ფურია როხას“ წინა ხაზზე დიდი მონდომება ეტყობოდა. თუ ესპანელები შეტევაში რამეს ახერხებდნენ, ეს პირველ რიგში სილვას, ჩავისა და ნეგრედოს დამსახურება გახლდათ. სამაგიეროდ, კონტრშეტევებზე კონცენტრირებული ჩინელები იმდენს ახერხებდნენ, რომ ესპანელთა მცველები რამდენიმე მომენტში მაგრად ანერვიულეს.

მეორე ტაიმში სულ სხვა, გაცილებით მონდომებული და რაც მთავარია, უკეთ შეთამაშებული ესპანეთი ვიხილეთ, რაშიც უდიდესი წვლილი მიუძღვით ინიესტას, **ხესუს ნავასსა** და ტორესს, რომლებიც დელ ბოსკემ მოედანზე შესვენების შემდეგ შეუშვა. ესპანელებმა ჩინელები თავიანთ საჯარიმოს მიაჯაჭვეს და ბურთის ფლობის 75-პროცენტიანი მაჩვენებელი ჰქონდათ, თუმცა მიუხედავად ამისა, გოლის გატანა მაინც უჭირდათ. ბოლოს, საფინალო სასტვენამდე 6 წუთით ადრე, ესპანეთს გამარჯვება სილვას გოლმა მოუტანა.

## სილვა: კარგად ვითამაშეთ

მიუხედავად ჩინელებთან მოკრძალებული 1:0-ისა, მოგება მოგებაა - ფაქტია, რომ დელ ბოსკეს გუნდმა სამივე ტესტ-მატჩში გაიმარჯვა და მხოლოდ ერთი გოლი გაუშვა. ამასთან, 1:0 უკვე „ფურია როხას“ უსაყვარლესი ანგარიშია (შეგახსენებთ, რომ ესპანელებმა როგორც ევრო 2008-ის, ისე 2010 წლის მუნდიალის ფინალები 1:0 მოიგეს). საინტერესოა ისიც, რომ სილვას გოლამდე ესპანეთის ნაკრებს მხოლოდ 6 წუთი აშორებდა პირველ 0:0-მდე მას მერე, რაც გუნდს დელ ბოსკე ავარჯიშებს და სხვათა შორის, ამ მწვრთნელის ხელში გუნდს უკვე 55 მატჩი აქვს ჩატარებული.

მეორე ტაიმში ინიესტა კარგად გამოიყურებოდა, მიუხედავად ერთი-ორი პოზიციური შეცდომისა, რაულ ალბიოლიც კმაყოფილი დარჩა იმის გამო, რომ მოედანზე 90 წუთი გაატარა, **იკერ კასილიასმა** კი თავისი რეკორდი (ყველაზე მეტი მოგება და მშრალად შენახული კარი ყველაზე მეტი მატჩში) გააუმჯობესა. **ხოსე ანტონიო კამაჩოს** მიერ გაწვრთნილი ჩინელები დაცვაში იდგნენ და სავარაუდოდ, სწორედ ასეთ ტაქტიკას აირჩევენ ესპანელებთან იტალია და ირლანდია. ცუდი ის იყო, რომ ესპანელებს (განსაკუთრებით პირველ ტაიმში) წინა ხაზზე გადამწყვეტი მონდომებაც აკლდათ და მეტწილად უხარისხო შეტევები გამოსდიოდათ.

*„საკმაოდ კარგად ვითამაშეთ, - თქვა მატჩის შემდეგ გამარჯვების გოლის ავტორმა სილვამ, - ეს განსაკუთრებით მეორე ტაიმზე ითქმის. ვიცით, რომ ევროპის ჩემპიონობის შენარჩუნება ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ ჩვენ ამისათვის ყველაფერს გავაკეთებთ.“*

**გოტფრიდ ლენცი**



ესპანელებმა ჩინელები გვიანი გოლით დაამარცხეს

ევროპა. 2011/12 წლების სეზონის სტატისტიკა

# ევროპის საუკეთესო გოლეადორები



### 15 და მეტი გოლი

| გოლი | ფეხბურთელი | კლუბი | ლიგა |
|---|---|---|---|
| 50 | ლიონელ მესი | ბარსელონა | ლა ლიგა |
| 46 | კრიშტიანო რონალდო | რეალი | ლა ლიგა |
| 30 | რობინ ვან პერსი | არსენალი | პრემიერლიგა |
| 29 | კლაას-იან ჰუნტელაარი | შალკე | ბუნდესლიგა |
| 28 | ზლატან იბრაჰიმოვიჩი | მილანი | სერია |
| 27 | უეინ რუნი | მან. იუნ. | პრემიერლიგა |
| 26 | მარიო გომესი | ბაიერნი | ბუნდესლიგა |
| 24 | რადამელ ფალკაო | ატლეტიკო | ლა ლიგა |
| 24 | დიეგო მილიტო | ინტერი | სერია |
| 23 | სერხიო აგუერო | მან. სიტი | პრემიერლიგა |
| 23 | ედინსონ კავანი | ნაპოლი | სერია |
| 23 | ანტონიო დი ნატალე | უდინეზე | სერია |
| 22 | რობერტ ლევანდოვსკი | დორტმუნდი | ბუნდესლიგა |
| 22 | გონსალო იგუაინი | რეალი | ლა ლიგა |
| 21 | ძარიმ ბენზემა | რეალი | ლა ლიგა |
| 21 | ოლივიე ჟირუ | მონპელიე | ლიგა 1 |
| 21 | ნენე | პსჟ | ლიგა 1 |
| 20 | ედენ აზარი | ლილი | ლიგა 1 |
| 19 | როდრიგო პალასიო | ჯენოა | სერია |
| 18 | კლაუდიო პისარო | ვერდერი | ბუნდესლიგა |
| 18 | ლუკას პოდოლსკი | კიოლნი | ბუნდესლიგა |
| 18 | მარკო როისი | გლადბახი | ბუნდესლიგა |
| 17 | მარტინ ჰარნიკი | შტუტგარტი | ბუნდესლიგა |
| 17 | კლინთ დემსპი | ფულჰემი | პრემიერლიგა |
| 17 | ემანუელ ადებაიორი | ტოტენჰემი | პრემიერლიგა |
| 17 | იაკუბუ აიგბენი | ბლექბერნი | პრემიერლიგა |
| 17 | რობერტო სოლდადო | ვალენსია | ლა ლიგა |
| 16 | შტეფან კისლინგი | ლევერკუზენი | ბუნდესლიგა |
| 16 | დემბა ბა | ნიუკასლი | პრემიერლიგა |
| 16 | რუბენ კასტრო | ბეტისი | ლა ლიგა |
| 16 | ფერნანდო ლორენტე | ბილბაო | ლა ლიგა |
| 16 | ხერმან დენისი | ატალანტა | სერია |
| 16 | ფაბრიციო მიკოლი | პალერმო | სერია |
| 16 | ლისანდრო ლოპესი | ლიონი | ლიგა 1 |
| 16 | პიერ აუბამეიანგი | სტ. ეტიენი | ლიგა 1 |
| 15 | რაულ გონსალესი | შალკე | ბუნდესლიგა |
| 15 | გრანტ ჰოლტი | ნორვიჩი | პრემიერლიგა |
| 15 | მიჩუ | ვალეკანო | ლა ლიგა |
| 15 | არუნა კონე | ლევანტე | ლა ლიგა |
| 15 | სებასტიან ჯოვინკო | პარმა | სერია |

### საგოლე პასები (10 და მეტი პასი)

| პასი | ფეხბურთელი | კლუბი | ლიგა |
|---|---|---|---|
| 17 | ფრანკ რიბერი | ბაიერნი | ბუნდესლიგა |
| 17 | მესუთ იოზილი | რეალი | ლა ლიგა |
| 16 | ლიონელ მესი | ბარსელონა | ლა ლიგა |
| 16 | ედენ აზარი | ლილი | ლიგა 1 |
| 15 | დავიდ სილვა | მან. სიტი | პრემიერლიგა |
| 15 | ანხელ დი მარია | რეალი | ლა ლიგა |
| 13 | ხუან მატა | ჩელსი | პრემიერლიგა |
| 13 | ანდრეა პირლო | იუვენტუსი | სერია |
| 13 | ჟერემი მენეზი | პსჟ | ლიგა 1 |
| 13 | მატიო ვალბუენა | მარსელი | ლიგა 1 |
| 12 | ხუან არანგო | გლადბახი | ბუნდესლიგა |
| 12 | ანტონიო ვალენსია | მან. იუნ. | პრემიერლიგა |
| 12 | ხესუს ნავასი | სევილია | ლა ლიგა |
| 12 | კრიშტიანო რონალდო | რეალი | ლა ლიგა |
| 12 | ფაბრიციო მიკოლი | პალერმო | სერია |
| 11 | კლაას-იან ჰუნტელაარი | შალკე | ბუნდესლიგა |
| 11 | შინჯი კაგავა | დორტმუნდი | ბუნდესლიგა |
| 11 | ალექსანდრ სონგი | არსენალი | პრემიერლიგა |
| 11 | ნანი | მან. იუნ. | პრემიერლიგა |
| 11 | დანი ალვეში | ბარსელონა | ლა ლიგა |
| 11 | სებასტიან ჯოვინკო | პარმა | სერია |
| 11 | ჟულიენ ფერე | რენი | ლიგა 1 |
| 10 | იაკუბ ბლაშჩიკოვსკი | დორტმუნდი | ბუნდესლიგა |
| 10 | მარიო მანჯუკიჩი | ვოლფსბურგი | ბუნდესლიგა |
| 10 | რობერტ ლევანდოვსკი | დორტმუნდი | ბუნდესლიგა |
| 10 | ტამაშ ჰაინალი | შტუტგარტი | ბუნდესლიგა |
| 10 | კლაუდიო პისარო | ვერდერი | ბუნდესლიგა |
| 10 | თომას მიულერი | ბაიერნი | ბუნდესლიგა |
| 10 | ტონი კროოსი | ბაიერნი | ბუნდესლიგა |
| 10 | გარეთ ბეილი | ტოტენჰემი | პრემიერლიგა |
| 10 | სამირ ნასრი | მან. სიტი | პრემიერლიგა |
| 10 | პაბლო არმერო | უდინეზე | სერია |
| 10 | ანტონიო კასანო | მილანი | სერია |
| 10 | ნენე | პსჟ | ლიგა 1 |

### გოლები თავით (5 და მეტი გოლი)

| გოლი | ფეხბურთელი | კლუბი | ლიგა |
|---|---|---|---|
| 10 | ფერნანდო ლორენტე | ბილბაო | ლა ლიგა |
| 7 | მარიო მანჯუკიჩი | ვოლფსბურგი | ბუნდესლიგა |
| 7 | სტივენ ფლეტჩერი | ვულვზი | პრემიერლიგა |
| 7 | კრიშტიანო რონალდო | რეალი | ლა ლიგა |
| 7 | რადამელ ფალკაო | ატლეტიკო | ლა ლიგა |
| 7 | ფრანჩესკო ლოდი | კატანია | სერია |
| 6 | კლაას-იან ჰუნტელაარი | შალკე | ბუნდესლიგა |
| 6 | ლოიკ რემი | მარსელი | ლიგა 1 |
| 5 | მარიო გომესი | ბაიერნი | ბუნდესლიგა |
| 5 | კლაუდიო პისარო | ვერდერი | ბუნდესლიგა |
| 5 | უეინ რუნი | მან. იუნ. | პრემიერლიგა |
| 5 | იაკუბუ აიგბენი | ბლექბერნი | პრემიერლიგა |
| 5 | გრანტ ჰოლტი | ნორვიჩი | პრემიერლიგა |
| 5 | პიტერ კრაუჩი | სტოკი | პრემიერლიგა |
| 5 | სტივ მორისონი | ნორვიჩი | პრემიერლიგა |
| 5 | ჰეიოარ ჰელგუსონი | ქპრ | პრემიერლიგა |
| 5 | არუნა კონე | ლევანტე | ლა ლიგა |
| 5 | ხოსე რონდონი | მალაგა | ლა ლიგა |
| 5 | ვალდო | ლევანტე | ლა ლიგა |

### გოლები საჯარიმო დარტყმით (3 და მეტი გოლი)

| გოლი | ფეხბურთელი | კლუბი | ლიგა |
|---|---|---|---|
| 4 | სანტი კასორლა | მალა | ლა ლიგა |
| 4 | ბენატ ეჩებარია | ბეტისი | ლა ლიგა |
| 4 | ბრუნო გრუჟი | ბრესტი | ლიგა 1 |
| 3 | სებასტიან ლარსონი | სანდერლენდი | პრემიერლიგა |
| 3 | ლიონელ მესი | ბარსელონა | ლა ლიგა |

### გოლები პენალტით (5 და მეტი გოლი )

| გოლი | ფეხბურთელი | კლუბი | ლიგა |
|---|---|---|---|
| 12 | კრიშტიანო რონალდო | რეალი | ლა ლიგა |
| 10 | ლიონელ მესი | ბარსელონა | ლა ლიგა |
| 10 | ზლატან იბრაჰიმოვიჩი | მილანი | სერია |
| 9 | ნენე | პსჟ | ლიგა 1 |
| 9 | ედენ აზარი | ლილი | ლიგა 1 |
| 8 | დიეგო მილიტო | ინტერი | სერია |
| 7 | სეიად სალიჰოვიჩი | ჰოფენჰ. | ბუნდესლიგა |
| 6 | კლაას-იან ჰუნტელაარი | შალკე | ბუნდესლიგა |
| 6 | უეინ რუნი | მან. იუნ. | პრემიერლიგა |
| 6 | მარკო რიგონი | ნოვარა | სერია |
| 5 | არიენ რობენი | ბაიერნი | ბუნდესლიგა |
| 5 | რადამელ ფალკაო | ატლეტიკო | ლა ლიგა |
| 5 | ტომერ ჰემედი | მალიორკა | ლა ლიგა |
| 5 | დავიდ დი მიკელე | ლეჩე | სერია |
| 5 | იუნეს ბელჰანდა | მონპელიე | ლიგა 1 |

### გოლი+პასი (30 და მეტი ქულა)

| + | ფეხბურთელი | კლუბი | ლიგა |
|---|---|---|---|
| 66 | ლიონელ მესი | ბარსელონა | ლა ლიგა |
| 58 | კრიშტიანო რონალდო | რეალი | ლა ლიგა |
| 40 | კლაას-იან ჰუნტელაარი | შალკე | ბუნდესლიგა |
| 39 | რობინ ვან პერსი | არსენალი | პრემიერლიგა |
| 36 | ედენ აზარი | ლილი | ლიგა 1 |
| 34 | ზლატან იბრაჰიმოვიჩი | მილანი | სერია |
| 31 | უეინ რუნი | მან. იუნ. | პრემიერლიგა |
| 31 | სერხიო აგუერო | მან. სიტი | პრემიერლიგა |
| 31 | ნენე | პსჟ | ლიგა 1 |
| 30 | ანტონიო დი ნატალე | უდინეზე | სერია |
| 30 | ოლივიე ჟირუ | მონპელიე | ლიგა 1 |

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ახალგაზრდა მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ევროპის ჩემპიონატი

## ხუთჯვრიანი დროშაც აფრიალდა

**ნიჟნი ნოვგოროდში ქართველ სპორტსმენებს რამდენიმე მწვრთნელი ახლდა. ისინი ევროპის ჩემპიონატის შთაბეჭდილებებს გვიზიარებენ:**

**ფიქრია ფანქველაშვილი,** ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი, საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი:

- ალტაცების გამოსახატავად სიტყვები არ მყოფნის: 34 ქვეყნის წარმომადგენლებს შორის მესამე ადგილის დაკავება, მართლაც, საოცარი შედეგია. პირველი-მეორე ადგილები, ფაქტობრივად რუსებსა და ბელარუსებს დაჯავშნილი ჰქონდათ - ძალიან ძლიერი სპორტსმენები ჰყავთ. არავის ეგონა, მათ შემდეგ მესამე ადგილზე ჩვენი გუნდი თუ გავიდოდა, მაგრამ ქართველმა გოგონებმა ოსტატობისა და დიდი ნებისყოფის ხარჯზე ეს შეძლეს. ასპარეზობის პირველი დღის მერე, რაც ორი საგნით პაექრობის ჯამში მესამეზე გავედით, მეორე დღეს ჩვენი კონკურენტები მოსათელ სარბიელზე ყოველმხრივ ცდილობდნენ ხელი შეეშალათ. საამისოდ რა არ მოიმოქმედეს, მაგრამ ჩვენი „სამაია“ ვერ გატეხეს, წონასწორობიდან ვერ გამოიყვანეს — ეს პატარა გოგონები, ჩვენდა გასაოცრად, პროფესიულად აკეთებდნენ თავის საქმეს. მწვრთნელებსაც უდიდესი წვლილი მიუძღვით მათს ფსიქოლოგიურ მომზადებაში. თინათინ ნადირაშვილი, ბელა კობალაძე და ლალი დოლიძე უკონფლიქტოდ აგვარებდნენ ყველა პრობლემას.

უარყოფითთან ერთად ბევრი დადებითიც გვქონდა, რამაც ჩვენს წარმატებას ხელი შეუწყო. უპირველესად, ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტზე მინდა ვთქვა: ბატონ მერაბ ჩიქობავას საქართველოს მხატვრული ტანვარჯიშისთვის ნამდვილად კარგი ფეხი აქვს — იტალიურ პეზაროში წამოგვყვა და იქ გუნდური მესამე ადგილი დავიკავეთ, პენზასა და ნიჟნი ნოვგოროდისკენ გამგზავრებისას აეროპორტში გაგვაცილა და გზა დაგვილოცა. პენზაში ბელარუსებსაც კი ვაჯობეთ და მეორე ადგილი დავიკავეთ, ევროპის პირველობაზე ორი ბრინჯაოს მედალი დავიმსახურეთ. არაფერს ვამბობ მისი ინიციატივით თბილისში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე. შეჯიბრებაზე გამგზავრების წინ თბილისში ჩვენი დელეგაცია დალოცა მამა ბასილმა (კვანტალიანი), რომელმაც შეჯიბრების მონაწილეებს ღვთისმშობლის ხატები აჩუქა. რუსეთის დედაქალაქში ჩასულებს ნიჟნი ნოვგოროდში გამგზავრებამდე რამდენიმე საათი გვქონდა თავისუფალი და მოსკოვის ქართულ ეკლესიაში შევიარეთ. იქაურმა წინამძღვარმა მამა ვახტანგმა (ლიპარტელიანი) ის ხუთჯვრიანი დროშა გვიკურთხა, რომელიც ნიჟნი ნოვგოროდში ორჯერ აფრიალდა ჩვენი გოგონების წარმატების აღსანიშნავად.



## ევროპაში ფანჯარა ბრინჯაოებით გაჭრეს

**რუსულ ნიჟნი ნოვგოროდში სამ დღეს გრძელდებოდა ახალგაზრდა მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს სამი წარმომადგენელი მონაწილეობდა.**

სატანვარჯიშო ქვეყნების წარმომადგენლებთან პაექრობაში ჩვენებურებმა გუნდური მე-3 ადგილი დაიკავეს და უკრაინელი, ბულგარელი და აზერბაიჯანელი ტანმოვარჯიშეები ჩამოიტოვეს, რომ არაფერი ვთქვათ სხვა ქვეყნებზე.

საგულისხმოა, რომ საკვალიფიკაციო ეტაპზე **გაბრიელა ხვედელიძე** რგოლით მესამე და გურზებით მეოთხე იყო, **სალომე ფაჟავა** ბაფთით ფინალში მესამე შევიდა, **სოფიო ფარულავა** კი მეხუთე გახლდათ. ფინალში მსაჯებს მეტი ობიექტურობა რომ გამოეჩინათ, ქართველთა მონაგარი, შესაძლოა, უფრო ხავერიელიც ყოფილიყო. თუმცა, ორი ბრინჯაოც დიდი წარმატებაა.

### კვარცხლბეკი

**გუნდური პირველობა. 1. რუსეთი** — 109,850 (დიანა ბორისოვა, იანა კუდრიავცევა, იულია სინიცინა, ალექსანდრა სოლდატოვა), 2. **ბელარუსი** — 106.550 (ალიონა ბოლოტინა, კატსარინა ჰალკინა, მარია კადობინა), 3. **საქართველო** (გაბრიელა ხვედელიძე, სალომე ფაჟავა, სოფიო ფარულავა), 4. უკრაინა (103.325), 5. აზერბაიჯანი (102.925), 6. ბულგარეთი (101.675).

**ცალკეული საგნები. გურზები:** 1 იულია სინიცინა (რუსეთი, 27.450), 2. მარია კადობინა (ბელარუსი, 26.475), 3. **გაბრიელა ხვედელიძე** (საქართველო, 26.075).

**რგოლი:** 1. დიანა ბორისოვა (რუსეთი, 27.450), 2. ალიონა ბოლოტინა (ბელარუსი, 26.825), 3. ნილუფერ ნიფტალიევა (აზერბაიჯანი, 26.600), 4. **გაბრიელა ხვედელიძე** (საქართველო, 26.300).

**ბურთი:** 1. იანა კუდრიავცევა (რუსეთი, 27.800), 2. კატსარინა ჰალკინა (ბელარუსი, 26.600), 3. ანასტასია მულმინა (უკრაინა, 26.400)... 5. **სოფიო ფარულავა** (საქართველო, 26.200).

**ბაფთა:** 1. ალექსანდრა სოლდატოვა (რუსეთი, 27.500), 2. კატსარინა ჰალკინა (ბელარუსი, 26.775), 3. გულსუნ შაფიზადა (აზერბაიჯანი, 26.325)... 6. **სალომე ფაჟავა** (საქართველო, 25.850).

**ბელა კობალაძე,** საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი:

- მსაჯობა ყველა ტურნირში რთულია, მაგრამ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები მაინც განსაკუთრებულია, რადგან შინაგანთან ერთად გარეგან წნეხსაც გრძნობ, მით უფრო, თუ სარბიელზე შენი შეგირდები გამოდიან. ყოველმხრივ ვცდილობდი, შეფასებები ობიექტური ყოფილიყო. არბიტრები „მძიმედ“ წერდნენ ქულებს. მართალი გითხრათ, არც მიკვირს. ჩვენი ხელოვნებით ხომ სულ რაღაც ორი-სამი შეჯიბრებაა, რაც წარვსდექით დიდ სარბიელზე. ნესიერად არც გვიცნობენ. ამის მიუხედავად, ჩვენმა გოგონებმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინეს უცხოელებზე. თუ ისინი ასე განაგრძობენ მუშაობას, უფრო მნიშვნელოვან შეჯიბრებებზეც ავლენ კვარცხლბეკზე.

**თინათინ ნადირაშვილი,** საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:

- საერთაშორისო შეჯიბრებები, თუნდაც ოფიციალური, ჩემთვის უცხო არ არის, მაგრამ ნიჟნი ნოვგოროდში დებიუტანტივით ვგრძნობდი თავს. მეშინოდა, შინაგანი ღელვა სახეზე არ დამტყობოდა და გოგონებს არ გადასცემოდა. ისინი კი ისე ყოჩაღად გამოიყურებოდნენ, თითქოს თავიანთი დღე და მოსწრება ევროპის ჩემპიონატებზე გაეტარებინოთ. საკვალიფიკაციო ეტაპზე სამივემ კარგი შედეგები აჩვენა, გუნდური ბრინჯაოც ამან მოგვიტანა. რასაც უკრაინელები, ბულგარელები და აზერბაიჯანელები, ალბათ, სიზმარშიც ვერ წარმოიდგენდნენ. აი, ცალკეული საგნებით ფინალში ასპარეზობისას კი მსაჯების მხრიდან ბევრი არაობიექტურობა იყო. რადგან ოთხივე საგანში გვყავდა დასკვნით ეტაპზე წარმომადგენელი, ფინალში ბელა კობალაძეს მსაჯობის უფლება არ ჰქონდა. ეტყობა, ამანაც ერთგვარი ზეგავლენა მოახდინა შედეგებზე. არადა, ტექნიკური მონაცემებიდანაც ხომ კარგად ჩანს, რა მცირე დააკლდათ ჩვენს გოგონებს რგოლით, ბურთითა და ბაფთით ვარჯიშებში მედლების მოსაპოვებლად. ორი წლის წინათ მსგავს შეჯიბრებაზე მე-14 ადგილი დავიკავეთ. მცირე დროში ამგვარი ნახტომი ფედერაციის ამჟამინდელი ხელმძღვანელობის, ჩვენი მწვრთნელებისა და მათი შეგირდების დაუღალავი გარჯის შედეგია. ყველას ვულოცავ.

**ლალი დოლიძე,** ნელი სალაძის სახელობის მხატვრული ტანვარჯიშის აკადემიის სასპორტო კლუბ „გრაციის“ მწვრთნელი:

— ვისაც ერთხელ მაინც უასპარეზია დიდ სარბიელზე, დამეთანხმება, რომ წარმატება ბევრად არის დამოკიდებული ნერვებზე. ქართველ გოგონებს საოცარი ნებისყოფა აღმოაჩნდათ. მადლობა მათ, რომ მწვრთნელებს შრომა წყალში არ ჩაგვიყარეს. ისიც მიხარია, რომ ამ დიდ წარმატებაში ჩვენი კლუბის ნევრმაც შეიტანა თავისი წვლილი. სალომე ფაჟავა მალე სენიორებში გადაინაცვლებს და იქაც ეცდება, საქართველო ასახელოს.



### გაბრიელა ხვედელიძე

14 წლის. სწავლობს თბილისის 105-ე საჯარო სკოლის VIII კლასში. მეცადინეობდა ნინო გედევანიშვილთან. რამდენიმე წელიწადია, ბელა კობალაძე ავარჯიშებს.

2006-2011 წლებში ეგვიპტის, ბუდაპეშტის, დნეპროპეტროვსკის, პოლონეთის, თურქეთის, ისრაელის, იზმირის საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული და პრიზიორი მრავალჭიდსა და ცალკეულ საგნებში. 2012 წ. საქართველოს ჩემპიონი მრავალჭიდში ახალგაზრდებს შორის. მოსკოვის გრან პრი. გუნდური III ადგილი. კიევი. რგოლით ვარჯიშში III ადგილი. პეზარო (იტალია). გუნდურსა და რგოლით III ადგილები. პენზა. გუნდური, რგოლით და გურზებით II ადგილები. „თბილისის თასი“. გუნდური, რგოლით და გურზებით I ადგილები. ნიჟნი ნოვგოროდი. ახალგაზრდების ევროპის პირველობა. გუნდურსა და გურზებით III ადგილები.



### სოფიო ფარულავა

14 წლის. სწავლობს თბილისის 54-ე საჯარო სკოლის VIII კლასში. დღემდე ლუბა სერგოვანცევასთან იმაღლებს ოსტატობას. 2008-2011 წლებში უკრაინის, თურქეთის, საფრანგეთის, აზერბაიჯანის საერთაშორისო ტურნირების ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორი მრავალჭიდსა და ცალკეულ საგნებში. 2012 წ. საქართველოს პირველობაზე მრავალჭიდში, რგოლით, გურზებითა და ბაფთით II ადგილები, ბურთით I ადგილი. იტალია (პეზარო), გუნდურში III ადგილი, პენზა. გუნდური II, ბურთით III ადგილები. ნიჟნი ნოვგოროდი. ახალგაზრდების ევროპის პირველობა. გუნდური III ადგილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საფუძველი ჩაყრილია

**ნელი სალაძე,** საქართველოს და საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, მე-20 საუკუნის საქართველოს საუკეთესო მწვრთნელი:

- დიდი ხანი ველოდით ამ სიხარულს. გვწამდა, მოვიდოდა და არც შევმცდარვართ. გულით ვულოცავ წარმატებას ფედერაციას, მწვრთნელებსა და, რაც მთავარია, ჩვენს ნორჩ შეგირდებს — სალომე ფაჟავას, გაბრიელა ხვედელიძეს და სოფიო ფარულავას. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საფუძველი ჩაყრილია, მყარი საფუძველი, რომელზეც მომავალი გამარჯვებები უნდა დავაფუძნოთ. გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან სწორედ ასე ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევდით მწვერვალებისკენ, რომლებიც ლალი დოლიძემ და ირინე გაბაშვილმა დაიპყრეს მსოფლიოს ჩემპიონობის მოპოვებით. მჯერა, რომ მათი ნაკვალევით არაერთი ქართველი სპორტსმენი ივლის და ჩვენი მხატვრული ტანვარჯიშის მონაგარს ამრავლებს.

## საკუთარი ხელწერისა და კუთვნილი ადგილის დასაბრუნებლად



მარცხნიდან: სოფიო ფარულავა, სალომე ფაშავა, გაბრიელა ხვედელიძე და მერაბ ჩიქობავა

**მერაბ ჩიქობავა,** *ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი:*

— დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში მხატვრულ ტანვარჯიშს მსგავსი წარმატება არ ჰქონია. წლების განმავლობაში საამისოდ მუხლჩაუხრელად შრომობდნენ მწვრთნელებიცა და მათი შეგირდებიც. მართალია, ფედერაციას შარშან ჩავუდექი სათავეში, მაგრამ, როგორც ქალაქის სპორტის ხელმძღვანელმა, ჩვენი მხატვრული ტანვარჯიშის შესაძლებლობებიც კარგად ვიცოდი. მოკლე დროში მოვახერხეთ ყველა რესურსის მობილიზება და წარმატებასაც მივაღწიეთ. თავდადებული გარჯისთვის დიდი მადლობა ჩვენს სახელოვან ქალბატონებს - ნელი სალაძეს, ფიქრია ფანქველაშვილს, ელისო ბედოშვილს, თინათინ ნადირაშვილს, ლუბა სერგოვანცევას, ბელა კობალაძეს, ლალი დოლიძეს, ინგა საკაშვილს, ახალგაზრდა სპორტსმენებს — გაბრიელა ხვედელიძეს, სოფიო ფარულავას, სალომე ფაჟავას. იმედია, მათს მაგალითს სხვებიც მიბაძავენ.

როგორც აღვნიშნე, უპირველესი საზრუნავი ევროპისკენ „ფანჯრის გაჭრა“ იყო. სატანვარჯიშო ქვეყნებს ვუჩვენეთ, რომ მათს ტოლ-სწორად ჩვენც შეგვიძლია ბრძოლა საპრიზო ადგილებისთვის. ევროპის ჩემპიონატზე მოპოვებული ორი ბრინჯაო იმის საწინდარია, რომ მხატვრულ ტანვარჯიშში საქართველო საერთაშორისო სარბიელზე კუთვნილ ადგილს დაიბრუნებს. იტალიურ პეზაროში სტუმრობისას, „თბილისის თასზე“ საერთაშორისო ტურნირის გამართვისას უცხოელმა მწვრთნელებმა არაერთხელ მითხრეს, რომ მსოფლიო მხატვრული ტანვარჯიშის განვითარებაში საქართველოს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის საკუთარი ხელწერით. სწორედ, ეს ხელწერა და საერთაშორისო არენაზე კუთვნილი ადგილი უნდა დავიბრუნოთ. ნიჟნი ნოვგოროდის ბატალიებმა დაგვარწმუნა, რომ მიზანს აუცილებლად მივაღწევთ.



### სალომე ფაჟავა

15 წლის. სწავლობს თბილისის 76-ე სკოლის მე-8 კლასში, ვარჯიშობს ნელი სალაძის სახელობის მხატვრული ტანვარჯიშის აკადემიის სასპორტო კლუბ „გრაციაში“ ელისო ბედოშვილის, ლალი დოლიძისა და ინგა საakaშვილის ხელმძღვანელობით. 2009-2011 წლებში ბულგარეთის, ბელგიის, თურქეთისა და ისრაელის საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული და პრიზიორი მრავალჭიდსა და ცალკეული საგნებით ვარჯიშში. 2012 წ. მოსკოვში გუნდური III ადგილი. საქართველოს პირველობაზე მრავალჭიდში III ადგილი. იტალია (პეზარო). გუნდურსა და ბაფთით III ადგილები. პენზა. გუნდური. II, ბაფთით III ადგილები. „თბილისის თასი“. გუნდურში I, ბაფთით II ადგილი. ნიჟნი ნოვგოროდი. ახალგაზრდების ევროპის პირველობა. გუნდური III ადგილი.

საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის ჩანართი მოამზადა **ვაჟა დანელიამ** R

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# BP - საქართველოს მხარდასაჭერად



**ნიკოლოზ თვაური**
ცურვა

**ვარლამ ლიპარტელიანი**
ძიუდო

**დავით მარსაგიშვილი**
თავისუფალი ჭიდაობა

**შოთა ომარაშვილი**
წოლჭიმი

**იაგო გორგოძე**
წოლჭიმი

**ლუბა გოლოვინა**
ბატუტზე ხტომა

ჩვენ გვეამაყება, რომ ხელს ვუწყობთ
საქართველოს სპორტსმენების
წარმატებას 2012 წლის ლონდონის
ოლიმპიურ და პარაოლიმპიურ თამაშებში.
BP. ჩვენი წვლილი ქვეყნის წარმატებაში

bp

ოფიციალური პარტნიორი

# ქართული სპორტი

## რეგიონი. ახმეტა

# მესამე საერთაშორისო

ახმეტის ფარნაოზ ჩიკვილაძის სახელობის სპორტკომპლექსში 18 გუნდის მონაწილეობით ჩატარდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის გუგული აბრამიშვილის სახელობის მესამე საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში კადეტთა - 1996-98 წლებში დაბადებულთა შორის. შეჯიბრებაში ჩაება აზერბაიჯანის - 2, სომხეთის - 4, ქუთაისის, სამაჩაბლოს, ქობულეთის, საჩხერის, ტყიბულის, დედოფლისწყაროს, ყვარლის, გურჯაანის, თელავის, წყნეთის და, რაღა თქმა უნდა, მასპინძელთა გუნდები.

**კვარცხლბეკი**

**1996-98 წლებში დაბადებულები**

**50 კგ**

1. ნიკო ჭიკაიძე (ახმეტა)
2. თორნიკე ჯინჭარაძე (ქობულეთი)
3. არმენ არამაისიანი (ერევანი)
3. ლევან შონია (ქუთაისი)

**55 კგ**

1. გუგა გოგიტიძე (ქობულეთი)
2. არუთინ დერმიშიანი (ერევანი)
3. ვალერი ცერცვაძე (ყვარელი)
3. ვარდგეს ბაღდასარიანი (ერევანი)

**60კგ**

1. რობერტ გაბრიელიანი (აბოვიანი)
2. დავით ქასაევი (ახმეტა)
3. ჯაბა ფიცხელაური (ახმეტა)
3. დავით ოძელაშვილი (წყნეთი)

**66 კგ**

1. დავით ღზარიანი (ერევანი)
2. მჰერ მელქონიანი (ერევანი)
3. ვანო ჯანიბეგაშვილი (ახმეტა)
3. ნარეკ შატვარიანი (ერევანი)

**73 კგ**

1. ნაირ კარაპეტიანი (ერევან)
2. ავეტიკ გრიგორიანი (ერევანი)
3. ტიგრან ონანიანი (ერევანი)
3. ჯაბა ლიპარტელიანი (ქუთაისი)

**81 კგ**

1. კარლენ მელიქიანი (ერევანი)
2. სერგეი აზაბიანი (აბოვიანი)
3. თომა თევდორაშვილი (თელავი)

**90 კგ**

1. მიხეილ ახალაური (ახმეტა)
2. მაგამედ ალიევი (ბაქო)
3. ილია მაჭარაშვილი (საჩხერე)

**+90 კგ**

1. ბექა ძოწენიძე (ქუთაისი)
2. დავით რაზმაძე (თელავი)
3. კონსტანტინე ხაბეიშვილი (ქობულეთი)
3. ლევან ხინიკაძე (ქობულეთი)

**1999-2001 წლებში დაბადებულები**

**30კგ**

1. გიორგი გიორგაძე (თელავი)
2. გიორგი მეტრეველი (სამაჩაბლო)
3. დავით ბახბახიშვილი (თელავი)
3. ბექა ბონდარენკო (ქუთაისი)

**34 კგ**

1. ოთარ ტალახაშვილი (თელავი)
2. ლევან ებელაშვილი (ახმეტა)
3. რეზო ხაჭიპერაძე (ქუთაისი)
3. ნარაირ ბადალიანი (სომხეთი)

**38 კგ**

1. გიორგი ახალაური (ახმეტა)
2. გიორგი თუთაშვილი (ქუთაისი)
3. ოტია ოტიაშვილი (ახმეტა)
3. გიორგი დვალი (საჩხერე)

**42 კგ**

1. მოვსეს მხითარიანი (ერევანი)
2. რუბენ მეჟლუმიანი (ერევანი)
3. ალექსი ბოლქვაძე (ქობულეთი)
3. გიორგი ცეცხლაძე (ქობულეთი)

**46 კგ**

1. გიორგი სუხოშვილი (ახმეტა)
2. მიხეილ ბახბახიშვილი (თელავი)
3. ვასილ შათირიშვილი (ახმეტა)
3. ზურაბ შავიშვილი (ქობულეთი)

**50 კგ**

1. ბორის შატვარიანი (აბოვიანი)
2. ილია ბათურიშვილი (ახმეტა)
3. სოსო ებილაშვილი (მარტყოფი)
3. გიორგი ბათურიშვილი (ახმეტა)

**55 კგ**

1. არსენ ახმედოვი (ბაქო)
2. ელმარ გაჯზადე (ბაქო)
3. შალვა სულამანიძე (ტყიბული)
3. აკბერ ახმედოვი (ბაქო)

**+55კგ**

1. ჯაბა ხაჭაპურიძე (ქუთაისი)
2. ნიკა დონლვანი (ქუთაისი)
3. გიორგი კვიცაშვილი (ახმეტა)
3. პაატა მარტიაშვილი (თელავი)

**ლელა ხეჩოშვილი**



## ქართული ჭიდაობა



გამარჯვებულები და ქართული ჭიდაობის ფედერაციის ხელმძღვანელები

# ძმა დის კვალზე

**ქართული ჭიდაობის ჭომაგებმა ჟინიანი და რისკიანი შერკინებები ვიხილეთ - 13-14 წლის ბიჭებს, რომ სჩვევიათ, ისეთი. დაწინაურებულები ზოგჯერ ბოლო წამებზე რომ მარცხდებიან ხოლმე. მაგრამ ისინი ხომ ახალბედები არიან...**

ეს იყო მცხეთაში. საქართველოს გოლიათის **სანდრო კანდელაკის** (1893-1959) ძეგლთან ახლოს, მისსავე სახელობის სპორტდარბაზში (ცირკში)...

ჭიდაობის ცოცხალი ლეგენდა **ლევან თედიაშვილი** ხშირად ამბობს ხოლმე - მარცხი კარგი გაკვეთილიაო. თუ არ წააგე, ვერც მოიგებო.

ვინც ქართული ჭიდაობის ავკარგი იცის, დაგვეთანხმება, რომ გენებიც თავის როლს თამაშობს. ქართულ ჭიდაობას ბევრი რამ სჭირდება. სოფლის 10-მეტრიანი საჭიდაო მოედნის ნახერხიც კი დეფიციტია დღეს. მაგრამ მოდის იმედისმომცემი, მებრძოლი, ახალი თაობა.

ერთი რამ უდავოა - ქართული ჭიდაობა თუ არ განვითარდა, საფუძველი მოერყევა დიდი ტრადიციების მქონე ქართულ საჭიდაო სკოლას. საბედნიეროდ, ქართული ჭიდაობა ცოცხლობს.

ისევ მცხეთას დავუბრუნდეთ. სულ 140 რჩეული ჭაბუკი - რეგიონების პირველობებში გამარჯვებულები და პრიზიორები შეიკრიბნენ ფინალურ ეტაპზე სასასპარეზოდ, რომელმაც გვიჩვენა, რომ ჭიდაობის დონე აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის თითქმის გათანაბრდა. ადრე თბილისის გუნდიდან ცოტა ვინმე თუ ხდებოდა პრიზიორი, ახლა ჩემპიონებიც კი ჰყავდათ დედაქალაქელებს. საჩხერის, დედოფლისწაროს და ქარელის მწვრთნელებს გარჯაც ქებას იმსახურებს. წყნეთელი ერეკლე ოძელაშვილი კი ჩემპიონი გახდა ყველაზე მსუბუქ წონაში (35 კგ). საინტერესოა, რომ ის თავისი ბიძაშვილის, **ნინო ოძელაშვილის** კვალს გაჰყვა. ნინო ხომ პირველი ქართველი მოჭიდავე ქალია, რომელმაც ოფიციალურ მსოფლიოს ჩემპიონატზე მედალი მოიპოვა - შარშან ვილნიუსში (ლიტვა) სამბოში მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა (72 კგ).

მცხეთაში საქართველოს პირველობის მედალოსანი ყმაწვილები პირველად დააჯილდოვა ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ახალმა პრეზიდენტმა **რამაზ ხატიაშვილმა.**

**კვარცხლბეკი**

**35 კგ.** 1. ერეკლე ოძელაშვილი (წყნეთი), 2. ლევან ხაბარელი (საგარეჯო), 3. გაგა ჩანადირი (მცხეთა).

**40 კგ.** 1. თემურ ნოზაძე (ხაშური), 2. ვაჟა ბუბუნაური (დედოფლისწყარო), 3. ვანო ხუბაშვილი (დუშეთი).

**45 კგ.** 1. რობიზონ ბეგლარაშვილი (გორი), 2. გურამ ჩეგიანი (მცხეთა), 3. გიორგი ასანიძე (რუსთავი).

**50 კგ.** 1. შოთა ბესიაშვილი (თბილისი), 2. ბექა გაგაძე (დედოფლისწყარო), 3. გიორგი გაბინაშვილი (კასპი).

**55 კგ.** 1. ლუკა მაისურაძე (ხაშური, 2. ვანო მახათაძე (გორ), 3. ბაჩუკი კაკალაძე (აჭარა).

**60 კგ.** 1. გიორგი გოგოლიძე (საჩხერე), 2. ზვიად თევდორაშვილი (თბილისი), 3. ჭაბუკა კირაკოზაშვილი (საგარეჯო).

**65 კგ.** 1. ნოდარ წამალაიძე, 2. გოგა ქევხიშვილი (ორივე - თბილისი), 3. რევაზ ჯიაძე (ქუთაისი).

**+65 კგ.** 1. ოთარ დარსაველიძე (ქუთაისი), 2. ნიკა სიდამონიძე, 3. გიორგი პოლიტაშვილი (ორივე - ქარელი).

**გაბრიელ ბარჯაძე**

ავტორის ფოტო

## ჭადრაკი

### მასპინძლებზე სწრაფები

ბათუმში გუშინ დაიწყო და დღეს დამთავრდება მოჭადრაკე ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი ბლიცში (4 წუთს +2 წამი თითოეული სვლისათვის). შეჯიბრებაში (საპრიზო ფონდია 41.000 დოლარი, საიდანაც გამარჯვებული 10.000-ს მიიღებს) 18 ქვეყნის 50 წარმომადგენელი მონაწილეობს. გუშინ გათამაშდა 8 ტური. შესანიშნავად იასპარეზა 2012 წლის ევროპის ჩემპიონმა და 2010 წლის მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებულმა ვალენტინა გუნინამ (რუსეთი), რომელმაც ყველა მეტოქე დაამარცხა და უდანაკარგოდ ერთპიროვნულად მეწინავეობს. ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი 2-2 ქულით უსწრებს უახლოეს მდევრებს - დებს - ანა მუზიჩუკსა (სლოვენია) და მარია მუზიჩუკს (უკრაინა), ნანა ძაგნიძეს და ნატალა ჟუკოვას (უკრაინა), 5,5-5,5 ქულით ნინო ბაციაშვილი და ჰუან ქიანი (ჩინეთი) მეექვსე-მეშვიდე ადგილებს ინაწილებენ.

დღეს შვიდი ტურის პარტიები გათამაშდება.

### სოლიდური პრიზით

ბულგარეთის ზღვისპირა კურორტი Golden Sands-ი დიდ საერთაშორისო ტურნირს მასპინძლობს (საპრიზო ფონდი 50.000 ევრო), რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის 224 წარმომადგენელი (მათ შორის - 50 დიდოსტატი) მონაწილეობს. მოასპარეზეთა შორის არიან ქართველებიც. პირველი ტური მხოლოდ ორი მათგანისთვის აღმოჩნდა წარმატებული: **აკაკი შალამბერიძემ** ისმეტ ტურეკი დაამარცხა, ხოლო **ალექსანდრე ყაშაშვილმა** ელიზაბეტ ივანოვს სძლია. ხუთმა ჩვენებურმა კი პარტიები დათმო: ავეტიკ გრიგორიანი-**თამაზ მგელაძე** 1:0, **ნინო მელაშვილი**-ვლადისლავ ნევედნიჩი 0:1, ჰოვანეს გაბუზიანი-**ვახტანგ ჩიქოვანი** 1:0, **ნატო იმნაძე**-მილკო პოპჩევი 0:1, **მაია მუმლაძე**-პაველ დიმიტროვი 0:1.

ტურნირის რეიტინგფავორიტები არიან ვლადიმირ აკოფიანი (სომხეთი, 2697), ზახარ ეფიმენკო (უკრაინა, 2689) და კირილ გეორგიევი (ბულგარეთი, 2689). სტარტზე აკოფიანმა ნახევარი ქულა დაკარგა, ეფიმენკომ და გეორგიევმა თავიანთი პარტიები მოიგეს. ქალებში მთავარი პრიზისთვის იბრძოლებენ 2006 წლის ევროპის ჩემპიონი ეკატერინა ატალიკი, ადელა-ქრისტინა ფოიშორი, ალინა კაშლინსკაია, ირინა ბულმაგა და სხვები.

**ვაჟა დანელია**

## უნივერსიადა



# კიდევ ორ სახეობაში

საქართველოს უნივერსიადის პროგრამით ასპარეზობა დამთავრდა კიდევ ორ სახეობაში - რაგბიში და ძალისმიერ სამჭიდში.

მორაგბეთა პაექრობაში 11 შვიდკაცა გუნდი მონაწილეობდა. წარმატებით იასპარეზეს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა. ისინი დაუმარცხებლად გავიდნენ ფინალში. გადამწყვეტ ეტაპზე მათი პაექრობა სეუ-მ 17:12 მოიგო და პირველი ადგილი დაიკავა. გამარჯვებული გუნდის ბაზაზე დაკომპლექტდება საქართველოს შვიდკაცა რაგბის სტუდენტური ნაკრები, რომელიც ესპანურ კორდობაში ევროპის საუნივერსიტეტო თამაშებში იასპარეზებს.

რაც შეეხება ძალისმიერ სამჭიდელთა დაპირისპირებას, წონითი კატეგორიების მიხედვით საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:

**59 კგ.** 1. გიგა ბეგიაშვილი (სტუ), 2. ნიკოლოზ ბიბიაშვილი (თსუ), 3. გიორგი უგრეხელიძე (აგრარული). **66 კგ.** 1. კახაბერ თეთრაძე (თსუ), 2. დავით პეტრიაშვილი, 3. სოლომონ თედიაშვილი (ორივე - სამედიცინო). **74 კგ.** 1. ზაურ ნიქორიძე (სამედიცინო), 2. კობა კლდიაშვილი (სტუ), 3. მიხეილ მრელაშვილი (თსუ). **83 კგ.** 1. ლევან ჩოჩია (სამედიცინო), 2. დავით ჩითინაშვილი (სოხუმის უნივერსიტეტი), 3. დავით ვარდიაშვილი (სტუ). **93 კგ.** 1. გიორგი ბალანაშვილი, 2. გივი კვარაცხელია (ორივე - სტუ), 3. დემურ ცაბაძე (თსუ). **105 კგ.** 1. გიგა ხანიშვილი (სტუ), 2. ვლადიმერ გოგოლიძე (თსუ), 3. ნიკა ნანაძე (აგრარული). **+105 კგ.** 1. ჭაბუკა ჭილლაძე (აგრარული), 2. გიორგი ნებიერიძე (თსუ), 3. ნიკა ხაბელაშვილი (სამედიცინო).

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● იტალია. კანტუ 2011-12



# მარკოიშვილი – სეზონის საუკეთესო კანტუელი!

## შერმადინი – მთავარი სიურპრიზი

ზუსტად ერთი კვირის წინ იტალიაში მოთამაშე სამი ქართველის სეზონის მონაგარი სტატისტიკურად შევაჯამეთ. ახლახან, იტალიურ გაზეთ „დეილიბასკეტში" „კანტუს" თითოეული კალათბურთელის შეფასება გამოყვეყნდა. როგორც წესი, სტატიას გამორჩეული მოთამაშის ფოტო ახლავს. ჟურნალისტ კარლო პეროტის პუბლიკაცია დასაწყისში მანუჩარ მარკოიშვილის სურათით იწყება.

სტატიის სრულად თარგმნა საჭირო არ არის, მხოლოდ მანუჩარისა და **გიორგი შერმადინის** გარჯაზე შევჩერდებით ვრცლად. მივყვეთ მოვლენებს თანმიმდევრობით.

№4. დევიდ ლაითი. 6.4 ქულა იტალიაში

დევიდი სეზონის პირველ ნახევარში „კანტუმ" „კრემონაში" გაუშვა.

**შეფასება: 5.5.**

№5. ვლადიმირ მიკოვი. 4.9 ქულა, 2.4 პასი იტალიაში, 10.4 ქულა, 3.2 პასი ევროლიგაზე.

მიკოვი თებერვლის საუკეთესო მოთამაშე იყო, თუმცა სეზონის ბოლოს ტრავმის გამო ბევრი გაუცდა.

**შეფასება: 6.5**

№7. მარკო სჩეკიჩი. 5.9 ქულა, 5 მოხსნა იტალიაში.

მუხლის სერიოზული ტრავმის გამო თითქმის მთლი სეზონი გამოტოვა.

**შეუფასებლად**

№8 ბენ ორტნერი. 3.8 ქულა, 2.5 მოხსნა იტალიაში.

სეზონის დასაწყისშივე „ბენეტონში" გადავიდა.

**შეფასება: 5**

№9. მანუჩარ მარკოიშვილი. 10.7 ქულა ევროლიგაზე, 9.1 ქულა იტალიაში.

ჩვენი ვერსიით, მანუჩარი სეზონის საუკეთესო კანტუელი იყო. იგი მესამე სეზონია მაღალი დონის კალათბურთს უჩვენებს. განსაკუთრებით მას შემდეგ გაიზარდა მისი ნაყოფიერება, რაც გუნდს ერთდროულად მიკოვი და ბაზილე გამოაკლდნენ (ტრავმების გამო). მანუჩარმა საკუთარი შესაძლებლობები ევროლიგაზეც სათანადოდ გამოავლინა. რაც მთავარია, შესანიშნავი პიროვნებაა.

**შეფასება: 8**

№10. მაარტენ ლეუნენი. 9.6 ქულა, 4.8 მოხსნა იტალიაში, 8.1 ქულა, 4.7 მოხსნა ევროლიგაზე.

სტაბილური იყო, განსაკუთრებით კარგად სეზონის დასკვნით მონაკვეთში ითამაშა.

**შეფასება: 6.5**

№11. დენის მარკონატო. 4.1 ქულა, 3.1 მოხსნა იტალიაში, 6.2 ქულა, 3.7 მოხსნა ევროლიგაზე.

მან გვიჩვენა, რა ღირებულება აქვს ევროლიგაზე გამოცდილ ცენტრს.

**შეფასება: 6 (7 ევროლიგაზე)**

№12. ნიკოლა მაზარინო. 10.1 ქულა იტალიაში, 6.2 ქულა ევროლიგაზე.

37 წლის კალათბურთელს კარგი სეზონი ჰქონდა.

**შეფასება: 7.5**

№13. დორონ პერკინსი. 11.1 ქულა, 6.1 მოხსნა იტალიაში, 10 ქულა, 7.5 მოხსნა ევროლიგაზე.

ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ პერკინსმა „კანტუ" გამოიყენა საჩვენებლად - ტრავმა მოვიშუშე და თამაში ძველებურად შემიძლიაო.

**შეფასება: 6**

№18. კარლოს ჯიანელა. 5.4 ქულა იტალიაში, 4.4 ქულა ევროლიგაზე.

**შეფასება: 5.5**

№19. გიორგი შერმადინი. 8 ქულა, 4.7 მოხსნა იტალიაში, 10.9 ქულა, 5.5 მოხსნა ევროლიგაზე.

შერმადინი სეზონის სიურპრიზი იყო. ასეთი სიმაღლის (216 სმ), კოორდინაციის, ელეგანტურობისა და „რბილი ხელის" მქონე კალათბურთელს „კანტუში" აქამდე არ უთამაშია (**თარლ ბეილიც** ასეთივე კარგი იყო, მაგრამ ამპლუით იგი მძიმე ფორვარდი გახლდათ, რომელსაც ცენტრის პოზიციაზე უწევდა თამაში). იტალიის ჩემპიონატში გიორგი ხშირად იღებდა პერსონალურ შენიშვნებს. ამის მიზეზი მისი ფიზიკური ძალა და თამაშის კონტაქტური სტილი გახლდათ. ეს ევროლიგაზე დაშვებულია, იტალიაში კი მსაჯებს დასტვენის საფუძველს აძლევდა. შერმადინმა „კანტუს" მაისურით არაერთი მატჩი ჩაატარა ეფექტურად. მაგალითად, ევროლიგაზე, მომავალ ჩემპიონ „ოლიმპიაკოსთან"... სეზონის ბოლოს ქართველმა ცენტრმა ტრავმის გამო ვერ ითამაშა. იტალიის ჩემპიონატის მსვლელობისას მისი წარმომადგენლები კონტრაქტზე ისრაელის „მაქაბის" შეუთანხმდნენ, რაც კანტუელთათვის მოსაწონი ნამდვილად არ იყო.

**შეფასება: 8 (მაგრამ ჯარიმა ისრაელში გადასვლის გამო).**

№20. ანდრეა ჩინჩარინი. 4.7 ქულა იტალიაში, 5.2 ქულა ევროლიგაზე.

ამ ზაფხულს მეტი უნდა იმუშაოს სროლის სიზუსტეზე.

**შეფასება: 6.**

№25. გრეგ ბრუნერი. 4.2 ქულა ევროლიგაზე, 9.2 ქულა, 6 მოხსნა იტალიაში.

გამოავლინა დიდი მონდომება, გამოირჩა გულიანი თამაშით.

**შეფასება: 6.5**

№55. ჯანლუკა ბაზილე. 7.6 ქულა იტალიაში, 10 ქულა ევროლიგაზე.

გამოცდილი, მაღალი დონის კალათბურთელია. არაერთი გადამწყვეტი ტყორცნა შეასრულა. კარგად გამოსდიოდა შერმადინთან „პიკ ენდ როლი".

**შეფასება: 6.5**

მწვრთნელი: ანდრეა ტრინჩიერი.

„კანტუს" თავკაცის მუშაობაში დადებითიც ბევრი დავინახეთ და უარყოფითიც. მის აქტივში უნდა ჩაითვალოს სეზონის დასაწყისში **პარახუსკის** ნაცვლად ცენტრის პოზიციაზე შერმადინის დამატება. მწვრთნელმა ქართველი მოთამაშე დომინანტ მეფარედ აქცია და იტალიის ჩემპიონატის ბოლოს, შერმადინის ტრავმის გამო რეგულარულში მეორე ადგილი „მილანს" დაუთმო. ტრინჩიერის დამსახურებაა „მაქაბის", „ბილბაოს", „ოლიმპიაკოსისა" და „კახა ლაბორალის" დამარცხება...

მწვრთნელის შეფასებისას უარყოფით მხარედ უნდა მივიჩნიოთ შემადგენლობასთან დაკავშირებული ხშირი ცვლილებები, ზოგიერთი მოთამაშე ნაკლებს იმსახურებდა და მეტს თამაშობდა, ზოგი - პირიქით. „კანტუ" ძლიერ მეტოქეებსაც ამარცხებდა, მაგრამ შედარებით სუსტებთან წაუგია...

**შეფასება: 6.**



● საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები

# ესპანეთამდე ისრაელი და ესტონეთი

გუშინ კალათბურთის ფედერაციის საიტმა სიახლე გვაცნობა: საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების გზად ოთხ საკონტროლო შეხვედრას ჩაატარებს. ივნისის ბოლოს თბილისში ისრაელის 20-წლამდელთა ნაკრებს უმასპინძლებს, ხოლო ივლისის დასაწყისში ესტონეთში ასევე ორ სპარინგ-მატჩს გამართავს.

**დავით უსტიაშვილის** გუნდი ასაკობრივ ნაკრებებს შორის ერთადერთია, რომელიც ევროპის ჩემპიონატის A დივიზიონში, ანუ ფინალურ ეტაპზე ითამაშებს. ქართველები C ჯგუფში ესპანეთის, თურქეთისა და ლატვიის ნაკრებებთან მოხვდნენ. ევროპირველობა 12-22 ივლისს სლოვენიაში, დომჟალესა და კრანსკა გორაში ჩატარდება. ამ შეჯიბრებისთვის გუნდი 11 ივნისს თბილისში შეიკრიბება.

*- 11 ივნისიდან 15 კალათბურთელით შევიკრიბებით და საკალათბურთო აკადემიის დარბაზში დავიწყებთ ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას. დღეში ორჯერადი ვარჯიშები გვექნება და საბოლოოდ სლოვენიაში გამგ ზავრებამდე 12 კალათბურთელი შეირჩევა. მიმდინარეობს ბოლო დეტალების დაზუსტება. შესაძლებელია, შემადგენლობაში მცირე ცვლილებები განხორციელდეს და ამიტომ არ მინდა 15 მოთამაშის დასახელება ვიჩქარო.*

მოსამზადებელი ეტაპის გეგმა უკვე მოხაზულია:

*- გადაწყვეტილია, რომ 4 სპარინგ-მატჩს გავმართავთ. ორს ისრაელთან, ორსაც ესტონეთთან. ისრაელის ახალგაზრდულ ნაკრებს თბილისში 26 და 27 ივნისს გავეჯიბრებით, ხოლო ესტონეთს სტუმრად 5 და 6 ივლისს შევხვდებით. ვფიქრობ, ეს 4 მატჩი საკმარისი იქნება საიმისოდ, რომ ევროპის ჩემპიონატის წინ სათანადოდ შევთამაშდეთ. ორივე ნაკრები ძლიერია და ღირსეულ წინააღმდეგობასაც გაგვიწევს.*

მწვრთნელებმა, დავით უსტიაშვილმა და **არჩილ ჟღენტმა** კანდიდატები სეზონის განმავლობაში არაერთხელ შეკრიბეს...

*- ნაკრებისთვის კანდიდატებს ზამთრის შემდეგ ვარჩევთ. კვირაობით ვიკრიბებოდით და ვვარჯიშობდით. დაახლოებით 25 კალათბურთელი გამოვცადეთ, რომლებსაც საკმარისი დრო ჰქონდათ საკუთარი შესაძლებლობების გამოსამჟღავნებლად. ასე რომ, ყველა კანდიდატი ღირსეული კონკურენციის შედეგადაა შერჩეული.*

**...და ყველაზე საინტერესო შეკითხვა: რას უნდა ველოდეთ ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისგან?**

*- მოგეხსენებათ, შარშან B დივიზიონი მოვიგეთ და უძლიერესთა შორის მოვხვდით. რამდენიმე კალათბურთელი, მათ შორის დივიზიონის შარშანდელი საუკეთესო მოთამაშე თორნიკე შენგელია გამოგვაკლდა. ჩვენი მიზანი უძლიერესთა შორის ადგილის შენარჩუნებაა. ჩვენი გუნდის წევრები დიდ გამოცდილებას მიიღებენ და კიდევ უფრო გამოიკვეთება ეროვნულ ნაკრებში მოხვედრის პრეტენდენტები. ესპანეთი და თურქეთი ჯგუფის ფავორიტები არიან. არც ლატვიაა ნაკლები გუნდი, რომელმაც გასულ წელს მსოფლიოს 19-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზა. ევროპის ჩემპიონატის თითო ჯგუფიდან სამ-სამი ნაკრები გადის. ასე რომ, ჩვენი ამოცანა სამეულში მოხვედრა იქნება.*



2011 წლის B დივიზიონის ჩემპიონი - საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ერთა თასი


საქართველო-უკრაინა. 2011 წელი

# ბორჯღალოსნებმა საუკრაინოდ მზადება დაიწყეს

**საქართველოს მორაგბეთა ნაკრები 9 ივნისს თბილისში, „ავჭალის სარაგბო სტადიონზე“ ერთა თასის წლევანდელი გათამაშების ბოლო მატჩში უკრაინის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. მეორე დღეს კი „ბორჯღალოსნები“ ჩრდილოეთ ამერიკაში გაემგზავრებიან, სადაც ივნისის ტესტებზე ორ შეხვედრას გამართავენ აშშ-ისა და კანადის ნაკრებებთან.**

უკრაინის ეროვნულ გუნდთან დაპირისპირებაში, ჩვენს ნაკრებს საიმისოდ, რომ ერთა თასს დაეუფლოს, ფრეც ხელს აძლევს, თუმცა ცხადია, რომ გუნდთან, რომელიც უკვე გამოეთხოვა ჩვენს დივიზიონს, საქართველოს ნაკრები მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებს.

„ბორჯღალოსანთა“ ახალზელანდიელმა მთავარმა მწვრთნელმა **მილტონ ჰეიგმა** საწვრთნელ შეკრებაზე, რომელიც გუშინ „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე“ დაიწყო, 32 მორაგბეს უხმო. ჰეიგი მათგან იმ 26 მოთამაშეს შეარჩევს, რომლებსაც ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში იახლებს.

ტრავმების გამო გაფართოებულ სიაში ვერ მოხვდნენ **გიორგი შკინინი** (არმია), **დავით ხინჩაგიშვილი** (ბრივი), **ვასილ კაკოვინი** (ტულუზი), **ანტონ ფეიქრიშვილი** (კასტრი), **ჯაბა ბრეგვაძე** (ტულუზი) და **ვიქტორ კოლელიშვილი** (კლერმონი).

საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბის გადაწყვეტილებით, რთული სეზონის შემდეგ ისვენებენ: **მამუკა გორგოძე** (მონპელიე), **დავით ქუბრიაშვილი** (ტულონი), **ირაკლი ნტრიაშვილი** (ბრივი), **ლევან დათუნაშვილი** (ორიაკი) და **გიორგი ნემსაძე** (ტარბი).

ნაკრებში წლეულს პირველად ითამაშებენ პირველხაზელები **დავით ზირაქაშვილი** (კლერმონი) და **აქვსენტი გიორგაძე** (ტულუზი). ისინი ერთა თასის გათამაშების განვლილ შეხვედრებს ტრავმების გამო დააკლდნენ. ეროვნული ნაკრების გაფართოებულ სიაში პირველად მოხვდა **ირაკლი მირცხულავა** (ტარბი), თუმცა დარჩება თუ არა ის საბოლოოდ ეროვნულ გუნდში, ჰეიგი გადაწყვეტს. სხვა დანარჩენ პირველხაზელებს ეროვნულ გუნდში სხვადასხვა დროს არაერთხელ უთამაშიათ.

მეორე ხაზში ორი სიახლეა. არმიელი **დავით ჩიტიძე** ნაკრების საწვრთნელ შეკრებებზე ადრეც იმყოფებოდა, თუმცა ამჟამად გუნდში ადგილის დამკვიდრებაზე სერიოზულ პრეტენზიას აცხადებს. ახალზელანდიელმა მწვრთნელმა მასთან ერთად მიიწვია „ლოკომოტივის“ მეორეხაზელი **ბაჩუკი გუჯარაიძე**, რომელიც, სავარაუდოდ, გაზაფხულის ტურნირის მსვლელობისას შენიშნა.

მესამე ხაზში ტრავმის მოშუშების შემდეგ, წლეულს პირველად ითამაშებს ნაკრებში **ზვიად მაისურაძე** (ლოკომოტივი), რომელიც ახალ ზელანდიაში გამართული მსოფლიოს თასის გათამაშებისთვის მზადებისას დაშავდა და ხანგრძლივი მკურნალობა დასჭირდა.

ახალი სახეები არ არიან, მაგრამ ეროვნული ნაკრების კვართი ჯერ არ მოურგიათ საქართველოს A ნაკრების წევრებს, **ბექა ბიწაძეს** და **გიორგი თხილაიშვილს** (ორივე-არმია).

უკანა ხაზში დებიუტანტები არ გვყავს. სიახლე კი ის არის, რომ ტრავმა მოიშუშა და ნაკრებში დაბრუნდა „ლელოს“ მგეზავი **ლაშა ხმალაძე**. ჰეიგმა გუნდში დააბრუნა კიდევ ერთი ლელოელი, გარემარბი **ლექსო გუგავა**, რომელმაც თავი საქართველოს A ნაკრების შემადგენლობაში, ბრიტანეთში გამართული ტურნირის მსვლელობისას გამოიჩინა.

უკრაინის ნაკრები, რომლის თავკაციც საქართველოს ეროვნული გუნდის ყოფილი მესამეხაზლი **ზაზა ლეჟავაა**, თბილისს, სავარაუდოდ, პარასკევს დილით ეწვევა. უკრაინელთა რიგებში ორი ქართველი მორაგბე ითამაშებს, ცხრა ნომერი **ზურაბ კიკაჩეიშვილი** და მესამეხაზელი **ჯაბა მალალურაძე**, რომელიც საქართველოს ნაკრების მგეზავის, **ლაშა მალალურაძის** ძმაა.

შეგახსენებთ, რომ მატჩი „ავჭალის სარაგბო სტადიონზე“ შაბათს 17 საათზე დაიწყება.

**საქართველოს ნაკრები**

პირველი ხაზი: დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), აქვსენტი გიორგაძე (ტულუზი), მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე), ბექა შეყლაშვილი (დაქსი), ლევან ჩილაჩავა (ტულონი), რეზო ბელქანია (ლა სეინი), ირაკლი მირცხულავა (ტარბი), შალვა მამუკაშვილი (არმია).

მეორე ხაზი: ვახტანგ მაისურაძე (ალბი), გიორგი ჩხაიძე (სენ ჟუნიენი), ბაჩუკი გუჯარაიძე (ლოკომოტივი), დავით ჩიტიძე (არმია).

მესამე ხაზი: შალვა სუთიაშვილი (მასი), ბექა ბიწაძე, გიორგი თხილაიშვილი (ორივე-არმია), გივი ბერიშვილი, ზვიად მაისურაძე (ორივე-ლოკომოტივი), დიმიტრი ბასილაია (ედინბურგი)

№9: ირაკლი აბუსერიძე (ოსერი), ბიძინა სამხარაძე (არმია), გიორგი ბეგაძე (ბათუმი XV).

№10: მერაბ კვირიკაშვილი (სენ ჟუნიენი), ლაშა ხმალაძე (ლელო), ლაშა მალალურაძე (ვალანსი).

№12-13: დავით კაჭარავა (ნიცა), თედო ზიბზიბაძე (პერიგო), მერაბ შარიქაძე (ჰართპური).

№11-14: ირაკლი მაჩხანელი (სენტ ეტიენი), ლექსო გუგავა (ლელო), ალექსანდრე თოდუა (ალბი).

№15. ირაკლი ყიასასვილი (ლელო), ბექა ნიკლაური (ლოკომოტივი).

**უკრაინის ნაკრები**

ტარას მარჩენკო, ოლექსანდრ პოლიანსკი, ვიტალი ორლოვი, ჯაბა მალალურაძე, ზურაბ კიკაჩეიშვილი, მიროსლავ შულიაკი, ოლეგ კოსარევი, ვიტალი კრასნოდემსკი, მიკოლა დელეგირიევი, ვიაჩესლავ პონომარენკო, მაქსიმ კრავჩენკო, პავლო მასიუკოვი, ოლექსი ნოვოკრეშენცოვი, ოლეგ ლიტვინენკო, მიკოლა კირსანოვი, ევგენი ჩაიკა, ედუარდ ვერტილეცკი, ვიტალი კრამარენკო, ოლექსანდრ ტარასენკო, რუსლან რადჩუკი, ვიაჩესლავ კრასილნიკი, სერგეი მონასტირიოვი.

**2012 წელი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 5 | 3 | 0 | 2 | +33 | 16 |
| 2. რუმინეთი | 5 | 3 | 0 | 2 | +97 | 16 |
| 3. საქართველო | 5 | 3 | 0 | 2 | +70 | 15 |
| 4. რუსეთი | 5 | 3 | 0 | 2 | -47 | 14 |
| 5. პორტუგალია | 5 | 1 | 0 | 4 | -30 | 7 |
| 6. უკრაინა | 4 | 1 | 0 | 3 | -123 | 5 |

**ორი წლის ჯამი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 9 | 8 | 0 | 1 | +203 | 37 |
| 2. რუმინეთი | 10 | 6 | 0 | 4 | +194 | 32 |
| 3. ესპანეთი | 10 | 5 | 0 | 5 | -50 | 26 |
| 4. რუსეთი | 10 | 5 | 0 | 5 | -45 | 25 |
| 5. პორტუგალია | 10 | 4 | 0 | 6 | -15 | 21 |
| 6. უკრაინა | 9 | 1 | 0 | 8 | -287 | 5 |

ახალგაზრდული ალაფი

# სმიტმა ახალგაზრდული რაზმი დაასახელა

**საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ სოლტ ლეიკ სიტიში გაემგზავრება, სადაც მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფის გათამაშებაში იასპარეზებს. ეს ტურნირი იმავდროულად მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი შეჯიბრებაა, რომელიც მომავალ წელს საფრანგეთში გაიმართება. აქ თამაშის უფლებას ალაფზე გამარჯვებული მიიღებს.**

ჩვენი გუნდის მეტოქეები B ჯგუფში, ისევე როგორც შარშან თბილისში გამართულ მსოფლიოს ახალგაზრდულ ალაფზე, კანადის, ზიმბაბვესა და იაპონიის ნაკრებები იქნებიან. ჯგუფში პირველ ადგილზე გასული სხვა, A ჯგუფში გამარჯვებულს ფინალში დაუპირისპირდება.

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები შოტლანდიელი **იან სმიტის** ხელმძღვანელობით, ამ ტურნირისთვის დიდი ხანია ემზადება. მას ასისტენტობას ახალგაზრდა ქართველი მწვრთნელები **ვლადიმერ კილასონია** და **ირაკლი ჭყონია** უწევენ. მწვრთნელთა შტაბმა უკვე დაასახელა იმ 26 მორაგბის ვინაობა, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრებიან.

გუნდში ოთხი ისეთი მოთამაშე მოხვდა, რომლებმაც შარშან თბილისში გამართულ ტურნირში იასპარეზეს. ესენი არიან: **გოდერძი ჭინჭარაული** (ლელო), **ზურაბ ძნელაძე** (აია), **ბახვა კობახიძე** და **ლევან გოგოლაშვილი** (ორივე-არმია).

**საქართველოს ნაკრები, U-20**

პირველი ხაზი: ვახტანგ ახობაძე, გიორგი თეთრაშვილი (ორივე-ალბი), არჩილ ბეჟიაშვილი (ყოჩები), ზაზა ნავროზაშვილი (არმია), ვაჟა თაგაური (არმაზი), გიორგი ლომთაძე (აია).

მეორე ხაზი: მინდია ელგუჯაური (ბრივი), სანდრო ქოიავა (ლელო), ლაშა ლომიძე (მონპელიე), გიორგი მჭედლიშვილი (ჯიქები).

მესამე ხაზი: საბა ბერაძე (ხულიგანა), გურამ შენგელია (ჯიქები), ელგუჯა სურგულაძე (ლელო), ბექა მამრიკიშვილი (ჯიქები).

№9: ვაჟა ხუციშვილი (ხარები), გიორგი მისრიაშვილი (არმაზი).

№10: გიორგი ბასილაია (ხარები), გოდერძი ჭინჭარაული (ლელო).

№12-13: გიგა გაგოშვილი, თამაზ მჭედლიძე (ორივე-არმია), მერაბ შარიქაძე (ჰართპური).

№11-14: ლევან გოგოლაშვილი (არმია), ზურაბ ძნელაძე (აია), გიორგი ბიწაძე (ლოკომოტივი).

№15: ბახვა კობახიძე, საბა ნიკოლავა (ორივე-არმია).

**18 ივნისი**

საქართველო-კანადა

**22 ივნისი**

საქართველო-ზიმბაბვე

**26 ივნისი**

საქართველო-იაპონია

A ჯგუფი: ჩილე, რუსეთი, ტონგა, აშშ
B ჯგუფი: საქართველო, კანადა, ზიმბაბვე, იაპონია.

ინტერვიუ გიორგი ნემსაძესთან

# მეორეხაზელი ვარ, შემიძლია მესამეშიც ვითამაშო


ბურთით გიორგი ნემსაძე

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატი დასასრულს მიუახლოვდა. დასკვნით ეტაპზე პლეი ოფებში მოასპარეზეთა უმრავლესობა, ქართველ მორაგბეთა გუნდებია. მათ შორის ერთ-ერთი, გიორგი ნემსაძისა და დიმიტრი ბასილაიას „ვალანს დაჟენი“ ფედერალ 1 დივიზიონში ასპარეზობს. ჩვენებურთა ამ გუნდმა ყველასთვის მოულოდნელად პლეი ოფის ნახევარფინალში გაალწია. მიმდინარე მოვლენებსა და მომავლის გეგმებზე საქართველოს ნაკრების მეორეხაზელ გიორგი ნემსაძეს ვესაუბრეთ.**

- ახალ ზელანდიაში გამართული მსოფლიოს თასის გათამაშებიდან კლუბში რომ დავბრუნდი, თავდაპირველად, ბევრი პრობლემა შემექმნა. ფეხის კუნთი ორჯერ გამიწყდა და მკურნალობას დიდი დრო დასჭირა. გამოჯანმრთელების შემდეგ ყველაფერი მოგვარდა. თითქმის ყველა მატჩში თავიდან ბოლომდე ვთამაშობდი.

გუნდიც კარგად ათამაშდა. სეზონის დაწყების წინ ჩვენი მიზანი დივიზიონში ადგილის შენარჩუნება იყო. ვერავინ იფიქრებდა, რომ პლეი ოფში გავიდოდით და იქ ნახევარფინალამდე გავაღწევდით. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ამ წარმატებაში მე და დიმიტრი ბასილაიას დიდი წვლილი მიგვიძღვის.

**- როგორც ჩანს ბასილაიას ვალანსელები ძალიან აფასებენ, რადგან მისი მიწვევა შოტლანდიური რაგბის გრანდს, „ედინბურგს“ ჯერ კიდევ მსოფლიოს თასის დასრულებისთანავე უნდოდა, მაგრამ „ვალანს დაჟენის“ ხელმძღვანელობამ არ გაუშვა...**

- დიახ, ასე იყო. ჩემთვის „ვალანს დაჟენის“ პოზიცია გასაგებია. როცა გუნდში მსოფლიოს დონის მესამეხაზელი გყავს და კანონიც შენს მხრაეზეა, ცხადია, ყველაფერს იღონებ, რომ ეს მორაგბე შეინარჩუნო. ბასილაიას აქ მართლაც დიდ პატივს სცემენ. დიმამაც, თავის მხრივ, ძალიან ბევრი გააკეთა ამ გუნდისთვის. ვფიქრობ, ის „ედინბურგში“ მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მესამეხაზელად ჩამოყალიბდება.

**- მომავალი სეზონიდან ელიტური, მეორე დივიზიონის „ტარბში“ ითამაშებთ. რატომ გააკეთეთ ეს არჩევანი?**

- „ტარბზე“ არჩევანი იმიტომ შევაჩერე, რომ ეს გუნდი რანგით უფრო მაღალ დივიზიონში ასპარეზობს. ტარბელებმა ორწლიანი კონტრაქტის გაფორმება შემომთავაზეს, მაგრამ არ დავთანხმდი. აქ მხოლოდ ერთ სეზონს ვითამაშებ და მინდა კიდევ უფრი მაღალი დონის გუნდში განვაგრძო კარიერა. ყოველ შემთხვევაში, ძალ-ღონეს არ დავიშურებ, „ტარბში“ დიდხანს რომ არ გავჩერდე.

წლეულს ძალიან ბევრი ვითამაშე მესამე ხაზში და ყველაფერი კარგად გამომდიოდა, რამდენჯერმე საუკეთესოდაც დამასახელეს. „ტარბსაც“ უნდა, რომ ორივე პოზიციაზე მათამაშოს.

**- „ტარბში“ რამდენიმე ქართველი მორაგბე ირიცხება...**

- დიახ, აქ თამაშობს პირველხაზელი ირაკლი მირცხულავა, რომელსაც, სამწუხაროდ, არ ვიცნობ, თუმცა გუნდის მწვრთნელებმა ძალიან კარგად დამიხასიათეს. კიდევ ერთი პირველხაზელი მამუკა მაგრაქველიძე კი გუნდს ტოვებს, ოღონდ სად გადადის, ჯერ არ ვიცი. „ტარბთან“ ახლახან კონტრაქტი გააფორმა შერკინების ბურჯმა დავით დადუნაშვილმა.

**- საქართველოს ნაკრები ივნისში სამ მატჩს გამართავს. თქვენ გუნდის გაფართოებულ შემადგენლობაში არ ხართ...**

- წლეულს დასვენებას თითქმის ვერ ვასწრებ. სულ რაღაც ორი კვირა მრჩება თავისუფალი. ამიტომ ნაკრების მწვრთნელებს ვესაუბრე და გადაწყვიტეს, რომ ამჟამად დამესვენა. მომავალი წლიდან კი მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირი იწყება და ახალი ძალებით შევუტევთ.

**- როგორც უკვე თქვით, წლეულს მესამე ხაზშიც გითამაშიათ და კარგადაც. ხომ არ აპირებთ ნაკრებშიც სცადოთ ძალა ამ პოზიციაზე?**

- საქართველოს ნაკრებს მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი მესამე ხაზი ჰყავს. მამუკა გორგოძე, ვიქტორ კოლელიშვილი და დიმიტრი ბასილაია მსოფლიოს დონის მორაგბეები არიან. თუ მწვრთნელები ჩათვლიან, რომ შემიძლია მათ კონკურენცია გავუწიო, ეს ჩემთვის, უწინარესად, დიდი პატივი იქნება.

სიმართლე რომ ვთქვათ, მე ვარ მეორეხაზელი, რომელსაც შეუძლია მესამე ხაზშიც ითამაშოს.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი

# სანამ ბოში დაბრუნდება

## აღმოსავლეთის ფინალშიც ყველაფერი თავიდან იწყება

მესამე მატჩის დროს, სამწამიანში **კევინ გარნეტის** დომინირების შემდეგ, **ერიკ სპოელსტრამ** გადაწყვიტა სასტარტოში დაეყენებინა არა **ტურიაფი** ან **ჰასლემი**, არამედ **ჯოელ ენტონი**, რათა თავიდანვე შეეზღუდა სივრცეები კევინისთვის. ამ სვლამ არ გაამართლა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ გარნეტი არ ყოფილა პირველ ტაიმში "სელტიქსის" მთავარი მამოძრავებელი ძალა, რომელმაც მატჩის მსვლელობისას 18-ქულიანი უპირატესობა მოუტანა მასპინძლებს. "სელტიქსის" სნაიპერები - **რეი ალენი** და **პოლ პირსი** (მათ **კეიონ დულინგიც** კარგად ეხმარებოდა) კარგად პოულობდნენ პოზიციებს პერიმეტრზე და პირველ ნახევარში 44-პროცენტიანი სიზუსტით ისროდნენ. სწორედ სამქულიანებისას სიზუსტემ, ფარქვეშ თამაშმა, შეტევების სისწრაფემ და ძალიან ხარისხიანმა დაცვამ უზრუნველყო კომფორტული უპირატესობა.

სხვაობამ კლება მეორე ტაიმში დაიწყო, როცა მოულოდნელად დამაჯერებლად ათამაშდა დაცვაში **ნორის კოული** და ტრადიციულად გააქტიურდა **დუეინ უეიდი**, რომელმაც ისევ ჩააგდო პირველი ნახევარი (11-დან 9 სროლა ააცილა). კევინ გარნეტი და რეი ალენი ვერ ჩაიწერენ აქტივში მესამე მეოთხედს, რადგან ამ დროის განმავლობაში მიზანი აერიათ, გუნდმა ტემპი დაკარგა, მეტოქემ კი თავის თავზე აიღო თამაშზე კონტროლი. "მაიამიმ" არა მხოლოდ შეამცირა მასპინძლების უპირატესობა, არამედ წინ გავიდა, თუმცა ბოლო მეოთხედში თანაბარი ბრძოლა წავიდა.

ამ მატჩში მსაჯებმა ზედმეტი ყურადღება და სიმკაცრე გამოიჩინეს და ისე მოხდა, რომ გუნდების ლიდერებს - პირსსა და **ლებრონ ჯეიმსს** სირენამდე ხუთი წუთით ადრე ხუთ-ხუთი პერსონალური ჰქონდათ. მსაჯების გადაწყვეტილებას მატჩის შედეგზე გავლენა არ ჰქონია, მაგრამ გააფუჭა თამაში როგორც მასპინძლებისთვის, ასევე სტუმრებისთვის, რადგან ვერც პოლმა და ვერც ლებრონმა თამაში ბოლომდე ვერ დაასრულეს.

„ატლანტასთან" და „ფილადელფიასთან" რთული სერიების შემდეგ, „მაიამისთან" დაპირისპირებაში „ბოსტონი" უკვე მეორე მატჩია ძალიან კარგ გუნდურ თამაშს აჩვენებს. ალენი უკვე აღარ აგდებს მთელ მატჩს და იყენებს სავალდებულო რაოდენობის სამქულიანებს. **რონდოს** გადაცემებით მომარაგებული სხვა ბოსტონელებიც უფრო დამაჯერებლად ათამაშდნენ. იგივე დულინგი და **პიეტრუსი** ღირსეულად წარმოადგენენ სათადარიგოთა სკამს, საიდანაც გუნდი უკვე სერიოზულ მხარდაჭერას იღებს. ფრანგი, რომელმაც მატჩის ბოლოს ორი სულელური პერსონალური აიღო, რა თქმა უნდა, დისციპლინაში მოიკოჭლებს, მაგრამ ოვერტაიმის ბოლო წუთზე სწორედ მან მოიპოვა მეტოქის ფარზე ორი მნიშვნელოვანი მოხსნა, გარდა ამისა, ბოლო პერსონალური მიაღებინა ლებრონ ჯეიმსს.

ძირითადი დროის ბოლოს, ჯეიმსის სამქულიანის შემდეგ, როცა ტაბლოზე ანგარიში გათანაბრდა, მსაჯებმა საპასუხო შეტევაში გარნეტს ჯარიმა მისცეს. შესაბამისად, ფლორიდელებს ძირითად დროში მატჩის მოგების შანსი მიეცათ, მაგრამ რეგულარული ჩემპიონატიდან ნაცნობმა კომბინაციამ (**ჰასლემის** სასროლად გაყვანა) არ იმუშავა - უდონისმა ცუდად მიიღო ბურთი და საშუალო ტყორცნა ააცილა.

ოვერტაიმის პირველივე შეტევაში პირსმა მეექვსე პერსონალური მიიღო, ცოტა ხანში ჯეიმსმაც დატოვა მოედანი (პირველად ბოლო ორ სეზონში). მეორე მატჩის ოვერტაიმისგან განსხვავებით, ამ დამატებით ხუთ წუთში გუნდებმა ჯამში ექვსი ქულა დააგროვეს. ისევ „ჰიტს" ჰქონდა გადამწყვეტი შეტევის უფლება. „დიდი ტრიოდან" მოედანზე მხოლოდ უეიდი იყო, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა მატჩის ბედი. ფლორიდილებს ორი ქულა სჭირდებოდათ მეორე ოვერტაიმამდე მისაღწევად და სამი - მოგებისთვის. საბოლოოდ, უეიდმა დაცვის ზეწოლის მიუხედავად, სამქულიანის სროლა გადაწყვიტა და მისმა უზუსტობამ გამარჯვება „ბოსტონს" მოუტანა.

„სელტიქსმა" „ოკლაჰომას" მსგავსად, შეძლო კონფერენციის ფინალში 0:2-დან ანგარიშის გათანაბრება. „მაიამიმ" თავისი არსებობის ისტორიაში პირველი ოვერტაიმი წააგო პლეი ოფში. სრულიად შესაძლებელია, რომ ახლა ფსიქოლოგიური უპირატესობა „კელტების" მხარესაა, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ მეხუთე მატჩში „ჰიტს" უბრუნდება **კრის ბოში**. თუმცა ეს ამერიკული პრესის ინფორმაციაა და ოფიციალურად ის არავის დაუდასტურებია.

**ბოსტონი–მაიამი 93:91 (ო)**

**34:23, 27:24, 12:21, 16:21, 4:2**

**ბ:** პირსი (23+6 მოხსნა), გარნეტი (17+14 მოხსნა+5 დაფარება+3 პასი), ალენი (16), რონდო (15+15 პასი+5 მოხსნა), ბასი (11+7 მოხსნა+3 პასი), დულინგი (10), დენიელსი (1), პიეტრუსი (0+5 მოხსნა+2 დაფარება).

**მ:** ჯეიმსი (29+6 მოხსნა+3 პასი), უეიდი (20+7 მოხსნა+6 პასი+3 დაფარება+3 ჩაჭრა), ჰასლემი (12+17 მოხსნა), ჩელმერსი (12+4 პასი), ბატიე (6), კოული (5), ჯონსი (3), მილერი (2), ენტონი (2).

**რეალიზაციის პროცენტი:** თამაშიდან (41.2/42.5), სამქულიანები (33.3/31.6), საჯარიმოები (70/70.8).

**სერია:** 2-2



გარნეტი VS ლებრონი

ამბები

### ფენერი მესინას ეძახის

სტამბოლის „ფენერბაჰჩეს" ხელმძღვანელობამ „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" მთავარი მწვრთნელის ასისტენტს **ეტორე მესინას** კლუბის ჩაბარება შესთავაზა. „ფენერბაჰჩეში" მთავარი მწვრთნელის ვაკანსია მას შემდეგ გაჩნდა, რაც ეს პოსტი დატოვა **ნევენ სპაჰიამ**. ამ უკანასკნელმა გასულ სეზონში ვერ შეძლო გუნდის გაყვანა ევროლიგის პლეი ოფში და თან ქვეყნის ჩემპიონატი წააგო.

როგორც იტყობინებიან, 52 წლის იტალიელ სპეციალისტს ჯერ პასუხი არ მიუცია თურქული მხარისთვის. ამასთან ცნობილი გახდა, რომ მესინაზე პრეტენზიას მოსკოვის ცსკა-ც აცხადებს.

### ბულზმა ვეტერანებს დაუმიზნა

როგორც ამერიკული პრესა იტყობინება, „ჩიკაგო ბულზი" ამ ზაფხულს **სტივ ნეშის** ან **ჯეისონ კიდის** ხელში ჩაგდებას ეცდება.

მიმდინარე პლეი ოფში „ფინიქსის" ვეტერანი მცველი საშუალოდ 12.5 ქულას, 10.7 შედეგიან გადაცემასა და 3.0 მოხსნას აგროვებდა, კიდის ანალოგიური სტატისტიკა 11.5 ქულას, 6.0 გადაცემასა და 6.0 მოხსნას უდრის.

### იტალია სუსტდება

„ტორონტო რეპტორზის" ფორვარდმა **ანდრეა ბარნიანიმ** განაცხადა, რომ ვერ დაეხმარება იტალიის ნაკრებს 2013 წლის ევრობასკეტის საკვალიფიკაციო ტურნირში. შეგახსენებთ, რომ ანდრეამ ახლახან მოირჩინა მუხლის ტრავმა, რომლის გამოც NBA-ის რეგულარული ჩემპიონატის დასკვნითი ნაწილის გამოტოვებამ მოუწია.

გასულ სეზონში ბარნიანიმ „ტორონტოს" რიგები მხოლოდ 31-ჯერ დაიცვა და საშუალოდ 19.5 ქულა, 5.5 მოხსნა და 2.0 შედეგიანი პასი დააგროვა.

უნდა აღინიშნოს, რომ შესარჩევ ტურნირში იტალიის ნაკრებს NBA-ის კიდევ ერთი ლეგიონერი **მარკო ბელინელი** ვერ დაეხმარება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ოლიმპიზმი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# წესები ისევ მკაცრდება

## დოპინგში მხილებულ სპორტსმენს ოლიმპიადას არ აღირსებენ

მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტომ (WADA) კიდევ ერთხელ გაახმოვანა ინიციატივა იმის შესახებ, რომ ანტისადოპინგო წესების სერიოზულმა დამრღვევებმა უნდა დაკარგონ ოლიმპიადაზე გამოსვლის უფლება იმ შემთხვევაშიც, თუ დისკვალიფიკაციის ვადა თამაშების დაწყებამდე იქნება გასული.

ანტისადოპინგო კოდექსში მსგავსი ცვლილება იმით არის გამოწვეული, რომ აპრილის ბოლოს, სპორტულმა საარბიტრაჟო სასამართლომ გააუქმა წესი, რომელსაც ბრიტანეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი იყენებდა: მისი მიხედვით, დოპინგის მიღებაში გამოჭერილ ბრიტანელ სპორტსმენს სამუდამოდ ეკრძალებოდა ოლიმპიადაზე გამოსვლა. შეგახსენებთ, რომ გასული წლის ოქტომბერში საარბიტრაჟო სასამართლომ ასევე გააუქმა კანონი, რომლის მიხედვითაც ნახევარ წელზე მეტით დასჯილ სპორტსმენს მომდევნო ოლიმპიადაზე გამოსვლის უფლება არ ჰქონდა.

WADA-ის ახალ კოდექსს სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციაში შეისწავლიან და შეიძლება 2013 წელს დაამტკიცონ.

### ტიტანიკის ნაკვალევზე

ბელფასტში დაიწყო ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტის ჩრდილოირლანდიური ნაწილი, რომელიც ამ ქვეყანაში ხუთდღიან ტურს ითვალისწინებს.

ესტაფეტა დაიწყო იმ დოკებიდან, რომელშიც თავის დროზე ლეგენდარული ლაინერი „ტიტანიკი" აიგო. მოგვიანებით, ჩირაღდანმა პატარა დაბა ჰოლივუდში გაიარა, საიდანაც არის წარმოშობით თანამედროვე გოლფის ვარსკვლავი **რორი მაკილროი**.

ჯერჯერობით ესტაფეტა ყოველგვარი გართულებების გარეშე მიმდინარეობს, თუმცა პოლიცია სრულ მზადყოფნაშია. საქმე ისაა, რომ ირლანდიის რესპუბლიკური არმიის აქტივისტებმა გამოაცხადეს, რომ ესტაფეტის ჩაშლა აქვთ გადაწყვეტილი. მოგვიანებით ოლიმპიური ჩირაღდანი დუბლინში გადაინაცვლებს.

### 20 წლის ჩემპიონი წავიდა

სპორტულ ტანვარჯიშში 20 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **შონ ჯონსონმა** საბოლოოდ გადაწყვიტა კარიერის დასრულება. ასეთი გადაწყვეტილება მარცხენა მუხლის ტრავმით არის გამოწვეული, რომელიც სპორტსმენმა 2010 წელს თხილამურებით სრიალისას მიიღო. ჯონსონის თქმით, მას ძალიან უნდოდა ლონდონის ოლიმპიადაზე აშშ-ის ნაკრებს დახმარებოდა, მაგრამ ვარჯიშების დროს ტკივილს ველარ გაუმკლავდა. ჩემპიონი უახლოეს მომავალში გააგრძელებს კოლეჯში სწავლას, აგრეთვე საქველმოქმედო მოღვაწეობასაც დაიწყებს.

*"დღემდე ვერ ვეგუები იმ ფაქტს, რომ არ შემიძლია ლონდონში ჩემი გუნდის დახმარება. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემი მუხლი ვერ უძლებს ტკივილებს. ერთადერთი, რაც შემიძლია გულშემატკივრისთვის გავაკეთო, ეს არის სპორტიდან ლამაზად წასვლა"*, - განაცხადა ჯონსონმა.

### ბუდაპეშტიდან ლონდონამდე

25 წლის უნგრელი **ნორმან ვარგა** აპირებს 50 დღეში გაირბინოს დაახლოებით 2000 კილომეტრი უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტიდან ლონდონამდე, რაც 50 მარათონულ დისტანციას უდრის. მოხალისე მორბენალი ბრიტანეთის დედაქალაქში ჩასვლას 27 ივლისს აპირებს – სწორედ ამ დღეს იხსნება ლონდონში ოლიმპიური თამაშები.

ამ აქციით ვარგას სურს მეტი ყურადღება დაეთმოს ახალგაზრდების პრობლემებს მთელს მსოფლიოში. 16 წლის ასაკში უნგრელი ტრავმაის ქვეშ მოხვდა და მარცხენა ხელის მძიმე ტრავმა მიიღო, თუმცა ექიმებმა შეძლეს მისი სიცოცხლისუნარიანობის აღდგენა. ვარგა ასევე მონაწილეობდა შერეულ ორთაბრძოლებში.

თავისი გარბენის დროს უნგრელი გაივლის სლოვაკეთის, ავსტრიის, გერმანიის, საფრანგეთის, ლუქსემბურგის, ბელგიისა და ჰოლანდიის ტერიტორიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი



მეივეზერი ხელბორკილებით



ფლოიდის საკანი

# ფლოიდს შანსი აქვს

## ჰოლიფილდს ალიმენტის გადაუხდელობის გამო ჩასვამენ

პირველ საშუალო წონაში WBA-ის ჩემპიონი, ამერიკელი **ფლოიდ მეივეზერი** 90-დღიანი სასჯელის მოხდას შეუდგა, თუმცა ირკვევა, რომ პროფესიულ რინგზე დაუმარცხებელ მოკრივეს ვადაზე ადრე გათავისუფლების შანსი აქვს.

მოკრივე სასჯელს ლას-ვეგასის ოლქ კლარკში იხდის და თუ უახლოესი ხუთი კვირის განმავლობაში მისი ყოფაქცევა სანიმუშო იქნება, ივლისის შუა რიცხვებში ციხიდან გამოსვლის ნებას დართავენ.

მეივეზერი ერთადგილიან საკანშია მოთავსებული და იზოლირებულია სხვა პატიმრებისგან. მას უფლება აქვს, ყოველდღე საკნის გარეთ ივარჯიშოს იმ დროს, როცა სხვა განსასჯელები საკუთარ საკნებში იქნებიან. გარდა ამისა, მოკრივე სხვებისგან განცალკევებით გამოიკვებება.

■ ■ ■

ამასობაში ირკვევა, რომ პატიმრობა ემუქრება კიდევ ერთ სახელგანთქმულ ამერიკელ მოკრივეს. ლაპარაკია სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილ აბსოლუტურ ჩემპიონზე, **ევანდერ ჰოლიფილდზე**.

ევანდერს პატიმრობა ალიმენტის გადაუხდელობის გამო ემუქრება. ჯორჯიას შტატის ადამიანთა უფლებების დაცვის დეპარტამენტმა სასამართლოს მიმართა ევანდერის 18 წლის ქალიშვილის - **ემანი ჰოლიფილდის** სახელით. გოგონა ირწმუნება, რომ მოკრივეს 2010 წლის აპრილის შემდეგ არ გადაუხდია ალიმენტი და ამ მომენტისთვის ვალი 372 ათას დოლარს შეადგენს. ადამიანის უფლებათა დამცველები ითხოვენ ჰოლიფილდის დაპატიმრებას და მისი ქონების დაყადაღებას მანამდე, სანამ ის შვილებს ალიმენტს არ გადაუხდის.

თავის მხრივ, ჰოლიფილდის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამ სიტუაციის შესახებ არაფერი იცის და დაამატა: მოკრივეს შესანიშნავი ურთიერთობა აქვს თავის ქალიშვილთანო.

## ორდენოსანი კლიჩკო

სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონს, უკრაინელ **ვიტალი კლიჩკოს** გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წინაშე დამსახურებებისთვის ორდენი გადაეცა.

ჯილდო ჩემპიონმა კიევში, უკრაინაში გერმანიის სრულუფლებიანი ელჩისგან მიიღო. სპეციალურ ცერემონიას დაახლოების 300 ადამიანი დაესწრო.

როგორც სპეციალურ განცხადებაში წერია, ვიტალი აქტიურ სოციალურ და პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწევა უკრაინაში, გერმანიასა და მთელ მსოფლიოში, გაჭირვებული ადამიანების დასახმარებლად, აგრეთვე იყენებს თავის კეთილ სახელს გერმანიასა და უკრაინას შორის ურთიერთობის გასაუმჯობესებლად.

## პაკიაო სასამართლოში წავიდა

მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო მოკრივემ, WBO-ის ვერსიით მეორე ნახევრადსაშუალო წონითი კატეგორიის ჩემპიონმა **მენი პაკიაომ** სასამართლოში უჩივლა, საკუთარ ბუღალტერებს.

მოკრივის მთავარი პრეტენზია იმაში მდგომარეობს, რომ მისმა ბუღალტერებმა შეცდომა დაუშვეს საგადასახადო ორგანოში წარსადგენი დოკუმენტების შედგენისას, რის გამოც მსოფლიოს ჩემპიონს პრობლემა შეექმნა ფილიპინების პოლიციასთან. ამ საქმესთან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს. მენის სარჩელში წერია, რომ კომპანია VisionQwest-მა ცუდად და დაგვიანებით შეასრულა თავისი სამუშაო, რის გამოც მოკრივეს კონფლიქტი აქვს საგადასახადო ორგანოებთან.

## ტარვერმა ტიტული შეინარჩუნა

გასულ უქმეებზე ამერიკის ქალაქ კარსონში გაიმართა 12-რაუნდიანი ბრძოლა პირველ მძიმე წონაში IBO-ის ჩემპიონ ამერიკელ **ანტონიო ტარვერსა** და დაუმარცხებელ ნიგერიელ **ლატივ კაიოდეს** შორის.

ბრძოლის პირველ ნახევარში უკეთ პრეტენდენტი გამოიყურებოდა, მაგრამ შემდეგ ტარვერმა მოიპოვა ინიციატივა და უფრო მეტად იმსახურებდა გამარჯვებას. მიუხედავად ამისა, მსაჯებმა საყაიმო ვერდიქტი გამოიტანეს: ერთმა უპირატესობა ტარვერს მიანიჭა (115:113), მეორემ იმავე ანგარიშით კაიოდეს მოაგებინა, მესამემ კი თავის ბარათში ფრე ჩაწერა: 114:114. ასე რომ, ამერიკელმა შეინარჩუნა საჩემპიონო ტიტული.

მოტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ლორენსო სხვაობას ზრდის



ხორხე ლორენსო

ესპანეთში, მონტმელოს ავტოდრომზე გაიმართა მოტოგრან-პრიში მსოფლიოს ჩემპიონატის მორიგი ეტაპი - კატალონიის გრან-პრი. პოული კვლავ მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა **კეისი სტოუნერმა** მოიგო, თუმცა ისევ დათმო სტარტი. ასევე ცუდი სტარტი გამოუვიდა **კრატჩლოუს**.

ამით კარგად ისარგებლეს **პედროსამ** და **სპისმა** და მეორე რიგიდან გადაინაცვლეს პირველ ორ პოზიციაზე. პირველი წრე მრბოლელებმა შემდეგი თანმიმდევრობით დაასრულეს: პედროსა, სპისი, **ლორენსო**, **დოვიციოზო**, სტოუნერი და კრატჩლოუ. მე-3 წრეზე ამერიკელმა სპისმა ძალიან აგრესიულად შეუტია პედროსას, რის გამოც გაისაჯა - "იამაჰას" პილოტი ტრასიდან გადავარდა და საბოლოოდ, მეათე მივიდა ფინიშთან.

ამასობაში, პედროსას პოზიციაზე იერიში მიიტანა გენერალური კლასიფიკაციის ლიდერმა ლორენსომ. ამ აქტიურობამ ნაყოფი გამოიღო - ხორხემ მე-7 წრეზე გაუსწრო დანის და სათავეში ჩაუდგა პელოტონს.

ორ ლიდერს წამოეწია დოვიციოზო, სტოუნერი და კრატჩლოუ კი ვერაფრით ახერხებდნენ გაქცეულების დაწევას. პედროსა არ ნებდებოდა და ახლოს იყო საპასუხო გასწრებასთან. მე-12 წრეზე მან საწადელს მიაღწია და დაიბრუნა ლიდერობა.

ორმა ესპანელმა ბრწყინვალე ბრძოლა გამართა გამარჯვებისთვის. ახლა უკვე ლორენსო ეძებდა შეტევისთვის მოსახერხებელ მომენტს და ფინიშამდე ექვსი წრით ადრე ისევ პირველ ადგილზე გადავიდა. ამის შემდეგ, მან უპრობლემოდ შეინარჩუნა პირველი პოზიცია და გაიმყარა ლიდერობა გენერალურ კლასიფიკაციაში - ახლა ის სტოუნერს 20 ქულით უსწრებს.

პოდიუმის მესამე საფეხური დაიკავა დოვიციოზომ, რომელმაც შეძლო ზურგსუკან სტოუნერის შეკავება. **ვალენტინო როსიმ** ნორმალური ტემპი აჩვენა: მისი ჩამორჩენა იმდენად კატასტროფული არ იყო, რამდენადაც ზოგიერთ წინა ეტაპზე, მაგრამ მეშვიდე ადგილი იტალიელს არ აძლევს ოპტიმიზმის საფუძველს.

### კატალონიის გრან-პრი

1. **ხორხე ლორენსო** (ესპ, „იამაჰა") - 25 წრე; 2. **დანიელ პედროსა** (ესპ, „ჰონდა") - +5,003; 3. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, „იამაჰა") - +9,361; 4. **კეისი სტოუნერი** (ავსტრა, „ჰონდა") - +9,544; 5. **კელ კრატჩლოუ** (ბრიტ, „იამაჰა") - +12,506; 6. **ალვარო ბაუტისტა** (ესპ, „ჰონდა") - +13,948; 7. **ვალენტინო როსი** (იტა, „დუკატი") - +17,555; 8. **შტეფან ბრადლი** (გერ, „ჰონდა") - +23,478; 9. **ნიკი ჰეიდენი** (აშშ, „დუკატი") - +30,410; 10. **ბენ სპისი** (აშშ, „იამაჰა") - +32,897...

### საერთო ჩათვლა

1. **ხორხე ლორენსო** (ესპ, „იამაჰა") - 115 ქულა; 2. **კეისი სტოუნერი** (ავსტრა, „ჰონდა") - 95; 3. **დანიელ პედროსა** (ესპ, „ჰონდა") - 85; 4. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, „იამაჰა") - 60; 5. **კელ კრატჩლოუ** (ბრიტ, „იამაჰა") - 56; 6. **ვალენტინო როსი** (იტა, „დუკატი") - 51; 7. **ალვარო ბაუტისტა** (ესპ, „ჰონდა") - 45; 8. **შტეფან ბრადლი** (გერ, „ჰონდა") - 43; 9. **ნიკი ჰეიდენი** (აშშ, „დუკატი") - 40; 10. **ექტორ ბარბერა** (ესპ, „დუკატი") - 31...

მძლეოსნობა

# რეკორდი იყო და არ იყო



ლიუ სიანი სტარტზე

„ბრილიანტის ლიგის" რომის ეტაპიდან ორი დღისთავზე, კომერციული სერია ამერიკის ქალაქ იუჯინში გაგრძელდა. აქ ძალიან ძლიერი შემადგენლობა შეიკრიბა, ნაჩვენები იქნა ბევრი მაღალი შედეგი, 110 მეტრზე თარჯრბენში კი კინაღამ მსოფლიოს რეკორდი დამყარდა.

ბარიერულ სპრინტში ყველა უძლიერესი უნდა შეკრებილიყო, მაგრამ მსოფლიოს რეკორდსმენმა **დაირონ რობლესმა** ვიზის გაფორმება ვერ მოასწრო. მიუხედავად ამისა, სასტარტო ოქმში ვიხილეთ **ჯეისონ რიჩარდსონი** და **ლიუ სიანი**. ჩინელმა ცოტა ხნის წინ კარგი დრო აჩვენა შანხაიში, იუჯინში კი კიდევ უფრო უკეთ გამოვიდა. ჩინელმა კარგი სტარტი აიღო, იდეალური ტექნიკა აჩვენა და უძლიერესი ფინიშიც ჰქონდა. თავიდან ტაბლოზე 12.89 დაწერეს, შემდეგ კი ორი მეასედი ჩამოაკლეს - 12.87, რაც რობლესის რეკორდის გამეორებაა. თუმცა ლიუ ვერ გახდება რეკორდის თანამფლობელი, რადგან ზურგის ქარის სიჩქარე წამში 2.4 მეტრს უდრიდა.

მამაკაცებს შორის 100 მეტრზე სპრინტში მაღალი შედეგი არ დაფიქსირებულა. **ჯასტინ გეტლინმა** მოიგო შედეგით - 9.90 წამი, თუმცა ზურგის ქარი იყო მაღალი (+1.3 მ/წმ). ორი დღით ადრე, ბოლტმა 14 მეასედი წამით უკეთესი დრო აჩვენა. ორჯერ უფრო გრძელ დისტანციაზე მოიგო **უოლეს სპირმონმა**, ოღონდ ძლიერი კონკურენტები არ ჰყოლია. სამაგიეროდ, წარმომადგენლობითი იყო 200 მეტრი ქალებს შორის, სადაც მოიგო **ელისონ ფელიქსმა**, მსოფლიოს ჩემპიონმა **კარმელიტა ჯეტერმა** კი მხოლოდ მეხუთე დრო აჩვენა.

მცირე დრამა გათამაშდა მამაკაცებს შორის 400 მეტრზე. მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა **კირანი ჯეიმსმა** სტარტი ადრე დაიწყო და მას წითელი ბარათი უჩვენეს. ბოლო მომენტში ორგანიზატორებმა შეამჩნიეს, რომ კირანის სტარტის ადგილას რაღაც წესრიგში არ იყო და ჩემპიონი სარბენ ბილიკზე დააბრუნეს. ძირითადი ბრძოლა მასსა და **ლაშოუნ მერიტის** შორის შედგა, **ჯერემი უორინერი** კი ჯერ მზად არ არის მათთან საბრძოლველად. ბოლო მეტრებზე ლაშოუნმა მოუგო კირანის, რომელსაც მოგვიანებით, მაინც მისცეს დისკვალიფიკაცია.

იმავე 400 მეტრზე შესანიშნავი შედეგი იქნა ნაჩვენები ქალებს შორის: ერთბაშად შვიდმა სპორტსმენმა დააფიქსირა სეზონში საუკეთესო დრო, პირველზე კი **სანია რიჩარდსი** გავიდა შედეგით - 49.39 წამი. სამეულში მოხვდნენ **ამანტლ მონტშო** და **ნოვლენ უილიამს-მილსი**.

საერთო ჯამში, იუჯინში ცხრა დისციპლინაში დაფიქსირდა სეზონის საუკეთესო შედეგი. სეზონი შვიდ ივნისს ოსლოში გაგრძელდება, ორი დღის შემდეგ კი გაიმართება „ბრილიანტის ლიგის" ეტაპი ნიუ-იორკში.

ცურვა

# ფელპსის ლოკალური რეკორდი

14-გზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ამერიკელმა **მაიკლ ფელპსმა** აშშ-ის ქალაქ ოსტინში 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში პირველი დრო აჩვენა - 1.54,59. ეს შედეგი ოსტინის აუზის რეკორდი გახლავთ.

სწორედ ამ არენაზე, 2001 წელს ლეგენდარულმა ამერიკელმა მოცურავემ 15 წლის ასაკში დაამყარა თავისი პირველი მსოფლიოს რეკორდი - 1.54,92.

*„ეს ჩემთვის გამორჩეული აუზია. თუ 200 მეტრ ბატერფლაის არ ჩავთვლით, მთელი უქმეების განმავლობაში მაღალ შედეგებს ვერ ვაჩვენებდი. იმედია, ვარჯიშებზე ხარვეზებს გამოვასწორებთ და ყველა დისციპლინაში ისევე ვიქნები მზად, როგორც ბატერფლაიში"*, - აღნიშნა ფელპსმა.

უფრო ადრე, ამავე ტურნირზე მაიკლმა პირველი ადგილი დაიკავა 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში და მეორე იყო 100 მეტრზე თავისუფალი სტილით.



ფელპსი ბატერფლაი კარგად გამოსდის

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

● ჩოგბურთი. როლან გაროსი

# ნადალი მირბის, ფერერი მისდევს

## როლან გაროსზე სამ ესპანელს არ წაუგია არც ერთი სეტი



რაფა ნადალი

გუშინ, საფრანგეთის ღია პირველობაზე მერვედფინალური ეტაპი დასრულდა.

პირველ რიგში, **რაფაელ ნადალის** მორიგი ბრწყინვალე გამარჯვების შესახებ უნდა ვთქვათ. ბევრი ალიარებდა, რომ ესპანელისთვის ამ როლან გაროსზე პირველი სერიოზული მეტოქე არგენტინელი **ხუან მონაკო** იქნებოდა, რომელიც თუნდაც სეტს მაინც მოუგებდა მსოფლიოს მეორე ჩოგანს. მაგრამ მოხდა პირიქით – ასე იოლად რაფას ჯერ ამ ტურნირზე არ მოუგია. პირველ სეტში მონაკომ 2:1 წაიყვანა ანგარიში და ამის შემდეგ, ესპანელი გაუვალი კედელი გახდა – მან ზედიზედ 17 (!) გეიმი აილო და საათსა და 46 წუთში 6:2, 6:0, 6:0 გაიმარჯვა. შეხვედრა **სიუზან ლენგლენის** სახელობის კორტზე იმართებოდა, რომელზეც ესპანელს 2005 წელს, თავისი დებიუტის შემდეგ არ წაუგია.

რაფაელი მეოთხედფინალში თავის თანამემამულეს **ნიკოლას ალმაგროს** შეხვდება. აღსანიშნავია, რომ მეოთხედფინალამდე ჩატარებულ ოთხ მატჩში ნადალმა მხოლოდ 19 გეიმი წააგო, რაც პირადი რეკორდია, ტურნირის რეკორდი კი ლეგენდარულ არგენტინელ **გილერმო ვილასს** ეკუთვნის, რომელმაც 1982 წელს საწყის ოთხ შეხვედრაში მხოლოდ 16 გეიმი დაუთმო მეტოქეებს.

ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ ნახევარფინალში ნადალის მეტოქე კიდევ ერთი თანამემამულე **დავიდ ფერერი** გახდება. გავრისკავთ და ვიტყვით, რომ ეს უნდა იყოს წლევანდელი როლან გაროსის ნაადრევი ფინალი, რადგან სწორედ ფერერი შეუქმნის რაფას უფრო მეტ პრობლემას, ვიდრე **ჯოკოვიჩი** ან **ფედერერი.**

ფერერმაც მეოთხედფინალამდე გზა ისე გაიარა, რომ სეტი არ წაუგია და მანაც ძალიან ცოტა – 25 გეიმი წააგო. გუშინ დავიდმა მხოლოდ ხუთი გეიმი გაიმეტა თანამემამულე **მარსელ გრანოლერსისთვის** – 6:3, 6:2, 6:0. დავიდმა შესანიშნავი შემტევი ჩოგბურთი აჩვენა, რაზეც 41 "ვინერსი" მეტყველებს. ახლა, ფერერს მეოთხედფინალში **ენდი მიურეის** დამარცხება სჭირდება იმისთვის, რომ პირველად გავიდეს როლან გაროსის ნახევარფინალში.

საინტერესოა, რომ მამაკაცთა ბადეში სულ სამი ჩოგბურთელია, რომლებსაც ჯერ სეტი არ წაუგიათ. სამივე ესპანელია – ნადალისა და ფერერის გარდა, ეს გახლავთ ნიკოლას ალმაგრო, რომელიც, როგორც ზემოთ ვთქვით, ნახევარფინალში გასასვლელად ნადალს შეხვდება.

■ ■ ■

უპრობლემოდ მიიყვანეს წინა დღეს გადადებული მატჩები გამარჯვებამდე **ჟო-ვილფრიდ ცონგამ** და **ხუან მარტინ დელ პოტრომ.** ცონგა მეხუთე სეტს 4:2-ს უგებდა **სტანისლას ვავრინკას** და შეინარჩუნა ბრეიკიანი უპირატესობა – 6:4.

რაც შეეხება დელ პოტროს, ის სეტებში 2:1-ს ამარცხებდა **ტომაშ ბერდიხს.** მეოთხე პარტიაში არგენტინელს იოლად შეეძლო მოემთავრებინა საქმე, მაგრამ ბრეიკი ვერ შეინარჩუნა და ბოლო მომენტში მოუწია გააქტიურებამ იმისთვის, რომ საქმე ტაი-ბრეიკამდე არ მიეყვანა - 7:5.

მამაკაცთა ბადის ბოლო შეხვედრაში ენდი მიურეის ხელწამოსაკრავი მეტოქე არ ჰყოლია - **რიშარ გასკესთან** ურთიერთშეხვედრებში ანგარიში საყაიმო იყო – 3:3. თან ბრიტანელისთვის მატჩი ცუდად დაიწყო: გასკემ 6:1 მოიგო პირველი პარტია, მაგრამ ეს თურმე დროებითი ჩავარდნა ყოფილა. ენდიმ ინიციატივა მოიპოვა და ის მატჩის ბოლომდე არ გაუშვია ხელიდან – ფრანგმა ექვს ბრეიკს ვერაფერი დაუპირისპირა და 6:1, 4:6, 1:6, 2:6 დამარცხდა.

### 1/8 ფინალი

**ჟო ვილფრიდ ცონგა (საფ, 5)**-სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 18) 6:4, 7:6(6), 3:6, 3:6, 6:4; **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 9)**-ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 7) 7:6(6), 1:6, 6:3, 7:5; **დავიდ ფერერი (ესპ, 6)**-მარსელ გრანოლერსი (ესპ, 20) 6:3, 6:2, 6:0; **ენდი მიურეი (ბრიტ, 4)**-რიშარ გასკე (საფ, 17) 1:6, 6:4, 6:1, 6:2; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 12)**-იანკო ტიპსარევიჩი (სერ, 8) 6:4, 6:4, 6:4; **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-ხუან მონაკო (არგ, 13) 6:2, 6:0, 6:0.

### 1/4 ფინალი

**ჯოკოვიჩი (1)-ცონგა (5); ფედერერი (3)-დელ პოტრო (9); ფერერი (6)-მიურეი (4); ალმაგრო (12)-ნადალი (2).**

# ჩემპიონი ჩინეთში წავიდა

## როლან გაროსი ახალ ჩემპიონს გაიცნობს


იაროსლავა შვედოვა

ქალთა მერვედფინალური ეტაპი კი მორიგი სენსაციით დასრულდა – ტურნირს გამოეთიშა მოქმედი ჩემპიონი **ნა ლი.** ჩინელი რუსული წარმოშობის ყაზახს, კლასიფიკაციის 142-ე ნომერს **იაროსლავა შვედოვას** ხვდებოდა.

პირველ პარტიაში ლი კარგად აწვდიდა და უკანა ხაზზეც შესანიშნავად თამაშობდა, რამაც ლოგიკური შედეგი მოიტანა - 6:3. მაგრამ მეორე სეტიდან მოყოლებული, თანდათან ყველაფერი შეიცვალა, იაროსლავა უფრო თამამად ათამაშდა, შეტევას უმატა, ნა ლი ძველ დონეზე დარჩა. ამ ყველაფერმა კი ის გამოიწვია, რომ მეორე პარტიაში 2:2-დან მოყოლებული, შვედოვამ ზედიზედ 10 გეიმი აილო და 3:6, 6:2, 6:0 მოიგო. ნა ლიმ 41 უნებლიე შეცდომით დაასრულა შეხვედრა.

აქამდე შვედოვა წყვილთა თამაშის სპეციალისტად მიიჩნეოდა – მან ამერიკელ **ვანია კინგთან** ერთად 2010 წელს უიმბლდონისა და აშშ-ის ღია პირველობის წყვილთა თანრიგი მოიგო. შემდეგ იყო ტრავმა, რომელმაც შვედოვას 2011 წელი თითქმის მთლიანად გამოატოვებინა და ჩოგბურთელი რეიტინგის TOP200-დან გავარდა.

ამ როლან გაროსზე შვედოვა ძირითად ბადეში კვალიფიკაციიდან მოხვდა და მეოთხედფინალს მიაღწია. ასეთი რამ "დიდი სლემის" ტურნირების ისტორიაში მეცხრედ მოხდა. ყაზახის შემდეგი მეტოქე **პეტრა კვიტოვა** იქნება, რომელმაც ამერიკელი **ვარვარა ლეპჩენკო** გაანადგურა – 6:2, 6:1.

რაც შეეხება ნა ლის, მას გაუჭირდა "დიდი სლემის" ტურნირის გამარჯვებულის მძიმე ტვირთის ტარება. შარშანდელ როლან გაროსზე გამარჯვების შემდეგ, ჩინელს დღემდე ტურნირი არ მოუგია და მხოლოდ ორ ფინალში ითამაშა.

■ ■ ■

წინა მიმოხილვაში დავწერეთ, რომ **მარია შარაპოვა** ქალთა ტურნირის მთავარი ფავორიტია, მაგრამ გუშინდელი თამაშით, რომელიც რუსმა ჩეხ **კლარა ზაკოპალოვას** წინააღმდეგ აჩვენა, უფრო დიდ მიზნებზე ფიქრი გაუჭირდება. მარიამ 3 საათსა და 11 წუთში 6:4, 6:7(5), 6:2 მოიგო. მას დასჭირდა 16 წუთით მეტი დრო, ვიდრე წინა სამ შეხვედრაში და 8 გეიმით მეტი წააგო, ვიდრე იმავე სამ განვლილ მატჩში.

ბევრ სათამაშო კომპონენტში ზაკოპალოვამ აჯობა რუსს: ხუთით ნაკლები ორმაგი შეცდომა დაუშვა (7-12), ექვსით მეტი "ვინერსი" ჰქონდა (44-38) და ბადესთან მეტი ქულა აილო. მაგრამ შარაპოვას ოდნავ უკეთესი ჰქონდა პირველი მოწოდება, გარდა ამისა, მეტი ბრეიკპოინტი მოიპოვა და უფრო მეტი გეიმი მოიგო მეტოქის მოწოდებაზე. საერთო ჯამში კი ორივე საშინლად თამაშობდა საკუთარ გეიმებში: ზაკოპალოვამ 9 ბრეიკი გააკეთა, შარაპოვამ - 12. საბოლოოდ, ისე გამოვიდა, რომ ჯამში გათამაშებული 31 გეიმიდან 21-ში ბრეიკი დაფიქსირდა.

დაბოლოს, ერთი საინტერესო ფაქტი, რომელიც ქალთა ბადეს ეხება. ნა ლის გამოვარდნა იმას ნიშნავს, რომ როლან გაროსს ახალი ჩემპიონი ეყოლება - დარჩენილი 8 ჩოგბურთელიდან აქამდე საფრანგეთის ღია პირველობა არავის მოუგია.

### 1/8 ფინალი

**იაროსლავა შვედოვა (ყაზ)**-ნა ლი (ჩინ, 7) 3:6, 6:2, 6:0; **პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 4)**-ვარვარა ლეპჩენკო (აშშ) 6:2, 6:1; **კაია კანეპი (ესტ)**-არანჩა რუსი (ჰოლ) 6:1, 4:6, 6:0; **მარია შარაპოვა (რუს, 2)**-კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ) 6:4, 6:7(5), 6:2.

### 1/4 ფინალი

**ციბულკოვა (15)-სტოსური (6); ერანი (21)-კერბერი (10); შვედოვა (ყაზ)-კვიტოვა (4); კანეპი-შარაპოვა (2).**

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **მუნდიალი 2014** | |
| **ოკეანეთი** | |
| პ.ა. გვინეა-ახ. ზელანდია | 1:2 |
| ფიჯი-სოლომონის კ-ები | 0:0 |
| **ევრო 2013** | |
| **UNDER 21** | |
| ლიტვა-უკრაინა | 1:0 |
| ირლანდია-იტალია | 2:2 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| უნგრეთი-ირლანდია | 0:0 |

| შვედეთი | |
|---|---|
| **II დივიზიონი** | |
| ლანდსკრონა-ლიუნგსკილე | 2:1 |
| ვარნამო-ოსტერი | 1:2 |
| **ფინეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| კოტკაპე-იიპო | 1:2 |
| **კალათბურთი** | |
| **იტალია** | |
| სკავოლინი-მილანი | 67:73 |

● TV პროგრამა

**5 ივნისი. სამშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-ატლეტიკო.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ლევერკუზენი.
14:00 იტალიის ჩემპიონატი. რომა-მილანი.
16:00 საფრანგეთი ჩემპიონატი. ლილი-რენი.
18:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
19:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ბილბაო.
21:00 ჰოლანდია ჩემპიონატი. ვენლო-ეინდჰოვენი.
23:00 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ასტონ ვილა.
01:00 იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-იუვენტუსი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. სან ანტონიო-ოკლაჰომა. V მატჩი.
14:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
15:00 ფეხბურთი.
17:00 რაგბი. ექვსი ერის თასი. ინგლისი-უელსი.
18:45 ყოველკვირეული მიმოხილვა - სპორტის სამყარო.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 საკალათბურთო მიმოხილვა - ოვერტაიმი.
21:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
22:00 NBA Action.
22:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
23:15 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. სან ანტონიო-ოკლაჰომა. V მატჩი.
04:30 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. მაიამი-ბოსტონი. V მატჩი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

10:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. ბოსტონი-მაიამი.
12:30 სპორტ-NEWS.
13:00 ბადმინტონი. კაცები. ჩინეთი.
15:30 რაგბი. ჰეინეკენის თასი. სარასენი-ოსპრი.
17:30 სპორტ-NEWS.
18:00 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ტვენტე-შალკე.
20:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
20:30 რაგბი. ჰეინეკენის თასი. ბატი-ლენსტერი.
22:30 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. შალკე-ტვენტე.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 16 | 27 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 22 | 30 | (მცირე წვიმა) |
| ბათუმი | 19 | 27 | (მზე) |
| ფოთი | 20 | 27 | (მზე) |
| ზუგდიდი | 19 | 29 | (მცირე წვიმა) |
| გორი | 15 | 29 | (მცირე წვიმა) |
| თელავი | 15 | 29 | (მზე) |
| ბაკურიანი | 8 | 21 | (მცირე წვიმა) |
| ბორჯომი | 11 | 25 | (მცირე წვიმა) |
| მესტია | 6 | 24 | (მცირე წვიმა) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.0301 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6322 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5115 |
| 100 რუსული რუბლი | 4.795 |

● ამბები

ჩოგბურთი

### პირველობისთვის ფინალია საჭირო

მას შემდეგ, რაც როლან გაროსს მესამე წრიდან გამოეთიშა მსოფლიოს პირველი ჩოგანი **ვიქტორია აზარენკა**, კლასიფიკაციაში ლიდერობის შანსი მოიპოვა რუსმა **მარია შარაპოვამ.** ამისთვის მას საფრანგეთის ღია პირველობის ფინალში გასვლა სჭირდება. შეგახსენებთ, რომ "დიდი სლემის" ტურნირების სამგზის ჩემპიონის საუკეთესო შედეგი როლან გაროსზე ნახევარფინალში გასვლაა (2007, 2011).

ბოლოს შარაპოვა WTA-ის ლიდერი 2008 წელს იყო.

ჰოკეი

### პიტსბურგმა კარის ხაზი გააძლიერა

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ერთი საინტერესო ტრანსფერი განხორციელდა. "პიტსბურგ პინგვინზმა" "ვაშინგტონიდან" გადაიბირა ჩეხი მეკარე **ტომაშ ვოკოუნი.** გოლკიპერმა "პინგვინებთან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ამ ხნის განმავლობაში 4 მილიონ დოლარს მიიღებს.

გასულ სეზონში ვოკოუნმა "კეპიტალზის" რიგებში 48 მატჩი ჩაატარა და 25 მოიგო. პლეი ოფში მას არ უთამაშია. ჩეხის სანაცვლოდ "ვაშინგტონმა" 2012 წლის დრაფტის მეშვიდე რაუნდში არჩევანის უფლება მიიღო.

"პიტსბურგს" ძალიან სჭირდებოდა ვოკოუნის კლასის მეკარე, რადგან გუნდის ძირითად გოლკიპერს **მარკ-ანდრე ფლერის** ნორმალური შემცვლელი არ ჰყავდა. ამიტომაც მოუწია მას რეგულარულში 82-დან 67 მატჩის ჩატარებამ. ახლა, "პინგვინზში" მეკარის პრობლემა მოგვარებულად უნდა ჩაითვალოს.

**ნიდერლანდების ფეხბურთის სამეფო ასოციაცია**
http://www.knvb.nl/
**ტიტული: 1 (1988)**

**მატჩები ევრო 2012-ზე**

**VS დანია**
9 ივნისი, ხარკოვი, 20:00

**VS გერმანია**
13 ივნისი, ხარკოვი, 22:45

**VS პორტუგალია**
17 ივნისი, ხარკოვი, 22:45

**საუკეთესო შედეგი მუნდიალზე:** მე-2 ადგილი (1974, 1978, 2010)

**საუკეთესო შედეგი ევროზე:** ჩემპიონი (1988)

**ყველაზე მეტი გოლი:** პატრიკ კლუივერტი - 40 (1994-2004)

**ყველაზე მეტი მატჩი:** ედვინ ვან დერ სარი - 130 (1995-2009)

**ფიფას რეიტინგი:** 4

# ჰოლანდიის ეროვნული ნაკრები





**წინა მუნდიალის ფინალისტები და ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ყველაზე მეტი გოლის გამტანი ჰოლანდიელები, ბუნებრივია, მთავარ ფავორიტთა შორის არიან. მაგრამ ამხანაგურ მატჩებში გერმანიასთან და ბულგარეთთან წაგებებმა, ეჭვი გააჩინეს - ხელეწიფება კი ჰოლანდიის ნაკრებს ევრო 2012-ის მოგება?**

**ვარსკვლავი:** არა, ვარსკვლავები, რომელი ერთი ჩამოვთვალოთ? კლაას-იან ჰუნტელაარსა და რობინ ვან პერსიზე უკეთესი საკლუბო სეზონი მხოლოდ ორს ჰქონდა ევროპაში - ლიონელ მესის და კრიშტიანო რონალდოს. გამოდის, რომ ევროზე საუკეთესო შეტევის ხაზი ჰოლანდიას ეყოლება. არ დავივიწყოთ არიენ რობენიც.

**სუსტი წერტილი:** ჰოლანდიის ნაკრების დაცვის ხაზი გამოცდილია, რასაც ვერ ვიტყვით მათ შემცვლელებზე, ამიტომ სასტარტოში მოთამაშეთა ტრავმები და დისკვალიფიკაციები შეიძლება დამღუპველიც აღმოჩნდეს.

**მწვრთნელი:** ბერტ ვან მარვიიკმა მუნდიალზე შესანიშნავი გამოცდილება მიიღო და ფინალში შეცვლილ სტრატეგიას აღარ გაიმეორებს.

**ფეხბურთელთა სტატისტიკა საკვალიფიკაციო ტურნირში**

ვან დერ ვილი (10 თამაში), მატეისენი (10), კუიტი (9, 6), პიეტერსი (9), ელია (8), ვან დერ ვაარტი (8, 1), ვან ბომელი (8), სნეიდერი (8, 3), ჰუნტელაარი (8, 12), ჰეიტინგა (7, 1), აფელაი (6, 3), სტეკელენბურგი (6), ვან პერსი (6, 6), ვან ნისტელროოი (5, 2), სტროოტმანი (5, 1), ვორმი (4), ნ. დე იონგი (4), მადურო (2), ლ. დე იონგი (2, 1), ლენსი (2), ბრუმა (2), ემანუელსონი (2), ანიტა (1), ვინალდუმი (1, 1), ბრამა (1).



**1. მაარტენ სტეკელენბურგი**
მეკარე. რომა (იტ)
22.09.1982
194 სმ, 84 კგ
47 თამაში



**2. გრეგორი ვან დერ ვილი**
მცველი. აიაქსი
03.02.1988
172 სმ, 69 კგ
31 თამაში



**5. ვილფრედ ბოუმა**
მცველი. პსვ
15.06.1978
178 სმ, 81 კგ
37 თამაში, 2 გოლი



**21. ხალიდ ბულარუზი**
მცვ. შტუტგ. (გერ.)
28.12,1981
183 სმ, 83 კგ
35 თამაში



**10. ვესლი სნეიდერი**
ნახ. ინტერი (იტ)
09.06.1984
170 სმ, 72 კგ
83 თამაში, 23 გოლი



**17. კევინ სტროუტმანი**
ნახ. პსვ
13.02.1990
186 სმ, 78 კგ
11 თამაში, 1 გოლი



**9. კლაას-იან ჰუნტელაარი**
თავდ. შალკე (გერ)
12.08.1983
186 სმ, 80 კგ
53 თამაში, 31 გოლი



**19. ლუსიანო ნარსინგი**
თავდ. ჰეერენვენი
13.09.1990
178 სმ, 69 კგ
2 თამაში



**12. მიშელ ვორმი**
მეკარე. სუონსი (ინგ)
20.10.1983
183 სმ, 84 კგ
9 თამაში



**3. ჯონ ჰეიტინგა**
მცველი. ევერტ. (ინგ)
15.11.1983
180 სმ, 75 კგ
77 თამ., 7 გოლი



**13. რონ ვლაარი**
მცველი. ფეიენოორდი
16.02.1985
189 სმ, 80 კგ
7 თამაში, 1 გოლი



**6. მარკ ვან ბომელი (კაპ)**
ნახ. პსვ
22.04.1977
187 სმ, 85 კგ
76 თამაში, 10 გოლი



**11. არიენ რობენი**
ნახ. ბაიერნი (გერ)
23.01.1984
181 სმ, 80 კგ
56 თამაში, 17 გოლი



**23. რაფაელ ვან დერ ვაარტი**
ნახ. ტოტენ. (ინგ)
11.02.1983
175 სმ, 74 კგ
96 თამაში, 18 გოლი



**16. რობინ ვან პერსი**
თავდ. არსენ. (ინგ.)
06.08.1983
183 სმ, 71 კგ
65 თამაში, 28 გოლი



**20. იბრაჰიმ აფელაი**
თავდ. ბარსელონა (ესპ)
02.04.1986
180 სმ, 76 კგ
37 თამაში, 5 გოლი



**22. ტიმ კრული**
მეკარე. ნიუკასლი (ინგ)
03.04.1988
193 სმ, 83 კგ
3 თამაში



**4. იორის მატეისენი**
მცვ. მალაგა (ესპ.)
05.04.1980
183 სმ, 82 კგ
80 თამაში, 3 გოლი



**15. ჯეტრო ვილემსი**
მცველი. პსვ
30.03.1994
170 სმ, 66 კგ
2 თამაში



**8. ნაიჯელ დე იონგი**
ნახ. მან. სიტი
30.11.1984
174 სმ, 73 კგ
59 თამაში, 1 გოლი



**14. სტეინ სხაარსი**
ნახ. სპორტ. (პორტ)
11.01.1984
181 სმ, 76 კგ
18 თამაში



**7. დირკ კუიტი**
თავდ. ლივერპული (ინგ)
22.07.1980
183 სმ, 83 კგ
88 თამაში, 24 გოლი



**18. ლუკ დე იონგი**
თავდ. ტვენტე
27.08.1990
188 სმ, 80 კგ
7 თამაში, 1 გოლი



**ბერტ ვან მარვიიკი**
მწვრთნელი
19.05.1952

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი; მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გია თვალაბეიშვილი
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608